



திருச்செந்தூர்



საქართველოს

გრუზინСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამოცემობა „სახაობის საძარცველო“

თბილისი — 1970





სერია: „მათერიალური კულტურის პირდაპირი“

# ქართველი საზოგადოებრივი მუზეუმები

პრეზული მცდამინისტრი

გამოცემის სახელმწიფო საზოგადოებრივი მუზეუმი

---

საზოგადოებრივი მუზეუმი: ინაკლი აბაშიძე, ზალვა აბირანევილი, ანჯია  
აბაშიძე, განახანგ ჩიხიძე, ლევან გომია, ლადო  
გულაძევილი, ოთარ თავთაძევილი, თიმორესა  
კაცილაპი, ინაკლი ჭავარისვილი, ნიკო გავა-  
ვლი, ლევან გარაშვილი, ოთარ სანიშვილი, ზაინ  
სტერცა (3/მჭ. მღვევანი), გიორგი სიმაია, გიორგი  
სრულია, ვახტანგ ციცვაძე, ლევან ჩიჭი-  
ჭილაძე.

## დივი ბირძნების გილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, აქტოლოგიის და ეთნოგრაფიის  
 ანსტატურის ცურალის შეცნეურ-თანამდებობისათვის

## სოფელ სიონის ისტორია

საქართველოს ტოპონიმიკაში სახელების განმეორება საზოგადოდ ხშირია არამარტო სხვადასხვა კუთხეში, არამედ — ერთსადამაცე მხარეშიაც. ძველი დროიდან ეს მოვლენა გამოწვეული იყო ბუნებრივი პირობების ერთგვარიობით („გაე“, „სამტრედო“, „მუხრანი“), ან სხვადასხვა პუნქტთა წარმოშობის თანაბარ ვითარებას ასახავდა („ახალქალაქი“, „ახალციხე“, „ციხისძირი“); ზოგჯერ ახალ ადგილზე გადმოსულ მოსახლეობას თან მოპქონდა თავისი ძველი საცხოვრისის სახელი (ასე ახლაც ხშირიდ ხდება), ან ბარიდან საძოვარზე წასული, თავის დროებით სადგომსაც იმავე სახელს უწოდებდა, რაც მის სოფელს ერქვა...

აღნიშნულს გარდა, ქართული სოფელების ერთნაირი სახელწოდებანი ხშირად იყო დამოკიდებული ამ სოფელების მთავარი საღოცავების სახელებთან ხშირად ეს საღოცავები ისეთ პოდულარობას იხვეჭდნენ, რომ მათი სახელით იწოდებოდა უკეთ მთელი სოფელიც. ასეთებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი „ნინოწმინდა“, „გორგალიწმინდა“, „სამება“ და სხვა. სახელთა ამ რიგს კუთვნის „სიონიც“.

ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების აღრეულ პერიოდში, როცა საქართველოში ფართოდ იშლებოდა ქალესათა მშენებლობა, ჩვენში ერთმორწმუნე სამერინთოიდან და პალესტინიდან შემოდიოდა არამარტო საკულტო ნაგებობათა ტიპები, არამედ მათი იქაური სახელწოდებანიც. ასე განჩა ქართლში „ნიქოზი“, „კორინთა“, „გეთსიმანია“, „ანტიოქეა“ და სხვ.<sup>1</sup> სწორედ ასევე შემოვიდა სახელი „სიონიც“, დაკავშირებული იერუსალიმის სიონის მთაზე აგებულ დეოსისმობლის მიძინების კელესიასთან.

საქართველოში სიონი ეწოდება მხოლოდ დეოსისმობლის სახელობის კელესიებს, — შედარებით მნიშვნელოვან და უფრო ხშირად აღრეულებს. ასეთებია თბილისის, ატენის, სამშევილდის, დმანისის, ბოლნისის და სხვა სიონები<sup>1</sup>. ეს სახელი მიემართება ტაძრებს და წარმოდგენილია უზეტეს წილად მსაზღვრელის დართვით: „თბილისის სიონი“, „ბოლნისის სიონი“... მაგრამ არის შემთხვევები, როცა სიონი ჰქონია სოფელსაც: ასეთებია ხევში, კახეთში, ქართლში.

ამჯერად შეეჩერდები ქვემო ქართლის კიდევ ერთ სიონზე, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული დაზერცვების დროს მოვიხილე შულავრის ხევში. ეს ხეობა მარნეულის რაიონში მდებარეობს და საქმაოდ მდიდარია თავისი ძველი მატერიალური კულტურის ძეგლებით. მაგრამ იგი საინტერესოა იმითაც, რომ ამ ხეობის სოფელ წერაქვიდან არის შესანიშნავი ქართველი პროზაკოსი მიხ. ჯავახიშვილი. მის ერთ მოგონებაში, რომელიც დაიკა კასრაძეს ჩაუწერია

<sup>1</sup>. დმ. ბაკრაძე, ქავკას ვ ძრენ მამათნის ხრისტიანობა, თბ. 1875, 104.



კვითოსულობთ: „წერავე... ერთადერთი ქართული სოფელი გაღმა ბორჩხალოში მიორე სოფლი მარანი გააშენ წერაძეის მახლობლად და სიონი დაარცეა.

— Տոնո՞ն? Ձե՞ս առ առ մորթիմոց ոպո, հոգ նույնական սաեւո ամուռ-  
նուցա.

— ପିରୁକ୍ତେଷ, ଦୟାଙ୍କ ଅନ୍ତରୀଳରୁ ପୁର, ଶେଷିଥିଲେଖିରିଲେ କୌଣସିଲେ, ଶାକିଥାନ୍ତି  
ମହାପାତ୍ରଗତରୁ ତା ପିଲାରୀକିନଙ୍କୁ ପ୍ରାଣପଦାର୍ଥ କାରିଗ୍ରା ଶୈଳେଶୁଳି ଗଲେବା<sup>2</sup>.

ლილა. სიონსა და მის შიდამოებში დაახლება ჩანს გვიან ბრინჯაოს ხანიდან, შეუფერდალური ხანის მოჭიქული კერამიკა და რამდენიმე ცელესის ნაგრევი კი, ცხოვრების ხანგრძლივობის მოწმობა. ერთ-ერთი, XIX ს-ში შეკეთებული, დარბაზული ტიპის საყდარი, სოფლის განაპირობას, ბორცვზე გაშენებული, მა-ლესიაში ორი საფლავის ქვა დღეს. ერთ მათგანს თეთრი მარმარილოს ფილაზე აწერია: „ამავე სოფლისა შიზეზი აშენებისა აქა მდებარე გვამი ჩემი საბა ადა-მაშევილი წამყიოხველნო (და) მხილველნო გოხოვთ შენდობა გვიბრძანოთ დაედინადე 1842 წ. ობერულის 2. გარდავიცვალე 19...“ აქ წარწერა წყდება. ესაა მიხ. ჯავახიშვილის მამის საფლავი, რომელის თაღსნობითაც მოშენებულა სოფელი XIX ს-ის ბოლოს.

ეკლესია გაცილებით ძველი ჩანს. მის მოზრდილ ბალავრის ქაუშე არის მეორე წარწერაც. იგი ლამაზი მხედრულითაა შესრულებული. ქაუ ალაგ-ალაგ ამოტებილია და წარწერაც ზოგან დაზიანებული. განკვეთილობის ნიშანა სამი წერტილია დასმული. წარწერას, რომლის მონახაშისაც აძლევის ქარაგმე-

၁၃၂

နှစ်ပေတား ၏ အမြန်ခြင်း ရှစ်စာတဲ့ နဲ့ မြန်ပေတား မြို့၏ လျှောက်ခဲ့ပါ။  
ဆွဲ့ကြော်တဲ့ ရှစ်ပေတား မြို့၏ အမြန်ခြင်း ရှစ်စာတဲ့ မြို့၏ လျှောက်ခဲ့ပါ။  
သူတော်မြို့၏ အမြန်ခြင်း ရှစ်ပေတား မြို့၏ လျှောက်ခဲ့ပါ။

Digitized by srujanika@gmail.com

<sup>1</sup>. Г. Н. Чубинашвили. Болниси, Тбилиси, 1940, с. 83-5.

<sup>2</sup>. „ლატვიურ-არმენიულ განչეთა“, 1957 წ. № 14.



ე. ი. კულესია აგებულია 1634—1658 წლებს შორის, რადგან როსტომი ჰქონდა მი ამ წლებში არიან სამეცნ ტახტზე.

როსტომის მეფობის წლები, შედარებით მშეციდობიანი ცხოვრების ხანაა ქართლის სამეცნოსათვის. კეცუნის მოღონიერება და აღმაყლობა კარგად ჩანს ქვემო ქართლის მრავალი ისტორიული ძეგლის მიხედვით: ამ დროს შენდება ხილები, კულესიები, ქარვასლები, წარმოებს დაშლილი კულესიებისა და ციხეების შეკეთება.

წარწერაში მოხსენიებული მარიამ დედოფალი ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. იგი იყო ლევან დადიანის და, რომელიც როსტომია შეირთო 1633-4 წლებში. ეს ამბავი მეცემ დიდ ზარ-ზემით აღნიშნა. ისტორიულის ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „კარგის წესითა და კელმწიფურის ზოთვითა და მორჭმა სიმდიდრით, კარგის თავადთა და აზნაურ შეიღების მხლებლებით, მასხურით, გამდლებითა და მოახლებითა, ყველანი დაკაზმულნი საკელმწიფო გათავებულის იარაღითა და მოკაზმულით, მზე შევი ზღვით ამოსრულ მარიამ დედოფალი ქართლისკენ წამოპარანეს“<sup>1</sup>.

მარიამ დედოფალი მოღვაწე ქალი გამოდგა. მარტო ის რად ღირს, რომ მისი პრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“, რომელი ზუსხაც „მარიამ დედოფლის ვარიანტად“ დარჩა ცნობილი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, ბოლნისის სიონიც „შემუსყრილი აღაშენა დედოფალაშან მარიამ“.

გადარჩენილა „მზითვის წერილი ლევან დადიანისაგან მიცემული როსტომ შეფისათვის, როდესაც ამა მეცემ შეირთო და ილევანისა. „ამ გრძელ სიაში სხვა-დასხვა ძერიფასერულთან, კეცუხისტყაოსნისა“ და „როსტომიანის“ გვერდით, დასახელებულია მოსამსახურენი, მათ შორის ორი მესტუმრე. ორი ბოქაული, ორი მოლარე და რაც მთავარია — თავადი სერაპიონ ჩიჯავაძე<sup>2</sup>. ესაა სწორედ ჩენს წარწერაში მოხსენიებული „ყოვლად უღირსი წინამძღვარი“ — ამშენებელი საყდრისა დეთისმშობლის სახელობაზე.

ჩიჯავაძენ ცნობილი ფულდაღური საგვარეულოა დას. საქართველოში. როგორც ცხედავთ, მარიამ დედოფლისათვის მზითვში გამოტანებული სერაპიონი, წინამძღვარი გამხდარა და სიონში აუგია კულესია. სხვა ცნობა მის შესახებ ჩენ გვაქვს.

არც ისეთი ცნობა მოგვეპოვება, რომელიც შეულავრის ხევის სიონს შეეხმოდეს. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია და რუკა ამ სოფელს არ აღნიშნავს. აქ სიონის ადგილზე გვაქვს „ხუცის სოფელი“. ძევლი საბუთები და სიგელ-გუჯრები XVII ს-მდე არც სიონის ახსნებენ, არც ხუცის სოფელს, XVII ს-დან კი, ეს უკანასკნელი უკვე გვხდება. 1721 წლის აღწერის დაეთრის მიხედვით, ამ სოფელში ითვლებოდა 16 კომლი გამომღები ყმა, 3 — ბოგანო და ერთი მებატონე — კარის წინამძღვარი, ცხადია, ხელმწიფის კარისა<sup>3</sup>. ბუნებრივია აღწერის ეს ცნობები დაუკუავშიროთ სერაპიონ ჩიჯავაძესაც. — წარწერაში წინამ-

<sup>1</sup> ფარსაღმ გორგიჯანიძის ისტორია, სიისტორიო მომბე, II, თბ. 1925, გვ. 242.

<sup>2</sup> С. С. Какабадзе, Грузинские документы Известия народов Азии АН СССР. Москва 1967, стр. 242-3.

<sup>3</sup> ექვთ, თაყაშეილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-შ. თბ., 1907, გვ. 266.



ძღვრად დასახელებული, შესაძლოა ისიც სამეფო კარის წინამძღვარი ჭრილობის ყოველი ამაზეცემული უნდა მიუთითობდეს წარწერის დასატყიშიში სსესეული „მეოხებითა მეტეთა ღვთისმშობლისათა“. აქ თბილისის მეტეთის ეკლესია იგულისხმება, დვ. ქართულ წყაროებში XII ს-დან ცნობილ „მეტეთა ღვთისმშობლის“, „მეტეთა ყოვლად წმიდის“ სახელით. იგი სწორედ კარის ეკლესია იყო ისნის სამეფო სადგომში, რომელიც დიმიტრი თავდადებულმა განაახლა: „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფალად მეტეთა ღმრთისმშობლისა“<sup>1</sup>.

კარის წინამძღვარის, სერაპიონ ჩივავაძის მიერ სოფელში ეკლესის აგება თავისთავად გვაგულისხმებინებს, რომ იგია მებატონე და მოამაგე ამ სოფლისა. უნდა ეფუძნოთ, მისი აქ მოსელის პერიოდში სოფელი აყრილი და დაცარიელებული ყოფილა, ისევე როგორც სხვა აღგილები ამ მხარისა. ამაზე კარგად მიუთითებს ზემო ბოლონისის, ხატისსოფლისა და სხვა წარწერები, რომლებიც შაპაბაზის შემოსევათა ნაკვალევზე, ნაოხარ და ვერანა ნასოფლარებზე ცხოვრების განახლებას მოწმობენ. ბურგებრივია, მაშინ დაიყარებოდა მრავალი ძველი სახელი.

„ხუცის სოფელი“ — გარდა იმისა, რომ სწორედ XVII ს-ის ნახევრიდან იხსენიება, ახალი ჩანს თავისი შინაარსითაც. იგი მისი მებატონისადმი კუთვნილებას გამოხატავს და დგას ასეთივე გვიანი წარმოების სახელთა რიგში, რომლებიც ქვემო ქართლში მრავლად გვხვდება. მაგ.: „მდინარეების სოფელი“, „პანში-სოფელი“. „შერმაზანის სოფელი“, „ქარუმიძის სოფელი“, „ეპისკოპოსის სოფელი“, „ჩიკორიძის სოფელი“ და სხვ. ცაცადია, ყველა ეგვიპტი სახელდაკარგულ ძველ ნასოფლარებზე აღდგინილი დასახლებანია, რომელთა მთავარი ნიშანი ახლა აქ მდიდარიებების, შანშიანის, შერმაზანის, ქარუმიძის, ეპისკოპოსის, ჩიკორიძის მებატონებაა.

ამიტომ ეჭვი, რომ სერაპიონ ჩივავაძის აქ გაბატონებამდე, ძველად არსებულ სოფელს სხვა სახელი ერქვა და არა „ხუცის სოფელი“, — საფუძლიანი ჩანს. საზოგადოდ ქვემო ქართლი ის განაპირა კუთხეა, რომელმაც საქართველოს ყველა სხვა ნაწილთან შედარებით, მეტი შემოსევა, აოხერება, აყრა-გადასახლება და უცხო ეთნიკური ჯგუფების შემოსახლება განიცადა. იყო პერიოდები, როცა მისახლება მხოლოდ ძლიერი ციხეების სიახლოებს თუ ბოგინბდა აქა-იქ. ამიტომა, რომ აქ დაკარგულია ძველი სახელების დიდი უმრავლესობა... მაგრამ ძველის მოჭირნახულება მოღვაწენ ჰყველა ეპოქას თავისი ჟყვედა, რომლებიც პირველსაც შესაძლო მომენტში, ამ მხარეს თავანკარა ქართველებით ასახლებდნენ. მათი უმეტესობა შემოინახა ტოპონიმიკაშ; დაწყებული „თამარაშენით“ (რომელიც ძალიან პოპულარულია მთელ საქართველოში), აქ გვხვდება „საღირაშენი“, „ბეჭერაშენი“, „ფაღლაშენი“, „აკრავაშენი“, „რუვაშენი“, „მელიქაშენი“, „თუმანაშენი“ და მრავალი სხვა, რომელთა პირველ ნაწილში სწორედ იმათი სახელები მოჩანს, ვისგანაც მოშენდა ეს სოფლები. აღბათ არც ამდენი „შენი“ საქართველოს სხვა კუთხეებს არ ახასიათებს...

XVIII ს-ის I ნახევარი ქვემო ქართლისათვის გამანადგურებელი ლეკიანობით დაიწყო. ქართველ ისტორიკოსთა ცნობებით, მაშინ ამ მხარეში მხოლოდ ბოლნისს

<sup>1</sup>. ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, თბ. 1959, გვ. 24, 126, 272.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, ჩებინაშვილის გამოცემა, თბ. 1854. გვ. 46.



და სამწევროისს შერჩა მოსახლეობა. რა ბედი ეწია ხუცის სოფელს ჩვენ, აღარ ვიცით...

და აი, მიხ. ჯავახიშვილის მამას — საბა ადამიაშვილს ეს სოფელი ისეე ცა-რიელი დახვედრია. რატომძა უწოდეს მას სიონი? აშეარაა — ეს მხოლოდ საბა ადამიაშვილის ფანტაზიის ნაყოფი არაა, „პირიქით ათეისტი იყოთ“ — იკონებდა მიხ. ჯავახიშვილიც. მახლობლად მდგრადი ადგილებიდან „სიონი“ პირველ ყოვ-ლისა, მიემართება ბოლნისის განთქმულ ტაძარს ღვთისმშობლის სახელობისას. ის იყო მთავარი საღლოცავი ამ მხარეში. მისი დიდი გავლენით უნდა აიხსნას ისიც, რომ ეყლესიათა უღილესი ნაწილი ამ კუთხეში ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. ბოლნელ ეპისკოპოსს გვიანაფეოდალურ ხანაში ხელი მიუწვდებოდა ქარ-თლის მთელ სომხითზე და არაა გამორიცხული შელავრის ხევის ამ სოფელშიც ყოვილიყო ბოლნისის სიონის მეტოქი საყდარი, მისი ფილიალი. მართლაც სიო-ნელი მოხუცები ისევე, როგორც მეზობელი სოფელისა, ჯიუტად ამტკიცებდნ ერთ-ერთ აქაურ ეყლესია „ბოლნისის ძმა“ პეტრი, „მისი ტოტიაო“. აქაც მაშინ იხდიან დღეობას, როგორც ბოლნიშიო. ბოლნის-ხაჩინში — სომხებით დასახლე-ბულ ამ დღი სოფელში, ახლა დღეობას აღარ იხდიან, მაგრამ რომ ასეთი ტრა-დიცა იქ ბოლო ხანებამდე ყოფილა, ჩანს ფიროსმანის ნახატზედაც — „დღეობა ბოლნის-ხაჩინში“.

ადგილობრივთა ზემოთქმულ გადმოცემას მხარს უბამს ცნობა ზაქარია ჭიჭი-ნაძისა, რომელიც 1901 წ. ერთ თავის პატარა წიგნში წერდა: „სიონი ახალი სოფელია, აქ წერაქედამ რამდენიმე მოსახლე გადმოსახლდა და დასახლდა. სო-ფელი მოშენდა, ღმერთმა პეტრას. სიონი ამისთვის უწოდეს, რომ ამ სოფელში დევლი ტაძარი სიონი სდგას“<sup>1</sup>.

მოტანილი შასალა თითქო გვიხსნის სოფლის სახელწოდების წარმოშობას. ცხადია, რომ მისი ერთი სალოცავი სწორედ ბოლნისის სიონს უკავშირდება. შე-ლავრის ხევს ბოლნისთან, ებარქიალური ერთობის გარდა, აკაცმირებდა აღმინის-ტრაციული ერთიანობაც — ადრეცენდალური ხანიდანვე, სხვა მიტრე ხეცემთა ერთად, იგი შედიოდა ტერიტორიალურ-აღმინისტრაციულ ერთეულში, რომელ-საც „კევი ბოლნისისა“ ერქვა; ხოლო გვიანაფეოდალურ ხანაში ეს ხევები სომხი-თის სამოურაოში ერთიანდებოდნენ და ბოლნისის საეპისკოპოსოში შედიოდნენ<sup>2</sup>.

XVIII ს-ის I ნახევრიდან ბოლნისის საეპისკოპოსო თბილისის სიონს ექვემ-დებარება; ამ დროიდანვე იხსნებიან საბუთებში თბილელ-ბოლნელი ეპისკო-პოსტები, რომელიც ძეველი ბოლნისის საეპისკოპოსოს მიწებს ჰყიდიან, ან იჯარით გასცემი. შელავრელი და წერაქელი მოხუცების გადმოცემითაც, სანამ სიონი მოშენდებოდა, მეზობელი სოფლებები მისი მიწებით სარგებლობისათვის, თბი-ლისის სიონს უხდიდნენ ცეილსა და თაფლს.

ყოველივე ზემოთქმული გასაგებს უნდა ხდიდეს ხუცის სოფლისათვის სა-ხელ „სიონის“ წოდებას. ამ ხეობის ძეველი ქართულ სახელების გვერდით, რო-გორიცაც: „შელავერი“, „ოფრეთი“, „გორული“, „ველათი“, „წერაქევი“ და სხვები, სოფელი სიონი თავისი სახელის შენარჩუნებას მის. ჯავახიშვილის მამას — საბა ადამიაშვილს უნდა უმაღლოდეს.

<sup>1</sup>. ჭ. ჭიჭინაძე, სამხრეთ საქართველო, თბ. 1901 წ. გვ. 27.

<sup>2</sup>. ღ. ბერძნებიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კურსული, II, თბ. 1964, გვ. 20-21.

ოთხთვედიანი სამიარი ეთლი ქველ საქართველოში

1968 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პრინციალის ხანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით, თეთრიწყარის მახლობლად აღმართულ ბედენის ზეგანზე, დიდი ყორდანი — „გადაჭრილი გორა“ შეისწავლა. ეს ყორდანი შესანიშნავი აღმოჩნდა: ლითონის, კერამიკისა და ხის ინვენტარით, აგრძელებული ყოფის, სოფლის მეურნეობის, ხითხურობისა და სამხედრო საქმის ამსახველი ძერიფასი მასალით, რომელთა შესახებ ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჩვენი კრებულის მე-12 ნომერში ვრცელი წერილი მოათავსა და ძეგლი ა. წ. III ათასწლეულის მიწურულითა და მომდევნო დასაწყისის საუკუნეებით დაათარიღა.


არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ ყორდანზე აღმოჩნდილ ეტლის ნაშთებსაც. რომელთაც მომდევნო წელს, გ. გობეჯიშვილის მიერებე გათხრილი, მახლობლად მდებარე მცირე ყორდანის ეტლისაც სხვა ნაწილებიც დაერთო. ამ ორ ყორდანზე აღმოჩნდილი ეტლის დეტალების წყალობით შესაძლებელი გახდა მთელი ოთხთვედის საპროდოლო ეტლის საკმაოდ მიახლოებებითი აღდგენა.

ეტლის ძარას სიგრძე (290 სმ) — განსაზღვრა დიდი ყორდანის სეეტებს შეა მანძილმა, სადაც ეტლი თავისი ბორბლებით იყო ჩაღმული (იბ. სურ.). უკანა ღერძის (3) უბების (14) ახლოს, ამოცრილმა წკირის ბუდეებმა (18) განსაზღვრეს ძარას გვერდის ფიცრების (6) მდებარეობა და სიგანე, აგრეთვე ძარას ხისტი კონსტრუქციაც. გვერდის ფიცრის უკანა ღერძზე წყვილი წყირით (17) დამაგრება, ხოლო წინა შაბარეს ბალიშთან (8) თუნდაც — თითო წყირით (17), იქმნებოდა ძარას ხისტი ჩარჩო. გვერდით ფიცრებს შორის თავისუფალი სიგრცის ერთი განიერი ფიცრით, ან ხოგმანებით შეერთებული თრი ფიცრით დაშვის წყალობით კეთდებოდა ძარას ძირი (10). უკანა ღერძის დაახლოებებით შეაზე მოთავსებულ  $15 \times 2$  სმ ამონაკეთში ჰდობით მაგრდებოდა ქვედა შემკრავი (7), რომელიც მოხრილი უნდა ყოფილიყო. წინა ღერძს (5), ბალიშისა (8) და ქვედა შემკრავის (7) შორის მოთავსების შემდეგ, ეყრდობა ტაბიკი (9), რომლის ირგვლივ ღერძი მოძრაობდა. ტაბიკი (9) ჭარბი შოუკირის მოუკანილობისა უნდა ყოფილიყო და თავი ქვემოდან ჰქონდა, ბოლო კი გასუდებილი — ბალიშსა და ძარას ფიცრში. წინა ღერძი რამდენადმე უფრო განიერი და მაღალია, რაც საჭირო უნდა ყოფილიყო რეილის (2) თითების გასამაგრებლად და ღვედების ჩასაბმელ ნახევრეტების (19) გასამართავად. თელები (1) მუხისა იყო, მასიური, სამი ნაწილისგან შემდგარი, რომელიც სოგმანებით მაგრდებოდნენ. თეალის აწყობის შემდეგ სოგმანები „მერცხლის კუდის“ მოყვანილობის პირობებს ჰქონიდნენ. ღერძის ბოლოზე (13) მორცვის (12) წამოცმის შემდეგ თეალი რიყით (15) მაგრდებოდა. აღმოჩნდილ უკანა გარდიგარდმო ხეს (4) ბოლო ახრილი აქეს, რითაც განისაზღვრა ძარას გვერდების ოდნავი გადახრა და შესაძლებლობა მოგვცა ქართული ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით მთელი ძარას აღდგენა. ძარას სიმაღლე დაახლოებით 130 სმ უნდა ყოფილიყო, გვერდები კი ღასტისა უნდა ჰქონდა (ნახაზე).



თვალსაჩინოებისათვის ღასტები არაა ნაჩერები). ღასტების ჩინჩხის ფაზეჭვული უმაგრდებოდნენ, რომელიც დრომ გახრწნა და ღასტების ჩაცერა გამოიწვია შემდგომი ნერევის დროს ერთი თვალი შეგნით გადაწევა და ღასტის ნაწილი დაიტნა, რის გამო თვლის ქვეშ მოქმედება წნევებმა ჩვენამდე მოაღწიეს.


ეტლის სივიწროე (80 სმ) და დიდი სიმაღლე (თვლის სიღრიძე — 160 სმ და მეტრი გამძლეობას ასესტებდა და ამცირებდა ტეირთის წონას) სამეურნეო საქმიანობისათვის მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო, საომარ მოქმედებებში კი —



თოხოელი საპროლო ეტლი. აქსონომეტრული ჭრილი და წინა  
ნაწილის დეტალი ქვემოთ. კ. მელითაურის რეკონსტრუქცია.

მოსახურებელი. საცულისხმოა, რომ ძარას წინა ნაწილთან სკეტზე მიყრდნობილი იყო ჟაბუკის ჩინჩხი და მასთანეე ფარი, რომელიც ოთხკუთხედს წარმოადგენდა ევედა წაწვეტებული ნაწილით ( $45 \times 65$  სმ.). ყოველივე ამის მიხედვით ოთხფალა საომარ ეტლს მართავდა ერთი მეტლე და ემსახურებოდა, წათებით და ეგებ მშეილდ ისრითაც შეიარაღებული ერთი მეომარი, სწორედ ისე, როგორც ეს არის ასახული ქ. წ. IV ათასწლეულის მიწურულის ურის შტანდარტზე.

ამ ყორლების შეწავლით იმ დასკვნამდეც მიედიდართ, რომ დიდი ყორლის აგების დროს ეტლს ჯერ კიდევ ცხოვრებაშიაც იყენებდნენ, რასაც დეტალების ხასიათი ადასტურებს, მცირე ყორლანში კი დეტალები უმცირესარია და ისეა დალაგებული, რომ მინიმალური ადგილი დაცურათ სამარხში. უფრო გვიანი ხანის



ყორღნებში მოთავსებულ ოთხოდიან ეყიპაჟების დეტალებს, აქ მოყვანილთან  
არაუკარი აღარა აქვთ საერთო, თვალიც კი — 120 სმ-დეა შემცირებული ხოლო  
მათი დეტალები კონსტრუქციული ხასიათით ურმის ნაწილების მნიშვნელოვანი. ე. ი.  
როცა ეტლი ახლად გამოვიდა ხმარებიდან, დაკრძალვის რიტუალისათვის მისი  
დეტალების დამზადებას მიპყვეს ხელი, რათა მარტო სიმბოლურად აღნიშვნათ  
ძველი წესი. უფრო გვიან სამარტი ეტლის კონსტრუქცია დაფიქტურებას მიეცა და  
ეტლის სამარხში აღნიშვნა, მათოვის ცნობილი ორთველიანი ურმის დეტალებით-  
და იყო შესაძლებელი.

---

## ჯონჭო გვასალის

ფ. გვივაჩვილის სახ. ისტორიის, არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის შეცნობა-თანამშემდებარება

ქსნის ხეობის ძეგლი



ალექს სამება, ხედი — უკრო ეპტორისა


ქსნის ხეობა ისტორიული შიდა ქართლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. იგი, ისევე როგორც მთლიანად შიდა ქართლის მთიანეთი, უძველესი დროიდან ჩანს ადამიანის მიერ ათვისებული. აქ ვხვდებით ადამიანის ქვედამაღლილითურ სამოსახლოებს. ამ უძველესი ხანიდან მოყიდებული, ქსნის ხეობაში ეწყვეტად ჩანს ბინადარი ცხოვრების ნიშნები.

ადამიანთა საზოგადოება თავისი სამეურნეო, საკულტო თუ საბრძოლო საქმიანობის დროს კვალს აჩენს თავის საასპარეზოდ ქარელ გეოგრაფიულ გარემოს. ხშირად მატერიალური კულტურის ნაშთები (კელქიები, მონასტრები, ციხეები, სასაფლაოები, ნახიდურები, მარნები, საწნახლები...) მეცნიერებისათვის იქცევიან იმ საშენ მასალად. რომელთა გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ადგილას მიმდინარე კონკრეტული ისტორიული პროცესის წარმოდგენა.

ამ თეალსაშირისით, ქსნის ხეობა, საერთოდ, მატერიალური კულტურის ძეგლებით მდიდარ ქართლშიც კი, გამოიჩინა თავისი დიდი სიუხვით.

ქსნის ხეობის მრავალრიცხოვანი სიძველენი არა თუ სპეციალისტი-მასტორი-კოსებზე, არამედ ჩეეულებრივ მოგზაურებზეც დიდ შთაბეჭდილებში მარტინი.

ქსნის ხეობიდან ცნობილია წინარე ანტიკური ხანის, ძვ. წ. 7 საუკუნის და-თარიღებული საძეგურის უმდიდრესი სამარხი, რომელიც მეცნიერებაში შევიდა „ახალგორის განძის“ სახელით. აქედანვეა ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი პირებისარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა წირქოლის, ყანჩაეთისა და არმაზის კულტისი. XIII საუკუნე წარმოდგენილია ისეთი შესა-ნიშავი სამონასტრო კომპლექსით, როგორიცაა ხოვა, ხოლო თეთი ისეთი ძნელ-ბეჭდობის ხანაში, როგორიც იყო XVIII საუკუნე, იქმნება მნიშვნელოვანი ანსამ-ბლი — ლარგვის და მრავალრიცხოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობები.



ლარგვის, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. ფოტო ეტორისა

ქსნის ხეობაში წარმოიშვა ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური ერთოული ქსნის საერთოსთაო, რომლის მესვეურებშიც შექმნეს უნიკალური საგვარეულო მა-ტიანე „ძეგლი ერთოსთაო“.

წინაფეოდალურსა და ფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობის დაწინაურების მი-ზეზი უნდა ვეძიოთ მის სიახლოებეში დარიალ-არაგვის ხეობაზე უძველესი დროი-დან გამავალ ცენტრალურ სამიმოსელო არტერიასთან და მრავალფეროვან ბუ-ნებრივ პირობებში. აქ გვხვდება მაღალი და საშუალო სიმაღლის მოები აღმური და სუბალბური მდელოებით, რაც წარმოადგენდა ინტენსიური მეცხოველობის განვითარების საფუძველს; ტყის მასივები, ხეებისა და წყაროს წყლით მდიდარი, ქარებისაგან მთებით დაცული ხევები, სადაც რელიეფის სიმაღლესთან შეფარდე-ბით ხელსაყრელი პირობებია მემინდვრეობისა და მებალეობა-მებოსტონბისაოთი;

ଫୋଟୋ ନ. ମୁହିନାଶ୍ଵରାଳୁ

ଲେଖକ, ବ୍ୟାଙ୍ଗ ଅଧିକାରୀ ପ୍ରକାଶନାଳୁ





მთიდან შარისკენ გარდამავალი — მთისწინეთის ზოლი და მდინარის ორი მდგრადი მხარეს გადაჭიმული დანალექებით მდიდარი, ვრცელი დაბლობი, რომელიც გარკვეული სამეურნეო ცოდნისა და ორგანიზაციის პირობებში ქართლის ჯერ მიმინდერების, ხოლო შემდეგ მევენახეობის მნიშვნელოვან რაიონად იქცა.

ქსნის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს მიკვლეული იქნა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მრავალი არქიტექტურული ძეგლი (იხ. ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967 წ.). მთავარი ერთი ნაწილი, კერძოდ, დარბაზული კვლესიები სწორკუთხა საკურთხევლითა და ტრომბებზე დაყრდნობილი კონქით გახდა 6. გ. ჩიბინაშვილის სპეციალური ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის საგანი. ეს კვლესიები ზოგადად VIII—IX საუკუნეების ქრისტიანული წარჩინში ექცევა.

ისტორიულ ქსნის საერთოსაფილი მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცა აღნიშნული სწორკუთხა საკურთხევლიანი და აგრეთვე დარბაზული აბსიდიანი პატარა კვლესიებისა და მათთან ერთად არქიტექტული კომპლექსების მეტად თავისებურმა დამახასიათებელმა ტოპოგრაფიამ. ასეთი კომპლექსები გვხვდება ხეობათ წყალგამყოფ ქედებზე. კველაზე მაღალ საძოვარ ადგილებში; ისინი წარმოადგენენ მეზობელ ხეობათა საერთო სალოცავებს (დაღიანეთის სამება, მთაწმინდა, ლვევანანის მთავარანგელოზი, ისროლისხევის სამება, ბიუარის სამება, წითელი ხატი...). ამ ადგილებში სალოცავთა არსებობა განპირობებული იყო საძოვებებისა და სახნავების მულობელობის პრინციპით (კინკ იდგა სალოცავის სათავეში, პრეტეზიას საძოვარ-სახნავთა ბატონობაზეც აცხადებდა) და სტრატეგიული მოსაზრებით (მწვერვალთაგან გამშლილი თვალსაწიერი უზრუნველყოფდა მომხდეული მტრის დროზე შემჩინევას). ამ კომპლექსთა რიცხვში ექცევა ლომისა და აღვეის სამება, რომელიც შეუძლია მას და გვიანდეოდალურ ხანაში ქსნის ხეობაში თავისისცემის კველაზე დიდ მნიშვნელობა რჩება, მაშინ როცა სხვა „წმინდა ადგილები“ კნინდება და ლოკალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

აღვეის სამება მდებარეობს ხახლვის (დღვევანდელი ლენინგრადის) ჩრდილო-აღმოსავლეთით უნაგირია მთის ერთ-ერთ კონუსზე. მთას ადგილობრივი მოსახლეობა ლორწომის კლდეს უწოდებს. აღვეის „ოქროსკარიანი“ სამება მეტად განთქმული სალოცავი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. მის მოსახლოცად მოდიდნენ ქსნის ხეობიდან, ნარკვავიდან, ბაზალეთ-არაგვისირიდან, კახეთიდან, კულესია დარბაზულია, სწორკუთხა საკურთხევლითა და ტრომბებზე დაყრდნობილი კონქით. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებზე პილიასტრებია, რომლებსაც ცენტრალურ დარბაზს ჩრდილო, დასახლეთ და სამხრეთ შხრიდან აქვს მინაშენები, რომლებშიც შესახლედებია გაჭრილი. მთავარ კედლების აღმოსავლეთის შხრიდან მიშვნებული აქვს შეორე კვლესია, მომრგვალებული საკურთხევლით. აღვეის სამება ნაგებია ქვის ბლოკებით და აქვს სადა ფასადები. მთავარი კვლესია თარიღდება VIII—IX სს., ხოლო მცირე კვლესია — X საუკუნით.

აღვეის სამებას გარს უდის ფლეთილი ქვით ნაგები ოვალური ფორმის გალვანი, რომელსაც შიგნითა მხრიდან რამდენიმე ნაგებობა აქვს მიშვნებული. სამხრეთის მხარეს მიშვნებულია კრიტი ვიწრო შენობა. იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ქვედა სართული მიწაშია, ზედა სართულის კარი კი — მიწის



ზედაპირის დონეზე. შენობას კედლებზე ეტყობა სართულებს მორიქ განვითარების ძელების ფოსოების კვალი. ქვედა სართულს ჰქონია მიწისქვეშა დროშას სკოლის რომელიც მწყემსების თქმით ეკლესიაში შედიოდა. შენობა, შესაძლოა, სატრაპეზოს ჭარმოადგენდა. გალავანს გარეთ ორგვლივ ორმოცდე წვრილი სათავსოს ნაშენებია. აღვეის სამების კომპლექსი მონასტრის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ლორწომის უნაგირა მთის მეორე კონცეზე საფორტიფიკაციო ნაგებობის



ცავატის ლეონიშვილელი, საკურთხეველი. ფოტო ნ. ჩებინიშვილისა

ნაშენებია შემორჩენილი. ლორწომა-ში დაცული უნდა იყოს „მატიანე ქართლისას“ მიერ X საუკუნის დასაწყისისათვის მოხსენებული „ლორწომის“ ციხის სახელი. გიულდენშტედტისა და ელაპროტის მონაცემები გვეხმარებიან „ლორწომან“ || „ლორწომანის“ აღვეის უნაგირაზე ლოკალიზაციაში. რაც შეეხება ფონეტიკურ მხარეს, „ლორწომანში“ რ გვიანდელი გაჩენილი ჩანს, ხოლო ხალხ-

ში შემორჩენილი სახელი ღორწომა || ღორწობა მიღებულია დაბოლოების შედეგის მიზანის ციფრით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ მეტყველებაში. შემოგვრჩა „ნასტაკი“ ნაცვლად „ნასტაკისისა“ და „ქეგნაკორა“ ნაცვლად „ქეგნაკორანისა“.

ღორწომის ქარაფოვანი კლდე, რომელზეც აუგიათ სიმაგრე, საკმაოდ ძნელი მისადგომია და უკირავს გაბატონებული მდგომარეობა ქსნის შუა წელის მარცხენა ნაპირზე; აქედან ხელისგულივით მოჩანს შიდა ქართლი და არაგვის გაღმა მხარე. ღორწობის ძირზე უნდა გაეცლო კახეთ-არაგვიდან ქსნის შუა წელისაკენ მიმავალ გზას. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა აქ ციხის არსებობა, ციხის კედლები



2

ცხადობის დეონისშობული. ლაშეცემის ფასალი. ფოტო ავტორისა

ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ისინი ბუნებრივი სიმაგრის დანაშატებს წარმოადგენენ. კედლები უკათაა დაცული კლდის ჩრდილოეთ მხარეს. შეიმჩნევა კედლის ორგვარი წყობა, რაც შესაძლოა სხვადასხვა პერიოდისა იყოს. მოსახლეობის გადმოცემით ციხეში დაცული მდგარან და შიგ ტუმედ წაყვანილებს მაღავდნენ. ჩანს, ლეგიანობის დროს ღორწობანი ქართლში ლეკთა თარეშის დასაცარდენი იყო.

ალევის ტაძრის სახელგანთქმულობა, მდიდარ სახნაფ-საძოვართა მფლობელობასთან ერთად. გასაგები ხდება ღორწობის ციხესთან კავშირში და ამ ადგილის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაში. ღორწობის დაუკლება იმ პერიოდში ნიშ-



ნაედა ქსანზე და, საერთოდ, ქსან-არაგვს შორის მოქცეულ ტრიტორიაზე  
ბატონობას.

X ს-ში კეირიკე კახთა მეფესა და გიორგი აფხაზთა მეფეს შორის ბრძოლის  
დროს გიორგი ეუფლება კახეთის ყველა სომაგრეს, გარდა ნახევრის, ბოჭორ-  
მისა და ლოწობნის ციხისა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268). ლოწობნის წინააღ-  
მდეგ აგებენ შურის ციხეს. ქართლელ და კახელ აზნაურთა ხელშეწყობით კახთა  
მეფე კვლავ ეუფლება ლოწობნასა და შურის ციხეს და ორივეს ანგრევს, როგორც  
აფხაზთა მეფის ქართლში ბატონობის დასაყრდენს (იქვე, გვ. 269).

სოფელ ტონჩას ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლოწობნის ციხიდან სამხრეთ-  
აღმოსავლეთით 1,5—2 კმ-ზე ტყიანი გორაკია, რომელსაც „ორუადგორს“ ეძა-  
ხიან. მის თხემზე ტყეშ შემორჩენილია აღრიცხულალური ხანის ზურგიანი კოშ-  
კის ნანგრევები და ტყით დაფარული სხვა ნაგებობათა ფრაგმენტები. შესაძლოა,  
რომ მატიანე სწორედ ამ ადგილას გულისხმობს ლოწობნის შურის ციხეს.

ქსნის ხეობის ზედა წელის ძეგლთაგან გამოირჩევა ქარჩხის ციხე. ვახუშტი  
წერს: „...ციხე ქარჩხისა, ქმნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა  
ზედა. უდის სამხრით ქსანი და აღმოსავლით კევი, ლომისის მთის გამომდინარე,  
და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთაფალს მთიულეთს“ (აღ-  
წერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 65).

სწორედ მთიულეთიდან ლომის-ოხირის ქედზე გადმომავალმა გზებმა განა-  
პირობა ძლიერი ციხის შექმნის აუცილებლობა ოხირის ხევისა და ქსნის ხერ-  
ოვისში.

ქარჩხის ციხის ჩრდილოეთით ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის  
თხემზე ქსან-არაგვ-მთიულეთში განთქმული სალოცავი ლომისაა. „...მთის თხემსა  
ზედა, არს ველესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწო-  
და მთასა ამას სახელი ეს), უგუნბათო უკვერეტს სამჯრით ქსანსა, ჩრდილოთ  
მთიულეთს“ (იქვე).

ლომისის თხემიდან ხელისგულივით მოჩანს ქარჩხის, თეთრი არაგვის  
ხეობები და ღიღვაკე-ჯვართა ყული — ქადა. ლომისის ქედზე უკველესი დროი-  
დან გადადიოდა შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილის მთიულეთ-ხევთან დამაკავ-  
შირებული უმოკლესი გზა. ამას მოწმობენ ქართული საისტორიო წყაროები და  
უცხოელი მოგზაურების ცნობები. ლომის-ოხირის თხემი ყველაზე უფრო მოხერ-  
ხებული ადგილია ქსნისა და არაგვის ხეობათა ურთიერთობისათვის. ამასთან ერ-  
თად მდიდარ სათიბ-საძოვართა არსებობამ განაპირობა ამ ადგილის დაწინაურება  
და პირებულობა ქსან-არაგვის წყალგამყოფზე, ხოლო აქ მოთავსებული ტაძარი  
კი მთიულეთისა და ქსნის ხეობის უდიდეს სალოცავად აქცია. იგი მთვარის სა-  
ლოცავი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქრისტიანული ტაძრის აშენების შემდეგ  
წმ. გიორგის სახელობის ეკლესიად იქცა. უკველეს დროიდან მომდინარეობს სა-  
ხელწოდება ლომისა, რომელსაც მოსახლეობა ლომაზარს უკავშირებს. დღემდე  
დაცული სწორებთა საკურთხევლიანი ეკლესია, ტრომპებზე დაყრდნობილი  
კონქით, VIII—IX ს. ჩანს აგებული, რომელსაც გადაკეთება განუცდია.

ეკლესიის სამხრეთით, ქსნის ხეობისაენ სამი მაღალი სევტია, რომლებსაც  
წინა მხრიდან უფრო დაბალი სევტები აქვს მიშენებული. ეს სამრეკლოს ნაშები  
უნდა იყოს. მის წინ მიწაში ქვედრებია ჩაყრილი. ლომისას თხემზე რამდენიმე  
სათავესოს ნანგრევია, მაგრამ იგი ისეთი სახითაა შემორჩენილი და სარეველა-



ମିଶନ କାରୋବା ଚାରିତ୍ର୍ୟରେ

ପ୍ରକ୍ରିଯା ୬. କୁଳିନଙ୍କରେଣ୍ଟାବ୍ଦୀ



ბარდებით ისეუა დაფარული, რომ ჭირს რამე გარკვეულის დადგნა. უცნობი შემთხვევაში, აქ იგრძნობა ძლიერი ცხოვრების კვალი. ეკლესიის დასაცლეთი მოთავსებული ერთი მცირე სათავსო თაღლთა გადახურული. ჩრდილოეთის კიდელის შეღესილობაზე ხუცური წარწერაა, რომელიც აღდგნილი სახით შემცირებანირად იყითხება: „სახელითა ღვთისათა ესე მარანი აღვაშენე სუნტის ქემ მახარძელმან...“

ნაგებობის იატაქი ქვის ფილებით იყო მოფენილი და ქედერები ვერ შეცინებით. საერთოდ, მარანი მთიულეთსა და ხევში ეწოდება ყოველგვარი სანოვაგის შესანახ საკუჭნაოს.

ხუცური წარწერებია ამოჭრილი ლომისას ეკლესიის კარზე, რომელიც რეინითა შეკედილი.

პირველი წარწერა, ქარაგმების გახსნით, ასე იყითხება: „ქ. სახელითა ღმრთისათა ესე კარი ლომისა მთავარ მოწამისა შეცაშედინე მე მახარძელმან და მისთა შეიღლთა ჩურნ სუნტის ძემან. სამი თასი, ერთი ქობი შევწირე რომე გიორგობას და ლომისობასა ვინც დაგვიგიშვნეს რისხავსმა წმიდა გიორგი ლომის მთავარ მოწამე“.

შეორე წარწერა:

„ქ. სახელითა ღმრთისათა მჭედელი კიშური (კაიშაური?) ლაზარე და ბურთუზი გიორგი ქელთა ფასი არა აიღეს. სულსა მათსა შეუწდევნ ღმერთმან ნასლიასძემან ვეტენამ მოვორთო პური კეთილი, ზორა და რეინა. სულსა მათსა შეუწდევნ ღმერთმან. ამინ.“

ლომისას სამიცე წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებითა და მათში მოხსენებულ პიროვნებათა მიხედვით XVI საუკუნით თარიღდება (ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ., გვ. 32).

ქან-არაგვის ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავებირებული ლომისასთან. ეს ადგილი იყო ამ ხეობათა მოსახლეობის ცველაზე მჭიდრო შეხების ადგილი. აქ წყდებოდა მათი ურთიერთ დამოკიდებულებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. გვიანდეთდალურ ხანაში უპირატესად მტრული დამოკიდებულებაა ქსნისა და არაგვის ხეობებს შორის, რის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ქსნის ერისთავის ცდა — მტკიცედ მოიკიდოს ფეხი თრუსო-ხევ-მთიულეთში. დავის გადაწყვეტის ადგილი ლომისას თხემია. რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით იქცევა ბრძოლების ასპარეზად.

სამწუხაროდ, ქსნის ხეობის ძეგლთა უმრავლესობას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მათი დიდი ნაწილი დაუცველია და დაღუპვის პირასაა მიმდგრა. თუ სასწრავოდ არ ჩატარდა სარესტაციაციო სამუშაოები, უკვალოდ გაქრება ჩვენი ისტორიის მოწმე ეს უნიკალური ძეგლები.

## თორილი ტატიშვილი

დ. გაგახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ურნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამდებობელი



დუმეიკლა, ნასახური, ერთ-ერთი საღვროშის შესასელება

## მიზისპირა ნაგებობაები მთავრის ხარის ზელზე

1954-1955 წლებში, მეცნიერებათა ეკადემიისთვის არსებულ ვარჩის მეზეც-ნაკრძალის მიერ, შეკვერს ხეობაში, სოფ. თმოცვასა და მინის შორის მდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი შეკვერების ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო არქეოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული და მისაღების გამოვლენა — ფიქსაცია. ცელში მუშაობის დროს ექსპედიციის მიერ მრავალი საუკრაფებელი ტეგლი იქნა შეკვეცული, რომელთაგან გამოვლენულ საკვალი რაოდნი მრავალი გამოვლენილ მიწისქვეშა ნაგებობებს, რომელთაც აღვალობრივი მოსახლეობა „დარწებს-ცერიფებს.

მესხეთში, ისევე როგორც თითქმის მთელ საქართველოში, ცნობილია მიწის-ქვეშა, კარგად შენიღბული ქეის ნაგებობანი, რომელებიც შეა საუკუნეებში მოსახლეობა ძნელებების დროს მტრისაგან თავს აფარებდა. ასეთ ნაგებობებს უწოდებდნენ დარწებს.

დარწები საბას განმარტებით არის „კლდეში ანუ მიწას ქვეშ შესასელები, სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“. ტერიტორიის შედარებით იმ მცირე მონაკვეთზე, რომელიც მოიხილა ექსპედიციამ, გამოვ-

<sup>1</sup> ექსპედიციაში შონაწილეობდნენ: კ. შელიაშვილი, ნ. ჩუბიძაშვილი, თ. ღამბაშვილი, გ. გამჭალიშვილი, ლ. დავითაშვილი და თ. ტატიშვილი.



ლენილი იქნა რამდენიმე ათეული ასეთი ნაგებობა შემდეგ აღვიღებში: ქრისტენები კვლები, ქრისტი ბალჩაში, საჩეხის თავზე, სადათ კარკალში, შაჟერის ნიჟალუბენის დუმეილაში, ზედა თმოვთან, ბერთაყანაში, ვარძის თავზე, ბერის ხევში და სხვა-გან. დარწები გეხვდებიან, როგორც ცალკე მდგომინი, ასევე ჯგუფები. საშენებლო მასალად გამოუყენებიათ მშრალად ნაწყობი ბაზალტის დაუმუშავებელი ლოდები.

სოფელ აგარის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1,5 კმ. მდებარეობს წმ. გორგის სახელობის დარბაზული კელებისა. მის შახლობლად დასავლეთით ნასოფლარია. ამ ნასოფლარს ადგილობრივი მოსახლეობა „დუმეილას“ უწოდებს. კელებისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ. მანძილზე, გორაკია, მის ჩრდილო კალთებზე, საგამოდ დიდ ფართობზე ქვის გროვაა, რომელიც ფართო ზოლად შეიცვება დუმეილას ხევს. მარჯვენა ნაპირზე (ეს ხევი მდ. მტკვარს ერთივის ნასოფლარ ახინასთან). ამ ქვაყრილში შეინიშნება მშრალი წყობით ნაგები შენობები.

ქვაყრილის შესახებ სოფ. თმოვთან მცხოვრებმა იასონ თევდორეს ძე ზაზაძემ შემდეგი ცნობა ჩაგვაწერინა: „სოფელს ლეკები დასცემიან. ხალხს თავი აქ შეუფარებია და მას აქეთ ამ ადგილს „საგამალაგებს“, „ყაჩაღებს“ ვუწოდებთო.

დუმეილას კომბლექსში შეიძლება გამოვყოთ ორი უბანი: აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. აღმოსავლეთის უბანი ურცელია და უკეთ შემონახული, ვიდრე დასავლეთისა.

საერთოდ, დუმეილას კომბლექსი მიწის ქვეშ ნაგებ სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი 60-მდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნაგებობებისაგან შედგება, რომელიც შესეღა მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან დატანებული ჩასაძერიში ხერელით შეიძლება. კედლები აგებულია დიდი ზომის ლოდებით, პირველი სამი-ოთხი რიგის სიმაღლეზე კედლები ამოყვანილია ცერტიკალურად. ხოლო შემდეგ ცრუ თაღში გადადის და ბოლოს ზემოდან ბრტყელი, დიდი ზომის ფილებითაა გადახურული. ამ ფილებს კი ზევიდან წერილი მონატეხი ქვის გროვა ადგას.


სიგრძით სათავსონი 3,5 მ და 5,5 მ მეტრამდე, ხოლო სიგანე 2,5—3 მ. დარწების სიმაღლის დადგენა ჯერჯერობით ძნელია, რადგან მათი იატაკი მიწის სქელი უკიდი არის დაფარული. ხშირ შემთხვევაში დარწების თაღები დანგრეულია და გადახურების ლოდებში შიგაა ჩაქცეული.

ექსპედიციის მიერ მიკვეული დარწები, თითქმის ყველა, გეგმაში მეტნაკლებად ოვალური ფორმისაა. მათი სიგრძე მეტყობს 3,5 მ. 5,5 მეტრამდე სიგანე 2,5 მ-დან 3,5 მეტრამდე. ნაგებია მონატეხი ქვით შშრალ წყობაზე. ხშირ შემთხვევაში ქვედა სამი რიგი ქვებისა, როგორც დუმეილას დარწებში, ამოყვანილია ცერტიკალურად, ხოლო დანარჩენი რიგები შიგნით არიან შემოწეულნი და ზემოდან იკერებიან ჩასიური დიდი ლოდები. მთელ ამ ნაგებობებს გარედან ყრია წვრილი მონატეხი ქვა. დასავლეთის კედელი, როგორც წესი, ყველა სათავსოს მომზევალებული აქვს.

ზემოთ აღნიშნულ ნაგებობათა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია აკრეთვე ის, რომ შესასვლელი ყველა მათგანს აღმოსავლეთის მხრიდან აქვს.

დუმეილას მიწისქვეშა ნაგებობიდან უზრადღებას იძყორდს გორაკის ცენტრალურ ნაწილში მეტნაკლებად კარგად დაცული დარანი. იგი გეგმაში ოვალური ფორმისაა, ნაგებია, მონატეხი ქვით. ისევე, როგორც სხვა დარწებს, ამასაც

შესასვლელი აღმოსავლეთიდანა აქვს, გადახურულია დიდი ლოდებით, მათ შორის  
სიცარიელეს წვრილი ქვები ავსებს. ამ ნაგებობის შიგნით, შესასვლელთან, აღ-  
მოჩინდა ბრტყელი ქვა, რომელიც ასეთსავე ფორმის ქვაზე იდო და მას პირობითად  
საფეხურები ვუწოდეთ. სათავსოში ზედაპირულად აღმოჩინდა შემდეგი არტეოლო-  
გიური მასალა: ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მოვარდისფრო სქელკედლიანი



დარნის შიდა ხედი

თიხის ჭურჭლის ნატეხი, გადანატეხში შავი ფერისა, აქვეა ყავისფრად გამომწვა-  
რი თიხის ჭურჭლის ნატეხები. საფეხურად მიჩნეულ ქვების აღაგების შემდეგ  
აღმოჩინდა ცხოველის ძელები, ნახშირი და დამწვარი ქვები. აქვე იქნა მოპოვე-  
ბული ყავისფრად გამომწვარი ცილინდრულ ჟულიანი ცალფურა ჭურჭლის ნაწი-  
ლი. ჭურჭელს ყური მაღალი და ბრტყელი აქვს.



ინტერესმოკლებული არ არის სოფელ ზედა თმოგვის შახლობლად ქადაგისა და დარნებიც.

სოფლის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს „გუგუნი ჯვარის“ სახელით ცნობილი ბორცვი. ბორცვის თავზე შერჩენილია მონატეხი ქვისაგან შექმნილი წრები, რომელთა დიამეტრი 6—7,5 მ-ია, წრეთა შიგნით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი სათავსოების ნაშთებია.

ზედა თმოგვიდან 500 მ მოშორებით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს „აღიათალის“ სერი, რომელიც დაახლოებით 1 კმ სიგრძისაა და გადაპერებს მტკვრის ხეობას. ამ სერზე 23 დარნის ნაშთითა შემორჩენილი. აქვე „საჩეხი თავის“ ბორცვი. ამ ბორცვისა და „აღიათალის“ უნაგირზე დარნის ნანგრევია. თვით საჩეხი თავის“ ბორცვის თხემზე ოთხი დარნის ნაშთია.

„საჩეხი თავის“ დასავლეთით ცნობილია აღგილი „ვარძის თავი“, აქაც ხუთი დარანია მიკვლეული.

სოფელ თმოგვის მიდამოებში დარნები ძირითადად თავმოყრილია იმ ფლატის პირზე, რომელიც სამხრეთით გადაპყრებებს მდ. მტკვრის ხეობას.

ექსპედიციამ ზედა თმოგვის სამხრეთით დაახლოებით 600 მ მიაკვლია განკიდულ სამოსახლო გორას, რომელსაც კენჭი ყარას“ უწიოდებენ. გორას ტერიტორიაზე აკრეფილი იქნა კერამიკული ნაწარმის ნატეხები, რომელთა შერჩის ყურადღებას იყრინობს ვარდისკერისარჩულიანი შავპრიალა თიხის ჟურჭლის ნატეხები, აქვე გარდისფრად გამომწვარი ზედაპირგაპრიალებული ჟურჭლის ნატეხები და სხვა.

შეგროვილ მასალებში ინტერესს იწვევს აგრეთვე იფსიდიანის ანატეკეცები და ნატეხები, რომელთა შორის თიხს ეტყობა დამუშავების ნიშნები. გორას ტერიტორიაზე შეიმჩნევა კედლის წყობებიც.

„ბერის ხევისა“ და „ნაწყაროების ხევის“ ქედის ჩრდილო ნაწილში მდებარეობს აღგილი „ნაკალიები“. ამ აღგილას დარნის ტიპის ნაგებობათა ნაშთებია. აქვე მიკვლეული ყორდანული ქეაყრილები.

დარნის ტიპის ნაგებობათა ნაშთები და ყორდანული ქეაყრილები მიკვლეულია აგრეთვე „ბერის ხევში“, ტერასულ ვაკობზე.

დარნის ნაშთები გეხედება „ბერ ხევის“ მარცხენა ფერდობზეც.

გარძის ქაბთა ქალაქის დასავლეთით „სადაცუდებელას“ ხევის დასაწყისში, მარცხენა მთარეს ექსპედიციამ მიაკვლია 9 დარანს, რომელთა შორის ერთი გამოირჩება თავისი გეგმით. იგი წარმოადგენს მონატეხი ქვებით შექმნილ წრეს, რომლის ცენტრალურ ნაწილში, ასევე მონატეხი ქვისაგან შემდგარი გროვა, რომელიც დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. წრიული წყობის დიამეტრი უდრის 7 მეტრს. ცენტრალური ქვის გროვის სიგრძე უდრის 5 მ. სიგანე 3 მ. წრიული წყობის სამხრეთით მდებარეობს ფართო დერეზნის მსგავსი ნაგებობის ნაშთი, რომელიც აგრეთვე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენა დამხრობილი. დერეზნის მთელ სიგრძეზე მონატეხი ქვის ზღუდე გაუყვება; რომლის სიგრძე 20 მეტრია, ხოლო სიგანე კი 5 მ.

მეტად უხადაა წარმოდგენილი დარნები „ბერთაყანაში“, სადაც ექსპედიციამ დაახლოებით 20 დარანს მიაკვლია. დარნების გვერდით ყორდანული და სამი სამოსახლო გორა იქნა ფიქსირებული. ზედაპირულად აკრეფილი მასალიდან საყურადღებო გვიან შრინჯაო — ადრე — რკინის ეპოქისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები.



აღნიშნულ მიწისქვეშა ნაგებობათა უცნებიონალური დანიშნულების შესახებ დღეს გამატონებულია შეხედულება, თოთქოს ისინი ერთ დროზ, ხამატა კებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი აგებულება, მათი ორიენტაცია და აქცეული აღსანიშნავი, მათი გაფრცვლება (მხედველობაში გვაქვს მიკრორაონი) ამ გაგებისათვის ჩვენში ეჭვსა ბადებს. მართალია ადგილობრივი მოსახლეობა ამ ნაგებობებს დარნებს — სამალავებს უწოდებს, მაგრამ, საკითხავია, ეს დარნები იმ ძეგლების ნაშებია, რომელიც ცნობილი არიან ამ სახელით შეუსახლებელი და რომელსაც ხალხი, მართლაც, სამალავებად იყენებდა? იქნება აქ სწორედ მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე და სწორედ მის შემდგომ შეარტვა ხალხმა ამ ნაგებობებს დარნის სახელი, როცა ბედის უკუღმა ტრიალმა ისინი იძულებული გახადა სახელდახელოდ თავი შეეფარგლინათ უკიდ გამზადებულ ნაგებობაში?

ექსპედიციის მიერ მიკვლეული ძეგლები რომ სამალავები იყოს, მაშინ ისინი არ იქნებოდნენ ასე თვალსაჩინო ადგილებში აგებულნი. შეუსაუკუნების სამალავი ნაგებობანი — „დარნები“ — მდებარეობენ უშუალოდ საცხოვრებელი სახლების მახლობლად, მიწაში ლრმად ჩადგმულნი, და ზოგჯერ რამდენიმე სათავსოსაგან შედგებიან. არის შემთხვევები, როდესაც მოელი ლაპირინთული ისისტემა შექმნილი. ხშირ შემთხვევაში დარნებთან პატარა სამლოცველოებიცაა მოწყობილი.

საკელევ რაიონში კი ამდაგვარი არაფერი ჩანს.

შესაძლოა, ისინი ადამიანს საცხოვრებლად ჰქონდა გამოყენებული, რის თქმის საცხოველს გვაძლევს ჯგუფურად განლაგებული დარნები, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ნიალას ველზე დუმეილას დარნები, რომელიც პატარა მდინარის პირზე არიან განლაგებულნი (60 ნაგებობა) და სხვა. მაგრამ ამის საწინააღმდეგო საბუთს ჩვენ თვითონ მოვიტანთ: ჯგუფურის გარდა ხომ ცალკე მდგომი დარნებიცა გვხვდება?

კიდევ ერთხელ უნდა აღვიხონ მათი დამხრობა და შესახლელების აღმოსავალითიდან დატანება. ეს საკითხები გვაიქირებინებს, რომ იქნებ რაიმე საკულტო ნაგებობებთან და რიტუალთან გვაქვს საქმე. მაგრამ მათი ასეთი სიმრავლე თოთქოს ამ ვარაუდსაც აბათილებს.

მიუხედავად მასალის სიმცირისა, ჩვენ ვუშევთ, რომ ექსპედიციის მიერ მიეღლეული მიწისქვეშა ნაგებობანი ფეოდალური ხანის სამალავები არ არიან. ჩვენ ისინი წინაქისტანული ხანის ნაგებობებად, ნასოფლარებად მიგვაჩინა, ხოლო, კერძოდ, რომელ ეპოქას ეკუთვნიან, ამაზე კერ-ჯერობით ვერაფერს ვამზობთ.

პროფ. ირაკლი ციციშვილი დუმეილის დარნებს პირველყოფილი თემური შემობილების არქიტექტურას მიაკუთვნება.

ასეთი საკითხების კლება, ჩვენის აზრით, უფრო შინაარსიანი და მართებული იქნება, მას შემდეგ, როდესაც გათხრილი და შესწავლილი იქნება ისეთი ადგილები, რომლებმაც შემოგვინახეს მეტნაკლებად ხელუხლებელი დარნები და ყორლანელი ქაბურილები.


ამ სამეშაოების ჩატარების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელი გახდება ასე თუ ისე ქრონოლოგიური ჩარჩოების (ყოველ შემთხვევაში ქვედა სახლერის) დადგრენა და მათი ყორლანულ ქაბურილებთან ურთიერთობის საკითხის გარევევა. ამგვარად, ამ ძეგლების შეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელი პირობა მათი არქეოლოგიური გათხრა.

## დავით მუსეილიშვილი

იყ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-დანამდებლელი

## ვინაპლასობრივი პრიორის ერთი მოხატის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი

იყ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტში ამ უკანასკნელ ხანებში გაშენილი ინტენსიური ისტორიულ-გეო-  
გრაფიული საექსპ კვლევის შედეგად არა ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიუ-  
ლი პუნქტი იქნა მიღებული, რომელთა არსებობა ცნობილი იყო ქართული თუ




ნეგა

თვეა წერილობითი წყაროებიდან, თუმცა ეი მათი ზუსტი ადგილმდებარება არ ავინ იცოდა. ასეთია, მაგალითად, წოფის, ოფრეთის, გაგის, ქავაზინის, ლოქის  
და სხვა ციხე-სიმაგრეები ქვემო ქართლში, პანკისის, მარილისის, ტურის  
(შტორის), მაჭის და სხვა ციხე-სიმაგრეები კახეთში; დიმინის ციხე და უქიმერი-  
ა იმერეთში და სხვ.

ფეოდალური ხანის ამ მნიშვნელოვანი პუნქტების აღმოჩენა, რა თქმა უნდა,

უბრალო ცნობისმოყვარეობის საგანი არ არის. ამ ფაქტის მნიშვნელობა არც  
მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ მათი ზუსტი ღოვალიზაციით უფრო ტასაცემი  
და კონკრეტული ხდება ისტორიულ წყაროებში გადმოცემული სათანადო ცნო-  
ბები. ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეთა თუ ციხეებალაქთა მიგნებას და იდენ-  
ტიფიკაციას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ამ ეპოქაში,  
განსაკუთრებით კი ადრეულ და განვითარებულ შეასაცეუნებში ციხე-სიმაგრე  
მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ბატონობის ფუნქციას კი არ ატარებს,  
არამედ გარეული ტერიტორიის, მისი „შესავალი ქვეყნის“ კუთხომიურ ცნობრ-



ს ქ ე ბ ი

საც წარმოადგეს და, ამდენად, ციხე-სიმაგრის მიგნებით, ადგილზე მისი ტო-  
პოგრაფიის ზუსტი ანალიზით, შესაძლებელი ხდება იმ ეკონომიკური ერთეუ-  
ლის, მიახლოებით მაინც, შემოხაზეა, რომლის საფუძველზედაც იგი წარმო-  
ქნილა და რომლის ცენტრსაც იგი წარმოადგენს. მეორე მხრივ, რადგან გარ-  
კვეული პერიოდიდან ამა თუ იმ ციხის ზემოხსენებული უშუალო სამეურნეო  
ტერიტორია აღარ ემთხვევა იმ პოლიტიკურ ერთეულს (ეს უკანასკნელი გაცი-



ლებით უფრო ფართოა), რომლის ცენტრსაც იგივე ციხე-სიმაგრე წარმოადგენს უკანა ამიტომ მისი ადგილმდებარეობის დეტალურმა ანალიზმა, განსაკუთრებული კონტროლს დაქვემდებარებული გზების ისტორიულ-გეოგრაფიულმა შესწავლა-ლაშ, შესაძლებელია დაგვანახოს ის ეკონომიკური საფუძვლები, რომელმაც ამათუ იმ ციხე-სიმაგრეს საამისო უპირატესობა მისცა სხვასთან შედარებით.

ამგვარად, ცხადი უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფეოდალური ხანის (და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ფეოდალური ხანის!) ციხე-სიმაგრეების ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური განვითარების შემცირებისთვის.

ჩეენ აქ ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიტან საამისოდ.

„მატიანე ქართლისათ“ XI ს-ის 30-იანი წლების ამბების გადმოცემისას, მოგვითხრობს ბაგრატ IV-ის ერთ-ერთი ბრძოლის შესახებ საქართველოსთან კახეთის სამეფოს შემორთებისათვის: „იბირნა აფხაზთა მეფებმან კახნი, აშოტ მთავარი მარილელი, დისიძე კვირივე (კახთა, დ. მ.) მეფისა, და ხახუილა გურთა ჯურა-რისცითა... გაილაშქრა აფხაზთა მეფებმან კახეთს, შეება და შეუხდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიძლოა: სტეფანიშ ვარჯანის-ძე, პანი-სისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორანბუჯის ერისთავი, და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭულისა. გარდა ღვა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვირიკე შეფისა აგებული. და ესე ერისთავი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერდარა ჩაიდეს (ბაგრატი თავისი ლაშერითოურთ, დ. მ.) კახეთს და შემოიქცა (-ქართლის ცხოვრება, I, 1955, 298).

სხვაგან აღნიშნული გვაძეს (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კუბული, III, 1967, 107), რომ, ჩეენი აზრით, ზემომოტანილი ამონაწერის კონტექსტი მცირეოდნად უნდა შესწორდეს. ერთოდ, „შტორის ერისთავის“ ზაგორად „ტერიის ერისთავი“ უფრო მართებული ჩანს. ასევე უნდა შესწორდეს გვგონია, ანა დედოფლისული ნუსხით აღდგენილი „ხახუილა გურთა ჯუარის-ციხითა“, გამოიქმა, რომელიც მთლად გასაგებად ვერ ჩაითვლება. მარიამ დედოფლისული, ჭალა-შეილისული და მაჩაბლისული ნუსხების მიხედვით აღდგენილი რედაქცია ამ ადგილისა „ხახუილაგურნი ჯუარისციხითა“ უფრო სწორი უნდა იყოს და აზრიც საფეხბით ნათელი ხდება: ხახუილაგურთა ფეოდალური გვარი მცირებელია ჯუარისციხისა ისევე, როგორც აშოტ მთავარი — მარილისის. გვარი ხახუილაგური კი საფეხბით კაონჩომიერი წარმოებაა სახელისაგან ხახუილაგი, მსგავსად დღესაც არსებული გვარებისა აღმ. საქართველოს მთიანეთში (მაგ.: ვეშაგური, შალური, ბუჩქური, ზევადაური და სხვ.). ხოლო ეს სახელი სწორედ ამგვარი ფორმით — ხახუილაგი — გვხვდება გოორგი III-ის მიერ შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ 1170 წ-ის სიგელში, თანაც როგორც სახელი სწორედ კახელი ფეოდალისა, რომელსაც ძელადვე (გიორგი III-ზე უადრეს) შეუწირია შიო მღვიმისათვის სოფ. ალავინი. ხახუილაგის გვერდით იმავე სიგელში ხსენება გოდერძისა, რომელიც ეჭვს არ ტოვებს — იგივე „მატიანე ქართლისათ“ ზემომოტანილი ტექსტის გოდერძი უნდა იყოს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სიგელის ხახუილაგი იმავე მატიანის ხახუილაგურთა ეპონიმია.

ამგვარად, თუ ზემოაღნიშნულ კონიეტურას გაიზიარებთ, მაშინ ქართველი შემატიანის მიერ გადმოცემულ ამბავში ასეთი ვითარებაა: ბაგრატ IV-ზ თავისეკნ



გადამისრა კახელ წარჩინებულთა ნაწილი, კერძოდ, აშოტ მთავარი შეარტყელის ჯუარისციხის პატრონი ხახუილაგურინი. ამათა თანადგომით იგი ლაშქრობის ფაზე მში და ბრძოლაში ტუვედ იგდებს სტეფანოზ პანკისის ერისთავს, ვამე ხორნაბუკის ერისთავს, ჯედი ტურის ერისთავს და მაჭელის. ტუვე ერისთავები მშად არიან ჩააბარონ ბაგრატს საკუთარი საერისთავო ციხეები, მაგრამ საქართველოს მეფე ველარ ახერხებს ამ წარმატების რეალიზაციას ზურგში საქმეების არევის გამო.



#### ტუბას კახე, კათის უკლესია

აღწერილი ვითარებით ცხადი ხდება, რომ კახეთის წარჩინებულებს შორის აშეარად გამოიყოფა ორი დასი, რომელთაგან ერთი ბაგრატის მომხრე და ე. ი. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლია, ხოლო მეორე — კახეთის მეფის მომხრე და, აშლენად — გაერთიანების მოწინააღმდეგი. ამ უკანასკნელს წარმოადგენერ კახეთის მეფის დიდმოხელენი — ერისთავები. პირველთა რიცხვს კი განეკუთვნებიან მთავარი აშოტ მარილელი და ხახუილაგურინი.

„მთავართა“ სოციალური ინსტიტუტი ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ელიტერს ატარებს, მაგრამ იგი ცოცელოვის აღნიშნავს გაბატონებული ფეოდალური კლასის უმაღლეს ფენას. საფიქროებელია, რომ ხახუილაგურიც წარჩინებულ აზნაურთა უმაღლეს კატეგორიას ანუ მთავართა

1. როგორც სხვაგან ღლენიშნავდი, კონტექსტის ილდგონა თითქოს უფრო სწორი უნდა იყოს თუ შტორისა და მავის ერისთავად გოლგოტის ჩავთვლილობი (იბ. საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, 107), ხოლო კვდის-მის წარმომადგენლად ბრძოლაში. საქმის არსებით შეარეს ეს ამ ცეკვის.

ჩიცხვს განვეუთვნებოდნენ. ე. ი. ფაქტიურად „მატიანე ქართლისას“ ზემომეტტებითი სა  
 ნილ ცნობაში ჩვენ ვადასტურებთ შინაკლასობრივ წინააღმდეგობას ერისთავთა  
 და მთავართა შორის. მთავარი ამ დროს წარმოადგენდა შეტ-ნაკლებად შისხვილი  
 საფეოდალოს პატრონს, რომელიც მეფის ეასალი იყო, მაგრამ არა აუცილებლად



„ქუთარის ციხე“ — ქოშე

მისი უშეუალო დიდმოხელე. მაგრამ თუკი მას მეფისაგან რამე „ხელიც“ ანუ თა-  
 ნამდებობაც ჰქონდა ბოძებული ანუ ვახუშტის ენით რომ ვთქვათ, „უკეთუ მეფისა  
 წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა“. მართლაც, იგივე ვახუშტის მიხედ-  
 ვით ერისთავი სწორედ ამ მთავართა და წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდნენ  
 მეფის მიერ სამეცნის რომელიმე მხარის სამართავად. მაშასადამე, ფაქტიურად,  
 ერისთავი მეფის სამსახურში დაწინაურებული და დიდმოხელეობით სხვა მთავ-  
 რებზე მეფის მიერ აღზევებული პირი იყო. ნიშანდობლივია, რომ უმეცობის



პირობებში მთავრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის სოლიტერულ ცხოვრებაში, ხოლო მეფის ხელისუფლების ძლიერების პირობებში ძლიერებულ ერისთავთა ანუ მოხელე მთავართა ინსტიტუტი. ნიშანდობლივია ისიც, რომ მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს (მაგ. XIII—XIV სს-ში) იგივე ერისთავები კლავ მთავრობას ჩემულობის, ვიდრე გვიან საუკუნეებში ძველ ერისთავთა ინსტიტუტის გადაგვარების შედეგად, მთავარი მეფისაგან სრულიად დამოუკიდებელი სიუზერენის აღმნიშვნელ სახელად არ იქნა.

ასეთ ვითარებაში გასაგებია კახელ მთავარ-ერისთავთა წინააღმდეგობაც. კახელი მთავრები საქართველოს გაერთიანების მომხრენი და საკუთარი მეფის მოღალატები ხდებიან იმის იმედით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, უკვეყლია, ბაგრატი მათ დაწინაურებს, „შეიწყალებს“. რაც შეეხება კახელ ერისთავებს, საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგენი და საკუთარი პატრიოტი გული რჩებიან იმიტომ, რომ კახეთის სუსტ მეფესთან შედარებით ძლიერი მაგრატის გამარჯვება არაფერ კეთილს მათ არ უქადის.

ეს ყველაფერი თითქოს გასაგებია, მაგრამ გაუგებარი რჩება ის, თუ კონკრეტულად რა საფუძველზე იყო დამყარებული კახელ მთავარ-ერისთავთა წინააღმდეგობა, რამაც განაპირობა მათი სხვადასხვა პოზიცია საქართველოს გაერთიანების მიმართ.

ვფიქრობთ, ამ საყითხის გარკვევაზე დაგვეხმარება ისტორიული გეოგრაფია.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენებული პანკისის ციხე, ჩენი აზრით, უნდა გულისხმობდეს იმ ციხე-სიმაგრის ნანგრევს, რომელსაც ჩენია ექსპედიციამ პირველად მიაკვლია 1965 წელს (განმეორებით იგი მოხილულ იქნა 1967 წელს). ეს სათვალდაცვო კომპლექსი, რომელსაც ამჟამად ადგილობრივი თორლებას ციხეს “ან „ლეთაებას“ უწოდებენ, მდებარეობს ალაზნის ზემო წელზე, პანკისის ხეობაში, ალაზნის შემდინარე ხალაწინის ხევისა და მაღრანის ხევის (მდ. მაჭარეული) წყალგამყოფ მაღალ (1200 მ.), ტყით დაბურულ კლდოვან მთაზე, რომელსაც მაღრანელები - ციხეების გორს “უწოდებენ. მაღრანის ხევის სათვალდაცვო მდებარეობის გამო, გვიანი საუკუნეების ქართული წყაროები, როგორც ჩანს, ძელი სახელის მიერთებულის შემდეგ, მას „მაღრანის ციხეს“ უწოდებენ. შერჩენილია თაღით გადაყანილი კლდევარი, რომლითაც შედისარ ციხის ტერიტორიაზე; საოვალოვალო კოშკი — რეზერვუარი, რომელიც მთის თხემზე აგემული და ქვედა ნაწილში, კლდეში გამოკვეთილ წყლის რეზერვუარს შეიცავს, სადაც დასალევი ცივი წყალი, რომელიც მიწის-ქვეშა წყაროთი იკვებება, დღესაც დგას. დაბოლოს, — თვით ციხე-სიმაგრე, ასოდე მ-ით დაშორებული კოშკ-რეზერვუარს, ნაგები კლდის საშუალო ზომის თხელი ფილებით ხშირ დუღაბზე.

პანკისის ციხის ნაგებობაზე, მის კონფიგურაციაზე სრული წარმოდგენის მიღება სპეციალური სამუშაოების ჩატარებამდე შეუძლებელია, რადგან მოელი მისი ტერიტორია დაუარულია ნეშომპალის სქელი უკიდი და ხშირი ხეგით, მაგრამ მაინც იგი დიდ შეაბეჭდილებას სტოკებს. იგი აშერად იყოფა ორ, ერთმანეთისაგან შიდა გალავნით იზოლირებულ ნაწილად: შიდაციხე და მასთან მჭიდროდ მოდგმული ოთხუთხა გალავნით შემოსაზღვრული არე. შიდაციხეში სასახლის (?) ნანგრევი ჩანს და აგრეთვე პატრა „კარის კლდესია“. გალავნის შეინითაც ჩანს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშენები. მთლიანად კომ-



ძლექსი გარედან გამაგრებულია ოთხეუთხა და ოვალური კოშკებით და, მარტო ბურჯებით: ნაგებობა, უცემელია, ადრეფეოდალურია, რასაც მოწმობს, სხვა არა იყოს რა, ამ დროის ციხეთათვის დამახასიათებელი დანაწევრება: შიდაციხე და გალავანი, აგრეთვე კარის ეკლესიის აფსიდის ნალისებური მოხაზულობა, თუმცა ციხე-სიმაგრე გვიან საუკუნეებშიც კი გამოიყენებოდა. ეს დასტურდება არა მხოლოდ წერილობით წყაროებში ნახესენბი „მაღრანის ციხით“, არამედ კარის ეკლესიის რესტავრაციით: მისი დასაცლელი კედელი აკურით არის ამოშენებული, ხოლო ასეთივე ლავგარდანი კუთხეებით გამოშეებული აგურის დამახასიათებელი რიგითაა გაფორმებული.



„უშენების ცორი“. ხედი მაღრანიდან

პანეისის ციხის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ იგი აგებული იყო სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვან ადგილას, კერძოდ აკონტროლებდა იმ მაგისტრალურ გზებს, რომლებიც კახეთის ბარს და მთას აკაციების და, ამდენად, ექსპლოატაციას უწევდა და ფლობდა როგორც ერთს (კერძოდ, ალვანის ველს), ასევე მეორეს (კერძოდ, თუშეთს). ამდენადვე, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდი უნდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, რომ სწორედ იგი გახდა კახეთის ერთ-ერთი საერისთაოს ცენტრი.

მარილისი აქვამად სოფ. მატნის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანს ეწოდება, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხანია, რაც იგი ცალკე სოფელს წარმოადგენდა. იგი

<sup>1</sup> იხ. დ. ლ. მუხელიშვილი, Вопросы исторической географии ущелья Панкиси. Труды Кахетской археологической экспедиции, т. I, 1969 г.



მდებარეობს აღაზნის მარჯვენა შენაკად, პატარა მდ. კურტანაძელის ქვეშ  
წელზე, იმ ადგილას, საცა ეს მდინარე ეიშრო ხეობიდან ველში გამოდის. მდ.  
კურტანაძელის ხეობა ანუ ხეისჭალა, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ,  
საკმაო რაოდენობით შეიცავს ისტორიულ ძეგლებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია  
ქაჩალაურის ნასოფლარი ადრეულდალური ტიპის პატარა ციხე-სიმაგრით, რო-  
მელშიც გამოიყოფა შიდაციხე და გალავანი გამაგრებული კოშკებით. კომპლექსის



პანკისის ციხე-ვალაურის ეზო-ერთი კოშკი


სამხრეთ-აღმოსაფლეთ კუთხეში ჩართულია მეტად საინტერესო ბაზილიკური ეკ-  
ლესია, აშკარად ნალისებური მოხაზულობის აფსიდით და თაღებით. ეკლესიის  
თავისებურება ის არის, რომ იგი შედგება ერთი მაღალი ნაერისაგან ჩრდილოეთი-  
დან მიშენებული მეორე დაბალი ნაერით. რაც შეეხება სამხრეტ მხარეს, საცა მო-  
სალოდნელი იყო მესამე, აგრეთვე დაბალი ნაერი, არაუერი მსგავსი არ გვაქვს და  
ბაზილიკა, ფაქტიურად ორი სხვადასხვა სიმაღლის ნაერისაგან შედგება. საინტე-



რესოა ისიც, რომ მთავარი (მაღალი) ნაფის სამხრეთი კედელი იმავე დროს ციხეშინის გალავნის კედელს წარმოადგენს. სპეციალური დაკვირვებაა საჭირო იმის გასარკვევად, თუ რა ქრონოლოგიურ ურთიერთობაშია ერთმანეთთან ცელი და ციხე-სიმაგრე.

ქაჩალაურის კომპლექსი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, ამ ხევის უძველესი ცენტრი.

მის სამხრეთით, რამოდენიმე კმ-ზე ხევისშეაღის მარჯვენა იმავე შალალ ფერდზე ტკეშმ წმ. მარინეს დიდი დარბაზული ტიპის ეკლესია, მოჩიუქრთმებული კარ-სარკმლებით. განსაკუთრებით დამახასიათებელია დიდი, რელიეფური გრეხილით შემკული ჯვარი, გამოკვეთილი აღმოსაფლეთის ფასადზე, საუროებლის სარკმლის თავზე. აქევა ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა ორ სტრიქო-



წმ. მარინე. — ფასადის დეტალი

ნად: 1. წ[მიდა]ო მ[ა]რ[ი]ნე მ[ე]ოს 2. იყ[ა]ვ კ[ა]ხოისა (თუ: კახეთისა?)  
ეკლესია გალავნი შემოვლებულია, რომელიმიც ჩართულია დიდი და მაღალი, სამსართულიანი კოშეი შეუძინებელი მოვალეობით, ბუხრით, კიბებით და საისრეუბით. ამ კომპლექსის მახლობლად დიდი, ორსართულიანი სწორკუთხა ნაგებობაა, მაღალ სარკმლებით შეორე სართულზე, რომელიც სასახლეს უნდა წარმოადგენდეს იმ ტიპისას, როგორიც კარგადაა ცნობილი კახეთში. იქევა შეორე, უფრო დიდი ორსათავსოიანი ნაგებობაა. ორივე ამ შენობასაც გალავნანი შემოდევს. შესაძლებელია, საქმე გვაძეს მსხვილი ფეოდალის რეზიდენციასთან. თუმცა გახუშტი აქ მონასტერს გულისხმობდა. წმ. მარინეს ეკლესიას ადგილობრივი „მარილის ეკლესიას“ უწოდებენ, ცხადია, დამახინჯებით. ჩვენი აზრით, ეს გვისნის სოფ. მარილისის სახელწოდებას.

1. ეს კომპლექსი უნახეს მ. ბროსეს, თემისა წარწერა სწორად ვერ იმუშავდა.



ეხლა ჩევნოვის ცხადი უნდა იყოს, რომ „მატიანე ქართლისაიცი“<sup>1</sup> შემთხვემაშვარი მარილელი პირველ რიგში ამ ხეობის მფლობელი ფეოდალი უზღაული უნდა ყოფილი და მისი რეზიდენცია თუ წმ. მარინეს კომპლექსი არა ქაჩალაურის ციხე-სიმაგრე მაინც უნდა იყოს.

ამგვარად, მარილელი და პანელი ფეოდალები ერთმანეთის უშეალო მეზობლები ყოფილან. ბუნებრივად გასაგებია, რომ ისტორიული განვითარების პროცესში, ეს ორი, თავის დროზე დამოუკიდებელი ერთეული, ერთმანეთს გარდაულად უნდა დამირისამირებოდა; ადვილი გასაგებია ისიც, რომ პანელ ხელი-სუფალს მარილელთან შედარებით, რომელიც, საფიქრებელია, ძირითადად მხოლოდ მდ. კურტანაძეულის პატარი ხეობის მფლობელი იყო<sup>2</sup>, გაცილებით უფრო მძლავრი ცოხომიური ბაზისი გააჩნდა და, ამდენად, პოლიტიკური უპირატესობაც მისი ხეედრი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ პანელმა მთავარმა კახთა მეფის ერისთამა გაინაღდა და, როგორც ასეთმა, შესაძლებელია, მარილელთა სამთავროც თავისი საერისთამს ფარგლებში მოაქცია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უმტკინულოდ ვერ ჩაივლიდა და მართლაც. „მატიანე ქართლისაის“ ავტორი მა ერთ-ერთი ამგვარი ბრძოლის ეპიზოდიც შემოგვინახა.

ანალოგიური ვითარებაა ტურის ერისთავება და ხახულაგურთა მიმართაც ტურის ერისთავის რეზიდენცია, რომელიც ჩევნ ნასოფლარ ტურის ციხეში გვეგულებოდა, 1964 წელს მოეინახულეთ. მართლაც, აქ დაგვხედა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც ზედ აღაზინისპირა ფლატეზე, მდ. ჩელთის შესართავს ქვემოთ, შეიღდას და ყვარელს შორის მდებარეობს. ციხე-სიმაგრის ნაწილი აღაზიანში ჩაქცეულა. შემორჩენილია ველისა, რომელიც აღრევულობალური ხანისა უნდა იყოს<sup>3</sup>.


ტურის ციხის მდებარეობა დეჭველს ჰყოფს, რომ იგი აღაზის გაღმამხრის ნაყოფიერი შიწების სამფლობელოდ არის აგებული. მასზე, როგორც ჩანს გადიოდა ერთ-ერთი მაგისტრალური გზა, რომელიც კახეთ-პერეთზე გავლით ქართლს აკაეშირებდა აღვანენთან. აქეც უნდა ჩამოსულიყო დაღისტუნიდან ყადორის უღელტეხილით ინწობისა და ჩელთის ხეობაზე მომავალი გზა. შესაძლებელია, ძველად აღაზიანშე აქ ფონიც ყოფილიყო და, ამდენად, შიდაკახეთის გზის კონტროლიც ტურის ციხის ფუნქციას შეადგენდა.

რაც შეეხება „ჯუარის-ციხეს“, ჩევნ იგი დღევანდელი „ციხისჯუარი“ გვვნია, რომელიც ყვარლისა და ახალსოფლის შორისაა აღაზის ველის ჩრდილოეთიდან შემომსაზღვრელი მთიანეთის კალთაზე, იქ, სადაც დღეს ყვარლის წყალსაცავია მოწყობილი (ადგილი „ჩალანანი“). „ჯუარის ციხიდან“ „ციხისჯურის“ მიღება აღვილა ასახსხელია. სხვა არა იყოს, რა ეამთააღმწერელი შენიშვნას სამცხეის ანალოგიური სახელწოდების ციხე-სიმაგრეზე: „ციხის-ჯუარი, რომელ არს ჯუარის ციხე“-თ („ქართლის ცხოვრება“, II, 1959, 242).

კახეთის ჯუარის ციხე, რომელსაც 1967 წ. მიეკავლით, საქმაოდ დიდი ციხე-სიმაგრის ნაგრევს წარმოადგენს, შიდაციხით, გაღავნის ნაშობით, კარის ეკლესიით და სამცხერნეო ნაგებობებით, რომლებიც განსაკუთრებული სიხშირით

<sup>1</sup>. როგორც საქართველოს ცენტრ. ორქიერის ერთი საბუთიდან იჩვევეა. (ფ. 1448, № 673), ევან ფეოდალურ ხანის ციხე-სიმაგრის მიმღლია ამ ხეობის მოიცავდა.

<sup>2</sup>. ძეგლი შესწავლით ჩევნი იმსტატურის უფრ. შევნ. თანამდებობის, კ. მელითაურის შეკრ.




გამოიწვეოს. მთელი კომპლექსი აგრეთვე ხშირი ტყით არის დაფარული, რაც მის დეტალურ დათვალიერებას აძნებდას. სამხრეთით იგი გადამყურებს აჭაშის რაიანის კელს, ჩრდილოეთიდან კი, როგორც ჩანს, მიმდგამ მთისპირეთს კეტებზე.

ამგვარად, ტურისციხე და ჯუარისციხე ერთმანეთის მომიჯნავე ტერიტორიებს ფლობდნენ. ამ შემოხვევაშიც, უკეთელია, გარეულ დროს ერთმანეთს უნდა შეჯახებოდა ტურისციხელთა და ხახულაგურთა მისწრაფებები მიწისმცულობელობის ზრდისა და, შესაბამისად, პოლიტიკური უძირატესობის მოპოვებისათვის. აյ ეს უპირატესობა ტურისციხელთა მხარეს აღმოჩნდა: ტურისციხის პატრიონებმა კახეთის მეფის ერისთაობა მიიჩინებოდა და ამით, შესაძლებელია, გარეული პრეტეზიებიც გამოაცხადეს ხახულაგურთა მეზობელი სამთავროს მიმართ. რა თქმა უნდა, გამორიცხულია ასეთი ურთიერთობა მშეიძლობანი გზით განვითარებულიყო. „მატიანე ქართლისაის“ ზემომოტანილი ცნობაც ამის საწინააღმდევო მოწოდებას წარმოადგენს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ ციხე-სიმაგრეთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ნათლად წარმოგვიჩნის იმ მატერიალურ საფუძველს, რითაც XI ს-ში (და, რა თქმა უნდა, უფრო ადრეც) გაპირობებული იყო კახელ (და არა მხოლოდ კახელ) მთავარ-ერისთავთა შინაკლასობრივი წინააღმდევობა.

— და და —



გშემის სქემა

## ს ტ ე რ ი ს მ ი ხ ი

„მატიანე ქართლისაი „დიდი თურქობის“ პირველი წლის (1068 წ.) ამზების ოხობისას გვამცნობს: გარდავიდა მარტიველი მისი არგუმენტი, მიუწიეს და დაარ-მიეს ეიდრე სუერის ციხემდე“ (მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, I., თბ., 1955, გვ. 309).

ეს ციხე მოხსენებული აქვს გახუშტი ბაგრატიონის თავის გვოგრაფიაში და ასეთ განსაზღვრას იძლევა: „ეპხის-წყალს ზეით ყვირილას მოერთვის აღმოსავ-ლიდამ სეერის-ხევი, გამოსდის კოლბურის სამყრით წარსულს გორაქებს და მო-დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ კეტუნედ არს ციხე სვერი, არაოდეს ძალით აღებული, ესე დგას კლდესა ზედა და გარემოსა ფრიად დიდ-კრამივანსა“ (ვახუშ-ტი, აღწერა სამეცნოსა საქართველოსა, თბ., 1941 წ., გვ. 155—156).

სოფ. სვერი და ციხე მდებარეობს ქ. ჭიათურის სამხრეთით 7-ოდე ემ დაშო-რებით და აღმინისტრაციულად შედის ჭიათურის ჩაიონში. ციხე დგას სოფლის ჩრდილო განაპირას, სვერის-ხევის მარცხნა, სამხრეთ მხარეს, ციცაბო უერდობ-ზე ამოზიდულ კლდეზე. კლდე წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთით და გარემოსაგან შკერთადაა გამოყოფილი ფრიალოებით. ამ კლდეზე აგებული ციხე-რომელიც გეგმით მთლიანად კლდეს ემორჩილება და მასთანაა შეხამებულ-შერწყმული, პრაქტიკულად სრულიად მიუვალია. ციხის მიდამოებში, მის აღმო-სავლეთით და დასავლეთით 4-ოდ ემ-ზე მდინარე მოედინება ღრმა ხრამში, რომ-ლის ჩრდილოეთ ფლატეში გამოქვაბულებია გამოკვეთილი. ხრამის სიგანე ციხეს-თან 200 მეტრს არ აღმატება. მდინარის კალაპოტიდან ციხემდე სიმაღლე დაახ-ლოებით 150 მ-ია. ციხის კლდის ფრიალოების სიმაღლე სხვადასხვაა — 5-დან



ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପଦି

20-ოდ შეტრამდე. ფრიალობამდე მისასცლელები კი ციცაპი აღმართების მიზანით გვლიც. ქლდის და, მაშასადამე, ციხის უართობი მცირეა, დაახლოებით  $50 \times 15$  მ. შესასცლელი ციხეს, ჩანს, პერინია აღმოსაცლელით, დანალი ფრიალოს მხარეს.


ციხის კედლები ნაირადაა ნაგები. სამშენებლოდ ნახმარია: რიყის ქვა, კლდის ნაგლეჯი ქვა და გათლილი თუ ნახევრად გათლილი კვადრები. შეიმჩნევა, რომ სამშენებლო მასალის ეს ნაირობა სხვადასხვა სამშენებლო ფენას მიეკუთვნება. იმ კედლებში, რომლებმაც სამიცე წყობა შემოგვინახა, მათი თანმიმდევრობა ქვემოდან ზემოთ ასეთია: ნახევრად გათლილი მცირე კვადრები, რიგების პორტალობის დაცვით; შემდეგ — უფრო მოზრდილი გათლილი კვადრები და ზევით რიყისა და კლდის ნაგლეჯი ქვის ნარევი წყობა. ამ სამშენებლო წესის მონაცემების მიხედვით შესაბამისად საში დრო უნდა გამოიყოს: ადრეცენდალური, შეასურდალური და გეგანჟეოდალური. მთელ უეოდალურ ხანაშ შეუწყვეტელ ცხოვრებას ციხის ფრთლობებში უხად მოფანტული თიხის შერპელთა ნატეხებიც შეტყველებს.

ციხის ფრთბობებზე იპოვება თიხის ჭურჭელთა ნატეხები წინა ფრთბობალური დროისაც. კურძოდ — ანტიკური, ადრეკუინისა და გვიანი ბრინჯაოს ხანისა. მაშასადამც, ციხის კლდეზე თუ მის ფრთბობებზე შესაბამის ხანებშიც ყოფილა ცხოვრება. უფრო ძველი ვერაცერი შევნიშვნეთ, გარდა კაჟის ერთი საფხევისა, რომელიც ნეოლითს უნდა განეკუთხებოდეს. თუ ეს ერთი საფხევი შემთხვევით არ მოხვდა აქ რაიმე მიზეზით, მაშინ სეერში ნეოლითის სადამით აღმოჩენა იქნება მოსალოდნელი.

სამწუხაროდ, არაა შესაძლებლობა დაკვირ-  
ებისა ციხის შიგნით რა ხანის კურსლეული გვხვდება, შიდა ტერიტორია ნან-  
გრევებითა ამოესებლი.

XI საკუუნის 60-იან წლებში თუ სევრი სელეკციებს უმაგრდება, ცხადია, იყი უწინარესს უნდა იყოს აგებული. ციხის ფერდობებზე გვიან ანტიკური და ადრე-ფერდალური დროის თიხის ჭურჭელთა ნატეხების მოვანტეა და ამ არქეოლოგიურ ფენის შეპირისპირება ციხის იმ სამშენებლო ფენასთან, რომელიც ნახევრად გათლილი შეიძრებოს პორტონტალური წყობითა ნაგები, ამ ციხის ადრესულდალური ხარის დასაწყისი საკუუნებით დათარიღებისაკენ ხრის აზრს.

გათლილი მოზრდილი კვადრებით ნაგები კუდლები აღმაღ სელკუკის, „დიდი თურქობის“ შემდეგ დროინდელი სამშენებლო პერიოდია.



სვერის გამე.



თის მეფის ალექსანდრე V-ის 1737 წლის რეუაზე, რომლის მიხედვით ჰქონდა გურებიან-საოცურებიანია. შესასვლელი ამის მიხედვით მაღლა პეტრია მიწყობილი და იქ ასელა, ჩანს, მისადაგმელი კიბით ყოფილა შესაძლებელი.

ამ ხანაში (XVIII ს.) ციხე სამეფო ჩანს. 1790 წლის ერთ დოკუმენტში სვერის მეციხოვნე მეფის ქეშიკად იხსენიება (მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953 წ. II, გვ. 89).

ადგილი, სადაც ადამიანმა ჯერ კიდევ ნეოლითში (?) მოიკიდა ფეხი და გვანანდრინჯაოს ხანიდან მაიც ამ ადგილს აღარ მოსცილდა, თავისითაგად მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო, თანაც ისეთი პუნქტი, სადაც აღრევეოდა-ლურ ხანაში ციხე იგება, რომელიც მოელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე ცოცხლობს.

რა იყო ის პირობა, რამაც სვერი ასეთ პუნქტად აქცია?

ეს პირობაა სვერის მდებარეობა, მისი იმერეთ-ამერეთის გზასთან კაცშირი. სვერი რომ გზაზე იდო, ეს კარგად ჩანს „მატიანე ქართლისაის“ იმ ცნობით, რომელიც დასაწყისში მოეტიანეთ.

შეა საუკუნეებში ქართლიდან იმერეთში რამდენიმე გზა გადიოდა: ერთი გზა ფრონეს ხეობის აყოლებით და პერანგას მთის გაელით ყვირილის ხეობაში, კურიაში ჩაღილდა და ჩიხა-საჩხერეს მივიღოდა; მეორე გზა — ერთი მხრით აბი-სი-წაღვლის გაელით და ლატნის-წყლის აყოლებით და, მეორე მხრით — ალზე გაელით, ჭერათხევის აყოლებით სოფ. ჯვარს გაიღოდა (ჯვარი მდებარეობს ლიხის ქედის იმ მონაკვეთზე, რომელსაც კაპრების სერი ჰქვია). და კორმოულის გაელით სვერის ჩადიოდა. სვერიდან გზა ერთი მხრით წინსოფლის ჩაელით ნაცარ-ძეთ-კაცხე მიღიოდა და შემდეგ სკანდა-ჩხარის გაელით ქუთაისს უწევდა; მეორე მხრით, თვალუეთ-ჩხრიაულ-გიზრულ-სანახშირის გაელით შორაპანში ჩადიოდა. ამ გზას განსტრობა ძქონდა გერმერულთან, რომელიც ბოსლევისაკენ მიღიოდა და შემდეგ საზანო-ზოერეთი-ტელეფას გაელით ჩხართან უერთდებოდა ჩხარ-ქუთაისის გზას; მესამე გზა ჭერათხევიდან ლიხზე გადადიოდა კორტოხის გადასასვლელით და ძირულის ხეობაში ჩადიოდა სოფ. ჭალოვანთან. ჭალოვნიდან ან ძირულას დაუცვებოდა და გერმული-ამაშუკეთის გაელით შორაპანისაკენ წავიდოდა ან კორბოულ-უსახელო-ნიკოზეთის გაელით ისევ სვერამდე უწევდა; მეოთხე გზა ჭერათხევიდან ამის სამხრეთი დედამცრას გადასასვლელით და ულუმბის მონასტრის გაელით, ღოფორა-ლიქჩზე გადიოდა და ძირულის ხეობის დაყოლებით ამაშუკეთ-შორაპანისაკენ მიღიოდა.

ამათ სამხრეთით სხვა გადასასვლელიც იყო — რიკოთის, ფონას, ქვიშეოციხისძირისა, მაგრამ მათ სვერთან კაცშირი არა ჰქონიათ და სიტყვას აღარ გავა-გრძელებთ. ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი ყველა გზა დაწერილებითა აქვს განხილული აკად. ნ. ბერძენიშვილს თავის ნაშრომებში და დაინტერესებული მკითხველი იქ იპოვნის ცნობებს მათ შესახებ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქარ-

თვეელის ისტორიის საკითხები, I, გვ. 19—24; გზები რუსთაველის ეპოქის ცამარტინული თვეელოში, გვ. 28—37).

როგორც ვხდეთავთ სვერი მეტად მნიშვნელოვან გზასაყარზე იდო. ჯვარ-კორტობის გადასასვლელებიდან გზები აქ იყრიდნენ თავს და აქცე განშტოდებოდნენ დასვლეთისაკენ მიმავალნი. ამ გზებით შიდა ქართლიდან მიმავალი მაშინევ ხედებოდნენ ზემო-იმერეთის ზეგანზე, მდიდარ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში და ასცდებოდნენ ძირულა ჩიხირიმელას ხეობების ძნელსაგალ ვიწროებს.

როგორც ჩანს, სეღჯუცბი სწორედ ჯვრის გადასასვლელით გადავიდნენ არგვეთს. იმ დროინდელი ერთი არაპი ისტორიკოსის ცნობით „აფხაზთა საზღვარზე ერთი ციხე იყო, რომელსაც სალიბის ციხე (კალათულ-სალიბი) ჰქონა. ამ ციხეს ისეთი მამაცი ჯარი იცავდა, რომელებსაც ხმლისა და შუბის არ ეშინო-



სვერის ციხე. ნახატი

დათ და ომს არ გაურბოდნენ“... (სადრუდლინ აბულპასან ალი იბნ ნაშირ იბნ ალი ელ-ქუსეინი, „სეღჯუკათა სახელმწიფოს ისტორია“. თარგმანი და კომენტარები ნ. შენგელიასი, ხელნაწერი, მისი სარგებლობისათვის მთარგმნელს დიდ მადლობას მოვახსენებ) ეს ცნობა „მატიიანე ქართლისაი“—ში მოთხრობილ ამბავს ეხება. ამ ცნობაში საინტერესო ისაა, რომ ციხე, რომელმაც გზა ჩაუკეტა დასავლეთში გადასულ სეღჯუცბს, სვერის სახელით კა არ იხსნიება, არამედ „ქალათულ სალიბ“—ად, რაც თარგმანში „ჯვრის ციხეს“ ნიშნავს (ნ. შენგელია). თუ გავითვალისწინებთ, რომ სვერის ციხე ჯვრის გადასასვლელის გზის ყველში დგას და მას ჰკეტავს, მაშინ უცხო ისტორიკოსისათვის იგი სწორედ „ჯვრის ციხე“ (კალათულ სალიბი) უნდა ყოფილიყო. აქედან კი გამოდის, რომ სეღჯუცბი არგვეთს გადავიდნენ და სევრამდე უწიეს სწორედ ჯვრის გადასასვლელით.

არაპი ისტორიკოსის ცნობის ასეთ გაგებასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ



დაცით მეფის სადგომს წალულში, აშეარად გამოჩენდება ჯვარ-კორტოზის გზის  
დიდი მინშენელობა იმერეთ-ამერეთის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთი-  
ერთობაში.

ამის შემდეგ გასაგები ხდება სერიის ოდითგანვე დასახლება, იქ უწყვეტა  
ცხოვრება თითქმის ისტორიის მთელ სივრძეზე და ადრეულოდალური ხანიდან  
ვიღრე იმერეთის სამეფოს ბოლო დღემდე ციხის არსებობა.

სერიის მაგალითით ერთხელ კიდევ ცხადად ჩანს ციხისა და გზის ურთიერთ  
კავშირი, ციხის აუცილებლობა გზისათვის.

ცველა ამის გამო საჭიროდ მიგვაჩინია სერიის ციხის საფუძვლიანი მეცნიე-  
რული შესწავლა. ეინ იცის კიდევ რამდენ საინტერესოს და აზალ უაქტს შესძენს  
მისი არქეოლოგიური გათხრა ჩვენი ერის წარსულს.

## იური სიჩარულიძე

ფ. გავახიშვილის სიხ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
მისტიკურის მეცნიერ-თანამშრომელი

### „უხეიმერიონის“ აღგილებისას

(წინასწარი ცნობა)

უხეიმერიონის „ზაგარი ციხე“, როგორც პროექტი კესარიელი მიუთითებს,  
„ქუთაისის მახლობლად“ „სკომიის“ გზაზე იდგა.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1833 წელს მოიხილა საქართვე-  
ლის სიცელენი, უხეიმერიონის ქუთაისის „არქიელის“ გორაზე გულისხმობდა.  
ეს მოსაზრება შემდეგ ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა.



დიუბუამცნის ციხე. ეკლის ფრაგმენტი

დიუბუას პიპოთეზა სამართლიანად უარყო ს. ყაუხჩიშვილმა და შესაძლებ-  
ლად მიიჩნია მისი ონოგურისთან გაიგივება.


მოგვიანებით მკვლევარმა ამას უხეიმერიონ-სქიმარის (resp. სკიმარი)  
ა. ბრილიანტოვის უძლიერი დაკაცირება ამჯობინა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ

<sup>1</sup> რევოლუციამდე ქართულ სისტორიით ლიტერატურაში ეს სახელწოდება „უხეიმერიონის“  
ფრაგმით იხსენიება (დ. ბაქრაძე, ისტორიის საქართველოს ტულისი, 1889, გვ. 78; ს. გ თ გ ა-  
კე, ბაგრატის ტაძარი, თბილისი 1911 წ., გვ. 3), ხოლო შემდეგ „უხეიმერიონი“ დამკიცილდა.

ჩვენი დაკაცირებით, უფრო ზუსტა „უხეიმერიონი“ როგორც ეს პროექტი კესარიელთან  
გულდება. მიტომაც ამ ფრაგმით ვხმარობთ.

„სქიმარს“ ღერმუშში კი არ გულისხმობდა, არამედ — „გორდის გადატყვანისთვის“ უნაგირას მთის კალთაზე<sup>1</sup>. სიმონ ჩაუხებიშვილი შემდეგშიც გულმიდგინედ აკვირდებოდა ამ საკითხს და 1965 წელს ასეთ დასკვნამდე მიეციდა: „უქიმერიონი მდებარეობდა ქუთაისის მახლობლად, სკვიმნისა და სეანისაკენ“ მიმავალ გზაზე სახელფობრ. თუ სად მდებარეობდა ის, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია<sup>2</sup>.

1968 წლის სექტემბერში ცხენისწყლის ხეობაში ისტორიულ-გეოგრაფიული დაზეერცების დროს ჩვენი ყურადღება მიეცეცია დიდღაბუნის დიდმა ციხემ (წულუკიძის რ-ნი). ეს აღრეცეოდალური ხანის სიმაგრე ოხვირისა და ცხენისწყლის



დიდღაბუნის ციხე-დასავლეთის მხრიდან

შესაყარში მდებარეობს. მის ჩრდილო-დასავლეთით, საემაოდ მაღალ ბორცვზე, შემონახულია პატარა ციხის ნაშთი. ეს ციხე, ჩვენი დაკვირვებით, დიდღაბუნის დიდი ციხის მისადგომებს იცავდა.

დიდღაბუნის დიდი ციხე უხეიმერიონი უნდა იყოს. გარდა ასაკის ერთგვარობისა (აღრეცეოდალური ხანა), ამას ადასტურებს მისი ადგილმდებარეობა და მოცულობაც.

<sup>1</sup> გეორგია, IV, ნაკვეთი I, ბერძნელი ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმატებები დაუტომ ს. კაუჩინიშვილმა, თბილისი, 1941 წ., გვ. 56 სქოლო.

<sup>2</sup> გეორგია, II, მეორე შეკვებული გამოცემა, გვ. 204, სქოლით.

დიდლეგაბუნას დიდი ციხე კონტროლს ამჟარებს იმ გზაზე, რომელიც ცხენის-წყლის ხეობაში გადიოდა და ლეჩეუმს (სკვიმია) და სვანეთს ბართან აკავ-შირებდა.

ლეჩეუმ-სვანეთის მოხირისთან დამაკავშირებელი მეორე გზა რიონის ხეობაში გადიოდა, მაგრამ უხეიმერიონი რომ ამ გზაზე არ იდგა, ეს იმ ეპიზოდიდანაც კარგად ჩანს, რომელშიც სპარსთაგან ამ ციხის დაკავებაა აღწერილი (VI ს-ნის 50-იანი წლები). აქედან ირკვევა, რომ იმ დროს ქუთაისი სპარსელებს ეჭირათ, ხოლო რომაელებმ და ლაზები გამაგრებული იყვნენ არქოპოლისში, უხეიმერიონ-სა და ზოგიერთ სხვა ციხეში<sup>2</sup>.

სპარსელებს კარგად პქონდათ შეცონბილი უხეიმერიონის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგრამ, რადგან მისი იარაღით აღება ჭირდა, მათ ისარგებლეს ერთო ლაზი დიდეკაცის, ეინმე თეოფონის, ანტირომაული განწყობილებით, კავშირი გააძეს მასთან და მის მეოხებით დაიჭირეს ეს ციხე. უხეიმერიონის დაკავებითო, — წერს ბიზანტიილი ისტორიკასი ისინი „...მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიეს. მაგრამ მართო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელი სპარსელებმა, არამედ სკვიმიაცა და სვანიაც“<sup>3</sup>.

რიონის ხეობაში გამავალი გზა და, კერძოდ, ქუთაისის ციხე, როგორც ითქვა, სპარსელებს უკვე ეპყრათ, ახლა კი ლეჩეუმ-სვანეთის მეორე მაგისტრალი დაიჭირეს და არა მართო სკვიმინისა და სვანეთის პრობლემა გადაწყვიტეს, არამედ მთელ აღმოსავლეთ ლაზიკაში განმტკიცდნენ.

დიდლეგაბუნას დადი ციხე მოცულობითაც შეესაბამება უხეიმერიონს. მართალია, ჩვენ ამ ციხის სიდიდეზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი იმგვარი სიძლიერე, რომელშეც პროკომი კესარიელი მიგვინიშნება<sup>4</sup>, მართოდენ სტრატეგიული მომენტით არ შეიძლება ყოველიკურ გამირობებული, ამისათვის გარნიზონის სიდიდეც არის საგულისხმებელი, რომელიც თავის მხრივ ციხის საკმარის მოცულობას გვავარაუდებინება.

დიდლეგაბუნას დადი ციხისა და უხეიმერიონის გასსაიგივებლად საყურადღე-სოა ის გარემოებაც, რომ ცხენისწყლის ხეობის იმ ზოლში, სადაც ეს ციხე არის საგულებელი, დიდლეგაბუნას ციხეზე თვალსაჩინო სრმაგრე არ დასტურდება.

უკველადერი ეს საფუძველს გვაძლევდა ამ საკითხის დასაყენებლად.

<sup>1</sup> გეორგია, II, გვ. 203.

<sup>2</sup> ოქან, გვ. 200—202.

<sup>3</sup> ოქან, გვ. 200.

<sup>4</sup> ოქან, გვ. 196.

## თამაზ გირაძე

ისტორიის შეცნობრებითა კანდიდატი

### XVII ს-ის პირველი ნახევრის რდიშის აჩვა

ლევან II დადიანის დროს (1611—1657 წწ.) ოდიშის სამთავრო დასავლეთ საქართველოს უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი გადაჭიმული იყო. მდ. კელასურიდან მდ. ცხენისწყლამდე და ზღვიდან მთამდე. ოდიშის ესაზღვრებოდა აფხაზეთის სამთავრო, სვანეთი, იმერეთის სამეფო და გურიის სამთავრო.

ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ოდიშს აფხაზეთი ემეზობლებოდა. ზღვასთან საზღვარი მდ. კელასურის შარცენა ნაპირზე გადიოდა. ოდიშის მთავარს აქვეთვენდა სანაბიროს ვიწრო დაბლობი ზოლი. კოდორის ხეობის ზემოწელი აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში იყო. შემდეგ საზღვარი მიუკვებოდა ფანაფის ქედს.

ოდიშს სვანეთისაგან ეგრისის ქედი გამოყოფდა. ენგურის ხეობაში იგი სადადეშეცლიანო სვანეთის ესაზღვრებოდა. ოდიშის სამთავროს უკანასკნელი პუნქტი ამ ხეობაში იყო სოფელი ხულონი.

ცხენისწყლის ხეობის ზემო წელი, ქვემო სვანეთი და ლეჩები, ამ ხანაში იმერეთის სამეფოში შედიოდა. ლეჩების ქვემოთ, საზღვარი, იმერეთსა და ოდიშს შორის მდინარე ცხენისწყალს მიუკვებოდა.

გურიისა და იდაში შორის საზღვარი მდ. რიონი ითვლებოდა. ამავე დროს ამ მდინარის მარცხენა ნაპირას მდინარე ზოგიერთი სოფელი იდიშში შემოდიოდა.

გვიანდელი ხანაში მთავარ რეზიდენციას ოდიშის მთავრთათვის წარმოადგენდა ზუგდიდი — „სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზედუდებოდილიანი.“ უფრო ადრე, დადიანთა მთავარი სამყოფელი ჰაქეციჯაში იყო. ზუგდიდის როლის დაწინაურება განაპირობა ზღვის როლის გაზრდამ იდიშის ცხოვრებაში. აგრეთვე იმან, რომ იგი უფრო ახლო იყო აფხაზეთის საზღვრებთან, რომლის ფერდალები ამ დროისათვის დიდ საფრთხეს უქმნიან იდიშის უშიშროებას.

ოდიშის სამთავროს დასავლეთით შევი ზღვა ესაზღვრებოდა. ლევან II დადიანის დროს საზღვაო ვაჭრობა დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში. ნაოსნობის სეზონი გრძელდებოდა აპრილიდან ოქტომბრამდე. ქვეყანაში ზღვით შემთდომა: შარილი, გამხმარი თევზი, ხელოსნობის მრავალი ნაწარმი, ფუფუნების საგნები. იდიშიდან გაპქონდათ ტილო, აბრეშუმი, თალუი, ცოლი... გამყაფდათ ტუკევები. უნდა აღინიშნოს, რომ ტუკევთა სყიდვას ლევან II დადიანის დროს არ პქონდა ისეთი კატასტროფიული ხასიათი, როგორც შემდეგში.

შევი ზღვის აღმისავლეთი სანაპირო მეტად. სწორისაზოვანია და პუნქტირივი ნავმისადგომები ძალზე ნაკლებია. ამიტომ ოდიშში ნავსადგურების როლს მდინარეთა შესართავები თამაშობდნენ. ჩვენთვის ცნობილია ამ ხანის შემდეგი ნავსადგურები: ფოთი, კემელი, (ასე ეწოდებოდა დღევანდელ უკლევს, რომელმაც თავისი სახელი თურქული რედუტ ყალესაგან მიიღო), ანაკლია და ტუაყურუ. უკანასკნელი ნავსადგურის ლოკალიზაცია არ ხერხდება. ქართული წყაროების





შიხედვით ის მდებარეობდა ოჩამჩირის დასაცლეთით, რომელიღაც მდინარის შემდეგში ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იწვევს ერთი რამ: ქართულ წყაროებში არ მოიხსენიება ოდიშის ერთი მნიშვნელოვანი ნაესადგური, რომელსაც უცხოური წყაროები ისგაურს || ისკურიას უწოდებენ. შეიძლება ტყაყურე ამ ნაესადგურის ქართული სახელი იყოს.

დიდი იალენიანი ხომალდები ნაესადგურებში ჩერდებოდნენ და იქ აჭარმო-ებდნენ ვაკრობას. აქ მთავრის სპეციალური მოხელეები ბაჟს კრეფიდნენ შემო-ტანილ თუ გატანილ საქონელზე.


თუ დიდი ხომალდები ნაესადგურებში ჩერდებოდნენ, ნიჩიბიანი ნაები მდინარებს აყვაბოდნენ ქცევნის სიღრმეში. რიონზე ნაეს ქუთაისამდე შეიდი კილო-მეტრის დაშორებით ამოდიოდა. მდინარე ხობით ნაები ხობის მონასტრამდე აღწევდა. მდინარე მოქვით — მერქელამდე. საკმაოდ შორს ადიოდნენ ნაები ენგურზეც. ეს ნაები ჩერდებოდნენ სოფლებში და ვაკრობდნენ. ბაჟს იქ არსებულ საბაკოებს უხდიდნენ. ამგვარი საბაკოები იყო რიონზე — ჭალადიდში, მდ. ხოპშე — ქარიატას და ხორგაში, მერქულაში — მდ. მოქვზე.

შევი ზღვის გზით ოდიშში მრავალი ეროვნების ადამიანი ირეოდა. ზოგი მათგანი სასარგებლო მოლევაშეობას ეწეოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ კათოლიკი მისიონერები. ლევან || დადგანი ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ. უცხოური წყაროები მისიონის ცენტრს წიფურიას უწიოდებენ. იგი მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შეესაბამება, დღეს სოფელ განარჯია — მუხურის ერთ უბანს, — წიფურონს.

გვიანდულდალურ ხანაში ოდიშის სამთავროში ქალაქები არ იყო. ლევან || დადგანმა რუხის ციხესითან დაარსა ქალაქი, სადაც დაასახლა ჩხარიდან გადმოსახლებული ვაკრები და ხელოსნები. ლევან || სიკვდილის შემდეგ ეს ქალაქი დაიცალა. ჩხარელები სამშობლოში დაბრუნდნენ.

ოდიშის სამთავროში ქვეყნის შიგნით გაცელა-გამოცელა ბაზრობებზე ხდებოდა, რომელიც იმართებოდა ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, წელიწადის სხვადასხვა დროს. ამგვარი საბაზრო ადგილებიდან ცნობილია: წიფურონი, კორცხელი, ილორი, ბელია.

ოდიშის ციხე-სიმაგრეთა ერთი ჯეფუის ამოცანას ქვეყნის საზღვრების დაცვა წარმოადგენდა. ლევან || დროს რთული ეითარება იყო ქვეყნის შრდილოდასაცლეთ საზღვარზე. წყაროები ერთგვარ რომანტიკულ სამოსელში ახვევენ ოდიშისა და აფხაზეთის ურთიერთობას ამ ხანაში. ქალიშვილისადმი უსამართლო მოპყრობით შეურაცხყოლი აფხაზეთის მთავარი, ებრძეის უმაღლეს სიძეს ლევან || დადგანს. სინამდევილეში აქ უფრო საშინელი ამბები მზადდებოდა. აფხაზეთის უერთალები ცდილობდნენ თავისი სამცლობელოს აღმოსაცლეთით გავრცელებას. მათი თავდასხმები ღია მდიდრებული შემდეგ ხასიათს ატარებდა. ლევან || რამდენ-ჯერმე წარმატებით იღავშერა აფხაზეთზე, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებდა. ამიტომ ლევან || დადგანმა თავისი სამთავროს ჩრდილო-დასაცლეთი საზღვრების გასამაგრებლად სპეციალური ღონისძიება ჩაატარა. მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც მთასა და ზღვას შორის ვიწრო დაბლობი ზოლია დარჩენილი, მის დროს აგვიბული იქნა გამაგრებული კედელი, სწორედ იქ. სადაც ადრეულეოდალურ ხანაში იდგა „ზღვდე კლისურისა“. ადგილა კედლისათვის კარგად იყო შერჩეული. იგი კეტავდა იმ გზას, რომელიც გაგრისა



და ანაკუთხის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიიდან მოემართებოდა და შემცირდებოდა პირო ზოლს მოუყვებოდა. კელასური აღმოსავლეთით დაბლობი ზოლზე თამაჯაფუნ ფართოვდება და შემოჭრილი მტრის შეწერება ძალიან ძნელია.

საკროთდ, გვიანულეოდალური ხანისათვის დამახასიათებელია, ციხე-სიმაგრეთა აგება ადრეფეოდალური შესაბამისი ხასიათის ნაგებობათა ადგილას. ამგარი გითარებაა იქ, სადაც მოიდან მომავალი გზების დამცველ ციხეებთან გვაქვს საქმე. ეს მოვლენა აისახება იმით, რომ გვიანულეოდალურ ხანაში ერთგვარად გამოირდა ადრეფეოდალური ხანის სიტუაცია. მთა უტევს და პარი იძულებულია თავი დაიკუპას. ამიტომ გვიანულეოდალურ ხანაში ხეობებში ან ადრეფეოდალურ ციხის ნაშთებს გამოიყენებდნენ, ან კიდევ მის ნანგრევების ახლოს ახალ ციხეს აგებენ.

კოდორის ხეობის ზემო წელი აფხაზეთის სამთავროს ეკუთვნოდა. ამიტომ, მათი თარეშის შესაჩერებლად კელასურის კედელი არ იყო საემარისი. ამ მიზნით აშენდა, ზოგ შემთხვევაში შეეკოდა ციხეები, რომელიც მდინარეების კოდორის, მოქვის, დალიძგას, ოქუმის ხეობებში მთიდან მომავალ გზებს კეტავდნენ. ლევან II დადგიანის ბრძნებით ოდიშის ყველა დიდი ფულდალი გაღდებული იყო თავისი რაზმით აფხაზეთის საზღვარზე მორიგეობით ედარავა.

დაცული იყო ის მთავარი გზაც, რომელიც აფხაზეთიდან ოდიშის შუაგული-საკენ მოემართებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩხორთოლის, სათანჯოს ციხეები. ენგურზე გადასასვლელის დასაცავად ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე აგებული იქნა ციხე-სიმაგრე „ოცარცე“. ამ გადასასვლელს ენგურის მარცხენა ნაპირზე რუხის ციხე იცავდა.

რუხის ციხე ლევან II დადგიანის დროსაა აგებული. მისი მთავარი ამოცანა იყო ზუგდიდი და საერთოდ აღმოსავლეთ ოდიშის დაბლობი ნაწილი დაცული აფხაზეთის შემოსეებიდან. ამ დროს რუხის ციხე ოდიშის ყველაზე ძლიერი სიმაგრეა. მეციონენებს აქვთ არტილერიაც. ჩვენ არ ვიცით იდგა თუ არა ზარბაზნები ოდიშის სხვა რომელიმე ციხეში, თუმცა შესაძლებელია, რადგან ლევან II დადგიანს ჰყავდა ზარბაზნების ოსტატები.

გამაგრებული იყო გზები, რომელიც ენგურისა და ჭანისწყლის ხეობებით სეანეთიდან ოდიშისაკენ მოემართებოდა. აქცუ, ადრეფეოდალური ხანის ციხეთა ახლოს, აგებული იქნა ახალი ციხეები. მდ. ენგურისა და მაგანას წყალგამყოფ ქედზე არსებული ადრეფეოდალური ციხის მახლობლად რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აგებული იქნა „ომუნეს“ ციხე. ჭანისწყლის ხეობაში ადრეფეოდალური ხანის ციხის ნანგრევთა გვერდით — „ლაურიას“ საყარაულო კოშკი.

სეანეთიდან მომავალი გზების დაცვას ემსახურებოდა ჯგალის ციხე. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა ჩევალურის პატარა ციხესაც.

მდ. ღალიძეს აღმოსავლეთით ენგურის ხეობამდე და ჭანისწყლის აღმოსავლეთით აფხაზეთიდან ან სეანეთიდან გადმოსასვლელი გზები არაა. ამიტომ ოდიშის ამ ნაწილებში საზღვრის დამცველი ციხეები არ გვხვდება.

არ იყო გამაგრებული საზღვარი იმერეთან და გურიასთან. ციხე-სიმაგრეები აქ საზღვრებიდან მოშორებით უნაგირას ქედზე გვხვდება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ლევან II დადგიანის ხანაში ოდიშის ყველაზე ძლიერი ციხე რუხის იდგა. შემდეგი სიძლიერისა და მნიშვნელობის მიხედვით



მოდიოდნენ: გაქვიჯის, შხეფის, ხეთის, თამაკონის, ლიას, ჯგალის, სათმარშეს და სხვა ციხეები.

ციხეთა ერთი ჯგუფი ციხე-დარბაზებს წარმოადგენდა. ისინი ერთმანეთისა-გან განსხვავდებოდნენ პატრიონის შეძლების მიხედვით. მაგალითად, ციხე-დარბაზი ნოღაში ოდიშის მთაგარს ეკუთხოდა. იგი საკმაოდ დიდი ნაგებობაა. აქ ჯვარედინად დგას თითო მრგვალი კოშეი. ისინი რამდენიმე სართულიანია. ყოველ სართულს აქვს სარკმელი და ბუხარი. აღმოსავლეთი კოშეის ქვედა სართული გამოყენებულია ყვლესიად. ნოღას ციხე-დარბაზი შეუალეოდალურ ხანაშია აგებული. გვანიფეოდალურ ხანაში მისთვის მეორე, სათოფურიანი კედელი შემოულიათ.

დიდი ფეოდალის ციხე-დარბაზი დგას სოფელ რჩენში. იგი მოცულობით შედარებით პატარაა. აქეს ორი კოშეი, რომელიც გალავნის კედლებიდან არ გამოდიან. უკეთესად შენახულ სამხრეთის კოშეში შემორჩენილია სარდაფი და სამი სართული.

მცირე შეძლების ფეოდალის ციხე-დარბაზი დგას სოფელ ჯაღრაში. იგი შედგება რამდენიმე სართულიანი კოშეისაგან და გალავნისაგან.

ციხე-სიმაგრეთა ერთი ჯგუფი თავშესატას წარმოადგენდა შემოსევების დროს. ასეთი ციხე შედგებოდა ქვის გალავნისაგან, რომელშიც მოცული იყო ერთი ქვისა და რამდენიმე ხის კოშეი. ჩევეულებრივ მას აგებდნენ ტყეში და საში-შროების შემთხვევაში მისკენ მიმაგალ გზებს მოჭრილი ხეებით ხერგავდნენ. მოსახლეობა ამ ციხეს შემოსევების დროს აფარებდა თავს. სხვა დროს იგი ცარიელი იყო. ასეთ ციხეებს ჩევეულებრივ დაბლობ ადგილებში აშენებდნენ.

დავეან || დადიანის დროს ოდიშში ექვის საეპისკოპოსო კათედრალი იყო: ჰუონდილის, წალენჯიხის, ცამიშის, ბედილის, მოქეცია და დრანდის. საეპისკოპოსოს ცენტრები შედგებოდა ეპისკოპოსის სასახლისაგან. საეპისკოპოსო ცელესისაგან და მონასტრისაგან.

ოდიშში საპატიო ადგილი ეკავა ჰუონდილის კათედრალს. ჰუონდილის ცნობილი ტაძარი აგებულია წმინდა მოწამეთა (მარტვილის) სახლობაზე. ამიტომ მომდევნო ხანაში ეკლესია და მონასტრისტერი აქ მარტვილისადან იწოდებოდა. ეს სახელი თანადათანობით გავრცელდა დასახლებულ პენტეზეც და ჰუონდილი მარტვილი მა შეცვალა. დავეან III დროს სოფლის აღსანიშნავად მარტვილი და ჰუონდილი თანაბრად იხსარებოდა. შემდეგ სოფელს მარტვილი ეწოდა, ხოლო საეპისკოპოსოს კათედრალის სახელი ჰუონდილი უცვლელი დარჩა.

ჰუონდიდელის სამწყსო გადაჭიმული იყო მდ. ცხენისწყლიდან მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირამდე და მთიდან რიონამდე.

ჰუონდიდელის ეპარქიას ესაზღვრებოდა წალენჯიხის საეპისკოპოსო. წალენჯიხელის სამწყსოს წარმოადგენდა ტეხურის დასავლეთით მთავრირიანი ტერიტორია: ვახუშტის ცნობით, ენგურის მარჯვენა ნაპირზე წალენჯიხელის სამწყსო ზღვამდე აღწევდა.

ჰუონდიდელისა და წალენჯიხელის სამწყსოებს შორის მოქეცეული იყო ცამის საეპისკოპოსო. იგი ვრცელდებოდა ურთას მთიანი ზოლიდან ზღვამდე და ენგურიდან ტეხურამდე.

მდ. ერისწყალსა და მოქეს შორის მოქეცეული იყო ბედიელის სამწყსო. მის

ჩრდილო დასავლეთით მდ. კოდორაშიდე გადაჭიმული იყო მოქმედის საეპისკოპოსო. ცარიცაზე მოლოდინის დასავლეთით დრანდელის სამწყსო იყო.

სასულიერო იტარებაში ეპისკოპოსების მომდევნო ადგილი მონასტრის წინამდღვრებს კვაგათ. მონასტრები იყო საკათალიკოსო, საეპისკოპოსო... როგორც აღნიშნეთ, თითოეულ საეპისკოპოსო კათედრალთან იყო მონასტრი. ცყონდიდეს ეკუთხნოდა ტყეირის მონასტერი.

ტყაროებში დამოწმებულია შემდეგი საკათალიკოსო მონასტრები: ხობის ღვთისმშობლის მონასტერი, კვის ნათლისმცემელის, ობუჯის წმინდა გიორგის; ორი მონასტერი იყო სოფელ ჭალაში (ამ სოფელს დღეს ჭლოუ ეწოდება). ერთი - ჯვარი პატიოსნის " სახელმბაზე და მეორე — „წმინდა გიორგის". ცნობილია ქიაჩის მონასტერი, „წმ. მიქაელის" სახელზე აგებული. ქიაჩის მონასტერი მდებარეობდა ოჩამირის რაონის სოფ. ჯვეგრძას მიღამოებში.

არქანულო ღამბერტის ცნობით ლეგან // დადიანის ხანაში მონასტერი იღვა მისიონერების სამყოფელში — წილურონში და ანაკლიაში.

გვიანულობალურ ხანაში მთავარი, ეკლესია და მსხვილი ცეოდალები თავისი ყმა-მამულის ექსპლოატაციას სასახლეთა საშუალებით ახორციელებდნენ. რომლებიც მსხვილი სამეურნეო კომპლექსები იყო — „დაჩბაზით და ჯიხურით", „სახლით" „ჩარდაზით", მარნითა და ბეღლით. სასახლებს ეკუთხნოდა ჯოგები, ყანა, ბოსტანი და სხვა სავარგულები. სასახლებს სპეციალური მოხელეები განავრდა. სასახლეს ქონდა კარის ეკლესია, თუ იგი კერძო პირს ეკუთხნოდა, და საყდარი, თავის სამრეკლოთა, თუ ეს სასახლე ეკლესის იყო.

ოდიშის მთავარი ყველაზე დიდი უერდალი იყო თავის სამფლობელოში და კველაზე მეტი სასახლები მას ეკუთხნოდა. ლეგან // დადიანი სამოცამდე სასახლეს ფლობდა. ჩენე მხოლოდ ზოგი მათგანის ადგილმდებარეობა ვიცით. ლეგან // დადიანის სასახლები იყო ხეთის, ნაქალაქევის, ჭაველის, შეფუნქის, ნაქალაქევის ციხეებში. ამის გარდა მთავარის სასახლები იყო ძიგურში, წამხარში. (დღეს სოფ. თავილონის ერთი უბანია), ჭუწურში, ღალიძეში. (მდებარეობდა იღორთან ახლოს მდ. ღალიძეს მარჯვენა ნაპირზე), კვიტოულში.

ლეგან // დადიანის ხანაში აზხაზთა კათალიკოზის სასახლეთა უმეტესობა ოდიშის სამთავროში იყო. ზოგი მათგანის ლოკალზაფია ჭირს. მაგალითად, მხოლოდ დაახლოებით ვიცით სად მდებარეობდა სოფელი: საქუჩულორი, წყალძე // წყარიგზა, სუბეიში, ხაფული და ხიორი, სადაც კათალიკოსს სასახლეები ეღვა.

სოფელ ხიბულაში აზხაზთის კათალიკოსს ორი სასახლე ჰქონდა. ერთის ნაშით დღესაცაა შემოჩენილი. აქ არის დარბაზის ნანგრევები. შემოჩენილია კოშკი, რომელიც „საყდრის იარაღისათვის ციხე-სალარის" წარმოადგენდა.

აფხაზეთის კათალიკოსის გარდა თავისი სასახლეები ჰქონდათ ეპასკოპოსებ-საც. მაგალითად ლეგან // დადიანის ხანაში ცაიშელს ეკუთხნოდა სასახლეები: წყალიძეგაში, ხეთაში, ჯვალში, ცაიშელში, დარჩელში, ჭალაში, ჩოხათში, ჯორიელში. (ჭალა მდებარეობდა ენგურის პირას, ჩოხათიც იქვე იყო სოფელ დარჩელის მახლობლად. ჯორიელი საგულისხმოა, ზღვის პირას, ჭურიას შესართავში მდებარეობდა).

საერთო უერდალების სასახლეებიდან ცნობილია ღიაპარტიის სასახლე ტარ-



ჩულში და წელუკიძის სასახლე ხორგაში. მომდევნო ხანაში ეს სასახლე ფლატენის  
თის კათალიკოსის ხელში გადავიდა.

ცელესიერი ღლიშე აგებული იყო ქვისაგან ან ხისაგან. ზოგი ეკლესია დიდ  
ქონებას ფლობდა. მათ ეკუთვნოდათ ყმები, სავარგულები, სასახლეები. მაგალი-  
თად, სენაკის საწინამძღვრო საყდარი ორ სასახლეს ფლობდა.

ლევან II დადიანის ხანაში აფხაზეთის კათალიკოსს ერთი საკუთარი ეკლესია  
არ ჰქონდა, რომ „დღესასწაული გადაეხადა“. მხოლოდ 1658 წელს შესწირა ვა-  
შეუ დადაბნება ამ მიზნისათვის სენაკის საყდარი აფხაზეთის კათალიკოსს.

წყაროების და ისტორიულ გეოგრაფიული დაზერცხვების მონაცემებითაა შედ-  
გენილი ლევან II დადიანის ხანის ოდიშის რუკა, რომელიც ჩერილს ახლავს.


## თომის თომი

ფ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ანსტატურის უმცროსი შეცნიერი თანამშრომელი

8 1 6 8 ლ 0 1 0 6 8 6 9 3 0

აღვერთის ხეობა ქვემო ქართლის ყველაზე ჩრდილო ქედებანაა. იგი შიდა ქარ-  
თლის ხეობებს თრიალეთის ქედით ემიჯება. აღმოსავლეთით მას მდ. მტკვრის  
ხეობა საზღვრავს, სამხრეთით კი — ბედენის ქედი და წინწყაროს პლატო, რომე-  
ლიც ლომითაგორა-მარნეულთან ქვემო ქართლის ველში გადადის. დასავლეთით  
აღვერთის ხეობა წალკა-თრიალეთის ზეგანს ეკვრის.

აღვერთის ხეობის ზემო წელი (აღვეთ-მანგლისის მთიანეთი) შეაფილ გან-



ჭ. კურაკეს ვალესის კანკელის ფრაგმენტი (აღვერთის ხეობა)

სხვავდება ქვემო წელისაგან, რომელიც ქვემო ქართლის ველის (სომხერი წყარო-  
ებით ერაც დაშტის ანუ ქართველთა ველის) შემადგენელი ნაწილია. ზემო წე-  
ლისათვის დამახასიათებელია ზომიერი ჰავა, ხშირი წიწვიანი ტყეები და შვენი-  
ერი საძოვრები, ხოლო ქვემო წელისათვის ნოკიერი ნიადაგები და მორწყვის შე-  
საძლებლობა. რელიეფისა და ჰავის ნაირგვარობამ განსაზღვრა მეურნეობის მრა-  
ვალმხრივობა. წერილობითი წყაროებითა და შატერიალური კულტურის ნაშე-  
გით დასტურდება, რომ აღვერთის ხეობაში მეურნეობის ორივე ტიპი, ბარისა და  
მთის ზონისა, მეზობლად არსებობდა, ხშირად კი შერწყმული იყო ერთმანეობში.  
ხაზგასმულია მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზების მოხერხებუ-



ლობა და, რაც მთავარია, მათი დიდი მნიშვნელობა მთელი აღმოსაფლეთ შექმნაული თვეოლოსათვის. ალგეთის ხეობაზე გადიოდა უძველესი გზები, რომლითაც შეიძლება ქართლი და, კერძოდ, მცხეთა-თბილისი უკავშირდებოდა ქვემო ქართლს, თრიალეთ-ჯავახეთსა და სომხეთს.

მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიურად ალგეთის ხეობა ჯერ კიდევ სისრულით არ არის შესწავლილი, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ადამიანთა ცხოვრების უწყვეტ ჯაჭვს უძველესი დროიდან დღემდე. ენოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩენილია კიკეთში, ახლიაში, ფარცხისში, არდასუბანში. განსაკუთრებით ბევრია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები, რომელთა გარკვეული ნაწილი სამოსახლო გორგებთანაა დაკავშირდებული: ზრბითი, ჩხიკეთა, მაწყევანი, დიდი თონეთი და სხვა. ამათვან ზოგს შემოვლებულ აქვს შშრალი წყობით ნაგები ე.წ. „ციკლოპური“ გადავანი.

1963 წელს ჩეგინი საველე ექსპედიციის დროს მდ. ალგეთის პირას, მის შეუძლიერებელი „მადინისჭალაში“, ალგეთის ლითოგრაფიული ქვეს საბაზოსთან მშენებლები წამუდნენ გვიანბრინჯაოს ხანის ცრცელ სამართვაში, რაც შემდეგ ფართო არქეოლოგიური შესწავლის ობიექტი გახდა (ნ. თუშიშვილი). ეს ფატი ჩეგინს კრებულში აღნიშვნის ღირსია, რადგან აქ კარგად გამოჩენდა, თუ როგორი ყურადღებით ეკიდებიან ისტორიულ ძეგლებს ჩეგინი მშენებელი ინკინრები.

ალგეთის ხეობაში გვხედება უძველეს სამოსახლოთა ერთი სახე — ლოდოვანები. აღსანიშვანია, რომ ლოდოვანები და „ციკლოპური“ ხასიათის გორა-სიმაგრეები ზოლადა გაჭიმული ალგეთის ხეობის სახმარეთ სახლვარზე ლაკვის წყლის სათავეებიდან (ბევრის, გოხნარის, ლაკვის ლოდოვანები) გიღრე ლომთაგორამდე. როგორც ჩანს, ლოდოვანები საქმარე გრძელ ხნის მანძილზეა დასახლებული ადამიანის მიერ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დათარიღებისათვის გადამწყვეტ სიტყვას მხოლოდ მათი არქეოლოგიური შესწავლა თუ იტყვის. ჩეგინს მიერ ლაკვის ლოდოვანში მიკედლეულია ადრეულდალური ხანის ცელესის ნანგრევი წარწერით და სტელა ქალის გამოსახულებით; ბევრის ლოდოვანში შეასავეუნების ფერადჭიმები ქრისტიანული კერამიკის ნაშთები აღმოჩენდა. (გ. ლომთათიძე, ი. გერელიშვილი).


განსაკუთრებით საინტერესოა აღრე ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, რომელშიც გამოიჩინეა ცნობილი „ალგეთის განძი“ (ძე. წ. V საუკ.) იგი წარმოადგენს მდიდრული სამარხის ინვენტარს, მისი მფლობელი კი სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ წრეს უკავშინის. ამავე დროის ძეგლებია აღმოჩენილი აბერაში, მანგლისში, არდასუბანში, ასურეთში, წყნეთში.

შემდგომი ხანის ძეგლები მიუთითებენ მანგლისზე გამავალი გზის დიდ საფაშრო და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. ამის მოწმობაა ძე. წ. მიწურულის არქეოლოგიურ კომპლექსი, რომელშიც ყურადღებას იქცევს მონეტები. ბ. კულტინი აღნიშვნულ კომპლექსს რომაულ-პართული დროით ათარილებს და მიუთითებს მის მციდრო კავშირზე სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსთან.

მანგლისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა რომესა და მის მემკვიდრე ბიზანტიასთან უმთავრესად ხმელეთის გზით (ანატოლიით) გაჩაღდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 26). ალგეთის ხეობაზე და მანგლისზე გამავალი გზის მნიშვნელობა კარგად ჩანს წერილობით წყაროების ჩეგინებით. მათ



შორის ერთ-ერთი უძველესია „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები რომელის მიხედვით კონსტანტინე კეისარის მიერ გამოგზავნილი იოვანე ეპისკოპოსი მიღის ქართლში და უმნიშვნელოვანეს პუნქტებში პირველ ქრისტიანულ ტაძრებს აგებს: ერუშეთი (არტაანი), წუნდა (ჯავაეთი), მანგლისი (ალგეთ-თრიალეთი) და მცხეთა. ეს გზა „დიდისანია ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთი-ერთობის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო გათელილი“ (ნ. ბერძნიშვილი, იქვე, გვ. 33). ამ დროისათვის მანგლისი ისეთი დიდი და ცნობილი პუნქტია, რომ



ფარცხისი ციხე (ალგეთის ხეობა)

მთელი ხეობა მის სახელს იღებს. „მანგლისის ხევი“ ადრეულ წერილობით წყარ-როებისათვის კარგად ცნობილი ქვეყანაა. ალგეთის ხეობას, როგორც ოვითემარ ეკონომიკურ ერთეულს, ყველა პირობა პქონდა იმისათვის, რომ ადრეულ ცალკე ტერიტორიულ-აღმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბებულიყო. ამ ერთეულის, თან უმთავრესად ხმელეთის გზით (ანატოლიით) გაჩაღდა (ნ. ბერძნიშვილი, სა-ქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 26). ალგეთის ხეობაზე და მანგლისზე გა-მავალი გზის მნიშვნელობა კარგად ჩანს წერილობით წყაროების ჩვენებით. მათ



ზემო წელისათვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო და მაგრა მეზობელ ხეობებთან დამაკავშირებელი რამდენიმე გადასასვლელი.

„მანგლისის ხევი“ პირელად მოიხსენიება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში—და მობრუნდება ქტევარი აღმოსავლეთისაკენ, გაიღის ქართლის ზემო ქვეყანას, გაპოფს გავარებს: ოორს, გორათის ხევს, ტანის ხევს, რომლის თაღშია დეკუხე, და მანგლისის ხევს, ქვეშის ხევს და ბოლონისის ხევს ვიდრე პარუარის გავარამდე, როჩელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს“ (ს. ერემიანი, ძევლი სომხური გეოგრაფია, 1963, გვ. 104, (სომხ.). ეს ძევლი ერთ-ერთი უძველესი წერილობითი წყარო საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. პირველ რიგში ყურადღებას იქცეს ხევების (ქვეყნის) ჩამოთვლა, მათთვის თანმიმდევრობა. მანგლისის ხევი ტანას ხევსა და ქვეშის ხევს შორის არის მოქცეული, ხოლო როგორც ჩანს, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას აკრავს თბილისის ქვეყანა. თემის ხევის სათავეები (დეკუხე) ტანას ხევშია მოქცეული. მაშასადამე, „ხევში“ ადგინისტრაციული ტერმინი იგულისხმება და არა გეოგრაფიული. როგორც ჩანს, ქვეყანა ყოველთვის ერთ ხეობას არ ემთხვეოდა, სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა ხევთა გაერთიანება ერთ ქვეყანაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „მანგლისის“ საზღვრებიც სცდებოდა აღგეთის ხეობის გეოგრაფიულ ფარგლებს და სხვა წყაროებიდანც ჩანს, მოიცავდა ვერეს (სკოიროთის) ხეობის დიდ ნაწილს.

მანგლისისა და მისი ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჰაბიბი ინდ მასლამას „დაცეის სიგელი“. 654 წელს, სომხეთის დაპყრობის შემდეგ, არაბები ქართლისაკენ გამოიმართნენ. ქართლის ერისმთავარის მათთვის ელჩი შეუგებები და ზაფი უთხოვნია. არაბთა სარდალს გაუცია კ. წ. „დაცეის სიგელი“, რომელშიც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული. ეს არის წიგნი ჰაბიბი ინდ მასლამასაგან თბილისის მთსახლეობისაგან მანგლისის თემიდან... (ბალაზორის ვარიანტი). თბილისის დაცებარეობა მანგლისის თემში (ქვეყანაში), ჩვენის აზრით, გამორიცხულია, რადგან იქ ზის ქართლის პატრიკიოზი და ქალაქ თბილისის დაპყრობა ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არაბთა ლაშერისა. როგორც არ უნდა იყოს გაგებული „დაცეის სიგელის“ ტექსტი, ერთი რამ აშეარაა: მანგლისი დიდი და მნიშვნელოვანი ქვეყნის ცენტრი.

არაბებმა იმხანად ქართლში ფეხი ვერ მოიკიდეს. მხოლოდ მურგან ყრუს ლაშერობამ გატეხა წელში ქართლი (736—738). არაბთა დაპყრობის შემდეგ მანგლისის ხევი, ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი, თბილისის საამიროს შემადგენლობაში მოეცა. ამ ახალი პლატიტური ერთეულის შექმნას კიდევ უფრო უნდა გაეცხოველებინა აღგეთის ხეობაზე გამავალი საფაურო გზების მიმდევნელობა, რადგან თბილიში თავს იყრიდნენ მრავალი ქვეყნის გაშრები. თბილისის საამიროს ტერიტორია დროთა განმაელობაში ცვლილებებს განიცდიდა, თანდათან იზღუდებოდა, მიწებს კარგავდა. IX საუკუნის დამდეგიდან თბილისის ამირას მხოლოდ ქვემო ქართლი შემორჩა (ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, გვ. 391). მაღვ მათ ქვემო ქართლის დიდი ნაწილიც დაკარგეს და მხოლოდ მანგლისის ხევი, სამშეილდის ქვეყანა და თბილისის გარშემო მდებარე ტერიტორია და ემორჩილებოდათ: „ხოლო გუარამ დაცურა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტაანი და პპრძმოდა სარკინზეთა“ (მატანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 258). ასე გაგრძელდა IX საუკ. მოლომდე,

სანამ თრიალეთის მხარეს ბალვაშები არ დაექატრონენ: „და შეიძლოს უსიმაშისტერ ქუეყანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“ (იქვე, გვ. 258).

კლდეკარის ციხის პატრონთა მფლობელობა თავდაპირველად მხოლოდ



გრაფიკუსის სამჩუდო

თრიალეთით იცარგლებოდა, რადგან არც ერთ მეზობელ ხევში მათ ციხე არ გააჩნდათ. თვით კლდეკარის ციხის მდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ძირითადად აგებული იყო თრიალეთში ამავალი გზების ჩასაკრალ თბილისის საამიროს მხრიდან. ამასთან ერთად იგი დარაჯობდა შიდა ქართლის ხეობებით



ଟରିକାଲ୍‌ଗ୍ରେଟ-ଜ୍ଞାନାବ୍ଦେଶି ଅମ୍ବାଲ୍ ଶ୍ରୀପଦେଶ୍. ଶ୍ରୀପଦେଶ୍ ତାନ୍ତ୍ରାତାନ୍ କ୍ଲିନିକାର୍କିସ ଉରିସିଥାଏଇରୁଣ୍ୟ ଆଫାରାରତୋର୍ବେଙ୍କ ତାଙ୍କୁ ସାମ୍ବଲିନ୍‌ପ୍ରେସର୍ସ ଦା ମିର୍ରେଲ ରିକ୍ଷଟି ଶିରିର୍କେର ମଧ୍ୟ ଶ୍ରୀପଦେଶ୍ ପରେବିଳାନ, ଶାକରାନ୍‌ପ୍ର କ୍ଲିନିକାର୍କିସ ଶ୍ରୀପଦେଶ୍ ଅଛିଲା: ତ୍ରାନାଶ, ଟେମ୍ପିମ୍ବା ଦା ଅଳ୍ପବ୍ୟବିଲାନ ହେଉଥିଲା: “ଯୁଗମ ମିଳ ଯାଏଇ, ଉରିସିଥାବାଧ କ୍ଲିନିକାର୍କିସା ହାତି ରା ମେଳିନିଲା ପିଲ୍ଲା ଅର୍କିନ୍ଦିଲା ଦା ପାରାରତିଲିଲାବାଗାନ ମିର୍ରୁକୁରାର୍କା ସାମିଶରିଟ-କ୍ରେରିମ ପାଇସିଲ୍‌ମିଶ୍ର ତରିକାଲ୍‌ଗ୍ରେଟ, ମାନ୍ଦାଲି-ଶ୍ରୀପଦେଶ୍ ରା କ୍ଷେତ୍ରିକ ଏକାନ୍ତରିକତା; ଏରା ମିର୍ରିକିଲ୍‌ମିଶ୍ର କ୍ରେଟିଲାଲ୍ ଶ୍ରୀପଦେଶ୍ “ମାତ୍ରାନ୍ତ ପାରାରତିଲିଲାବାଗାନ ମିର୍ରୁକୁରାର୍କା” (ମାତ୍ରାନ୍ତ ପାରାରତିଲିଲାବାଗାନ, “ପାରାରତିଲିଲାବାଗାନ ପ୍ରେରଣିର୍ବେଦା”, ୧, ୧୯୫୫, ପୃ. ୨୭୬).


ალგეთის ხეობაში კლდეკარის ერისთავთა მფლობელობა ბირთვისის სამხრეთით მდებარე სოფ. ხოპისამდე აღწევდა (ც. კოპალიანი). როგორც ჩანს, მკელევარი ამ დასკვნაშედე შისულა იმის გამო, რომ ხოპისის ცელებისასთან დასა „ქელი“, რაც სასაწლევრო ნიშანდა მიერიღოთ და უიგურუსმორ, რომ იგი კლდეკარის ერისთავთა დასმულია. ამას გარდა, ხოპისს ქვევით თბილისის საამიროს დარაჯად შეტად ძლიერ ციხეთა მთელი წყება იდგა: ორბეთის, ბირთვისისა და ფარცხისის ციხეები. თბილისის ამირას რომ ეს ციხეები ეყავა, ამის მოწმობაა „მატიანე ქართლისაის“ ცნობა XI საუკუნისა, სადაც თბილისის ამირას შეაყრობის ამბავია მოხხერობილი. შემდეგ ხანებშიც, როდესაც თბილის კათა მეცე უტივდა: „ტულელთა განიზრახს მოცემა ტფილისისა. და ამის ქალაქისა ბრძოლასა შინა წაუხუნეს ციხენ ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა შეისა ლაშეართა (მატიანე ქართლისაი, „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 296). ამ შემთხვევაში ამირა გადარჩა და ციხეები შეინარჩუნა, მაგრამ ბოლოს ბირთვისი მაინც კლდეკარის ერისთავმა დაიკარო.

ორბეთ-ბირთვის-ფარცხისის ციხეგები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ აღ-  
გეთის ხეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ დიდი მნიშვნელობა ქვეითად ამ  
ქვეყნის პყრობის ფასაზრისით. ისინი ერთ მთლიან გამზარებულ სისტემას  
წარმოადგენდნენ. თუ არა და ასე ახლოს ერთმანეთთან სამი ძლიერი ციხის არსე-  
ბობა გაუგებარი იქნებოდა.

შანგლისი ქვეყნის ცენტრული და საკულტო ცენტრი იყო. პოლიტიკურად  
ქვეყანაზე ეს ციხები ბათონობდნენ. ამიტომ გასაგებია, რატომ ეპრძოდნენ ასეთი  
თავებამოღებით კლდეკარის ერისთავები თბილისის ამირებს ორბეთ-პიროვნების-  
ფარცხისისათვის. შავრამ არც შანგლისის ფლობას პერნადა შეკირდა მნიშვნელობა.  
საინტერესოა, რომ შანგლისის ტაძრის წარწერებში არც ერთხელ კლდეკარის  
ერისთავები არ იხსენიებიან. როგორც ჩანს, საქართველოს მეფებთან ცვალებად  
წარმატებით მიმდინარე შრომლაში, შანგლისის ახალი დიდი ტაძრის აგების  
დროს (1020 წ.), კლდეკარის ერისთავებს მორიგი მარცხი მოუკიდათ. შესაძლოა,  
სწორედ ეს იყო ახალი ტაძრის აგების ძირითადი მიზნები, რითაც მეფე ამ მიტად  
მნიშვნელოვან პუნქტს ხელს ადგებდა. XI საუკუნეში ულეს დაფიც აღმაშენებელმა  
სამოთამოო მოლოდ კლდეკარი საერისთაოს.

შესაბუნებრივი აღგეთის ხეობა მცირდოდ დასახლებული სამეფო შამოლია, რასაც კარგად მოწმობს ამ ხანის უამრავი ნასოფლარი და მატერიალური კულ-ტურის ძეგლი. სწორედ აქაა საქართველოს შეფერა საზაფხულო რეზიდენციები: კულორი, ტაბახელა და გუდარეხი.

XV საკუთრიდან ალგებრის ხეობა „საპარათიანოს“ შემადგენლობაშია.



ქარეთი. ღვთაების ეკლესია. წარწერა ტიპიანში.  
ასლი ცერკვებზე გ. გაფრინდაშვილისა, 1968 წ.

### 1000 ტლის სამშენებლო ჯარისა ძორის ეკლესია

#### 1

სპელეისტებური ექსპედიცია 1968 წ. ისტორიული არგვეთის გამოქვაბულების ზე მომდინარეობა. ექსპედიციის ხელმძღვანი ისტორიული გარემოს კვლევამ სოფ. ქორეთში მიგეიყვანა.

ქორეთი შდებარეობს საჩხერის სამხრეთით ნ კმ. დაშორებით. სოფელში ორი ეკლესია — ერთი დგას ბორცვზე, იგი — უდერძის წმ. გიორგის<sup>1</sup> გვანდელი ნაგებობაა. ეს აღგილი წინაძრისტიანულ უძველეს სალოცავს უნდა აცოცხლებდეს და ურიად პოპულარულია მოსახლეობაში. მეორე, — ღვთაების ეკლესია სოფლის თავში მდებარეობს.

ღვთაების ეკლესია დარბაზული შენობაა. სამხრეთ-დასავლეთის მთელ სიგრძეზე მიშენებული კრიბებით. ეკლესიისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი საფეხურით ამაღლებული საკურთხევლის თავისებურება. აქ აღმოსავლეთის კედელი ბრტყელია, ე. ი. საკურთხეველი სწორკუთხაა. სხვა უფრო ადრეულ ბრტყელ საკურთხევლიან ეკლესიებში ასეთ შემთხვევაში კონჭე გადასვლა

<sup>1</sup> ექსპედიცია მოაწყო აყალ. ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეოსტრიუმის მონაცილეობდნენ: გ. გაფრიდებული, ხელმძღვანელი, ა. ერთა გავა, უცირ. მეცნიერი თანამშრომელი, მომსკვლეული: გ. სამხარავე და ს. ჭაფურიძე, ავტორები: ტ. ვართავავა, ვ. გავაშვილი, ს. უზიაშვილი და თ. აბდუშელიშვილი.



ხდება ტრომპებით<sup>2</sup>. აქ კი ტრომპების მაგიერ საკურთხევლის საშუალო სერიაზე ცუცუ  
დებული თრივე კუთხეზე გადაყვანილია ოდნავ მორქალული თაღები. მათი შემცირებული  
ბით მიღებულია აძინდის უსწორო ნახევარწრე. მისი ზედა ნაწილი მთავრდება  
კონქით. საკურთხეველი გამოყოფილია დარბაზიდან სწორკუთხა პილასტრებზე



ჭორეთი. ღვარებისა ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.  
ფოტო გ. გაფრანდაშვილისა, 1968 წ.

<sup>2</sup> ნ. ჩუბანიშვილი, ეკლესიების გეგუსტი სწორკუთხოვანი ასთრით და კონქით ტრომ-  
პებული, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესია, მოსსენიშვათა  
ფეხისპინი, თბილისი, 1963, გვ. 8—11; გისევა, IX—X საუკუნეების დაბბაზული გეგუსტ-  
ობის ორგანიალური არქიტექტურული ტიპი ქვემო რაგუში, ქართული ხელოვნების  
ისტორიის ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია, თბილისი, 1966, გვ. 8—10.



დაყრდნობლი ტრიუმფალური თაღით. თუმცა საკურთხევლის წაგრძელებული  
იატაკი დაჩაბაზულ ნაწილშია შემრიღი. გამოწეული საკურთხეველი იძლილი  
დელ ძეგლებს არ ახასიათებდა. საკურთხეველში განიერი მაღალი ტრაპეზი  
წინ არის წამოწეული. თვით დარბაზის სიცრცე დამშენებულია ორ ნაწილად  
გამყოფ პილასტრებითა და მასზე დაყრდნობიღი საჯვენი თაღით და ერთი  
საფეხურით შეღრმავებული თაღებით შემოწერილი კედლის სიცრტყებით.  
კედლის მხატვრობიდან საინტერესოა გოდერი წერეთლის გამოსახულება.

ეკლესიას ორი შესახველი აქვს. სამხრეთიდან და დასახველიდან. ორივე-  
გან ტიმპანით. ყურადღებას იქცევს თავისი სიდიდით, აღმოსავლეთის მაღალი,  
შიგნიდან განიერი და ფასადიდან ვიწრო თაღოვანი სარკმელი. სარკმელები არის  
სხვა კედლებშიც.

ეკლესიის ფასაღები ზომიერად და გულმოდგინებითაა მოჩეუროთმებული.  
დეკორი უმთავრესად სარტყლის ფართო საპირის, სათაურისა და როზეტების სა-  
ხითა მოცემული. ამასთან, ეკლესიას შემოსდევს მოჩეუროთმებული კარნიზი.

ძეგლის მხატვრული გადაწყვეტა ერთი შეხედვითვე მიგვანიშნებს ქართული  
ხუროთმოძღვრების იმ ახალ, თავისებურ შემოქმედებას ქართული ხელოვნების  
განვითარების იმ საფეხურზე — X ს.-ის მეორე ნახევარში რომ გაედევნება თვალი.

ეკლესიას საინტერესო წარწერები აშშენებს. წრეში და სწორკუთხა ჩარჩო-  
ებში ჩასმული წარწერები ძირითადად შემორჩენილია ეკლესიის სამხრეთ ფასად-  
ზე. წარწერათა უმნიშვნელო ფრაგმენტები სხვა ფასაღებსაც ეტყობა. ასოთა პა-  
ლეოგრაფიული ნიშნებით წარწერები აშეარად ძეგლის თანადროულია და X ს.-ის  
ბოლო ათეულ წლებს პასუხობს.

კარიბჭის ფასაღზე ანა დედოფალთ-დედოფლის უთარიღო სამშენებლო წარ-  
წერაა საინტერესო ტექსტით. იგი ეკლესიის მშენებლობის ხანას არ ეკუთვნის.  
ააღორებარავიული ნიშნებით გვიანდელია (XV ს.) და ანას მიერ მაცხოვრის შიმიდა  
მონასტრის აშენებასა და აღაპის დადგებას გვაუწყებს. ცხადია, აქ უმთავრესად  
კარიბჭის (აღბათ XI ს.) გადაეცემა-განახლება იგულისხმება!

ძეგლის ეკლესის პროცესში ყურადღება მიიპყრო კარიბჭის შიგნით ეკლესიის  
სამხრეთ კარის ტიმპანით. ტიმპანის შიდა სიბრტყეზე ფრესკული წარწერა ბუნებ-  
რივი და გასაგები ჩანდა, ხოლო ფასადიდან უბრალოდ, კირით შელეხილი ტიმ-  
პანი ეკლესიის სუფთად გათლილ პერანგს აშეარად არ ეხამებოდა. ამასთან, სამ-  
ხრეთის ფასაღზე საგანგებო ჩარჩოებში განლაგებული მცირე წარწერები ბუნებ-  
რივად ითხოვდა ტიმპანზე წარწერის არსებობას. ტიმპანის ჩარცვინიც, დაბლა,  
ნალესი მონგრეული დამხედა. აქ თითქოს ასოს ფრაგმენტის ღარიც შეინიშნე-  
ბოდა. ტიმპანის ზედაპირს ნალესი მოვაშორე და ასოთა ნიშნები მართლაც გა-  
მოჩნდა. ასოთა ღარიც გამკრივებული ბათქაში აძნელებდა ასოთა მოხაზულობის

<sup>1</sup> მონასტერი თაღდაპირეულებულები ასესპონდა თუ არა — არ ჩანს. ეკვებ მონასტრის შეენ-  
ლობა მართლაც ანა დედოფლის სახელს უკავშირდება. მაშინ წარწერაში მოცემული „ალვაშენე“  
პირდაპირი მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ და არა ჩოგორე მხოლოდ განახლება კ. წ. შეო-  
რედ აშენება.

სანტერესოა, რომ სოფლის ტოპონიმთა (ნაფარებევი, ლაშე, ნაფერებური) შორის არის  
„სამონასტრო“. ეს აღვილი ლოთების მონასტრის მახლობლადა, თუმცა მას არ უკავშირდება.  
ხალცური გადმოცემით: აქ სახლი იდგა მარნია, იმედ იყო ეკვები და ყანა. იგი გრუქის მონას-  
ტრის ფასაღებზე აღვილა კოფლა. სახლში ღმეს ითვედა ბერი. მას სურასათ მიპონდა  
მონასტრის შილი.

შიგნებასა და წმინდას. ასეთი შეთოდით ჩატარებულმა მუშაობამ გახსნა ქორეთის  
ღვთაების ეკლესიის თარიღიანი სამშენებლი მთავარი წარწერა.

ქორეთის ღვთაების ეკლესია სამეცნიერო დიტურატურაში უცნობია, თუმცა  
ეს ძეგლი ცნობილია სამეცნიერო წრეში. სტილისტიკური ანალიზით მის თარი-  
ღად X ს. ბოლო თუ XI ს. დასწყისია მიჩნეული.

ამ ძეგლის ხუროთმოძღვრებას სწავლობენ ქართული ხელოვნების ისტორიის  
ინსტიტუტის თანამშრომელები. მსგავსი მდგომარეობაა ეკლესიის წარწერების  
მიმართაც. იგი დამუშავებულია მკვლევარის თ. ბარნაველის მიერ.

ამიტომ, ძეგლის ხუროთმოძღვრებას, მის მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს  
და ცნობილ ეპიგრაფიკას არ შევეხები. ამ წერილის მიზანია სამხრეთის ტიმ-  
ანზე გაწმინდილი ახლად მიკვლეული წარწერის გამოცემა.

## 2

თარიღიანი წარწერებითა და ქტიტორთა ვინაობით ქართული ძეგლები არ  
გვანებივრებას. ამიტომ ცხადია ის დიდი ინტერესი, რასაც ქართული მეცნიერება  
იჩინს ყოველი ასეთი ძეგლის მიმართ. მით უმეტეს, თუ ეს მომენტები ეხება ისეთ  
ძეგლსა და ქართული კულტურისათვის საეტაპო მნიშვნელობის ეპოქას, როგო-  
რიცაა X ს. დასასრული.

ექვსსტრიქონიანი წარწერა თავისუფლადაა განლაგებული ნახევარწრიულ  
ტიმანში. ოსტატი შეკნებულად უვლი გვერდს სტრიქონთა თანაბარ განაწილე-  
ბას სიბრტყეშე-უფრო მეტიც, პირველ-მეორე სტრიქონთა ბოლოსა და მესამე-  
მეხუთე სტრიქონთა დასაწყისში დაუწერულად ტოვებს მოზრდილ თავისუფლად  
ადგილებს. სიტყვათა გადატანა ნებისმიერია. მაგალითად, პირველ-მეორე სტრი-  
ქონის სიტყვიდან „და“ მეორეში გადატანილია შეოლოდ „ა“. თუმცა, პირველი  
სტრიქონის ბოლოს რამდენიმე ასოს მოთავსება შეიძლებოდა. არის შემთხვევები,  
როდესაც სიტყვას ასო სცილდება და მომდევნო სიტყვას ერთვის. მაგალითად, მე-  
სამე სტრიქონის მეორე სიტყვას ერთვის მომდევნო სიტყვის პირველი ასო; ხოლო  
ამავე მესამე სიტყვას ბოლოში მიწერილი აქვს წინა ასო შემდეგი სტრიქონის  
პირველი სიტყვისა. ამ სიტყვის ბოლო ასო კი შემდეგი სიტყვის წინ არის დასმუ-  
ლი. დარღვეულია წარწერის ორხაზოვანი სისტემა და სტრიქონთა ურთიერთო-  
რის დაცილება. წარწერის ასოები დასაწყისიდან მესამე სტრიქონის ნახევრამდე  
ფურთოდ და განიცრად არის ამოღარული. შემდეგ კი სტრიქონები და თვით ასოე-  
ბი მიჯრით, უთანაბროდაა შესრულებული. მიუხედავად ამისა, წარწერის საერთო  
სადა განლაგებაში მოძებნილ ცალკეულ ასოთა დინამიური ძარღვი აცილებს  
და ამიტყველებს წარწერას.

წარწერა მთლიანი სახითაა მოღწეული. ტიმპანის სიბრტყე წარწერის შეს-  
რულებამდე ქვედა ნაწილში 21 სმ სიგრძეზე მომტერული ყოფილა. ამის გამო  
სტრიქონის ამ ნაწილში სიტყვები ურთიერთ დაშორებულია. წარწერის დასაწყის-  
ში სტილიზებული ჯვარია დასმული. პირველი სტრიქონი 64 სმ. სიგრძისაა და  
9 ასოს შეიცავს, მეორე — 76,4 სმ და 11 ასოს შეიცავს; მესამე — 88,5 სმ და  
14 ასოიანია; მეოთხე — 85 სმ და 18; მეხუთე — 86,4 სმ და 13; მეექვეს სტრი-  
ქონის სიგრძე კი 32 სმ-ია და მხოლოდ თარიღის ექვს ასოს შეიცავს. წარწერის

<sup>1</sup> ეკლესია, როგორც XI ს. ძეგლი აუკინილია სახელმწიფო დაცვაშე, საქართველოს სსრ  
კულტურის ძეგლები, თბილისი, 1959, გვ. 105.



ასოთა ზომები ცვალებადია — სიმაღლე 7 სმ-დან 2,5 სმ-დე, სიგანე 10 სმ-დან 2 სმ-დე. საშუალოდ ასოთა სიმაღლე და სიგანე 4,5—3,0 სმ-ია.

წარწერაში ქარაგმის 7 ნიშანია. ქარაგმა მოცემულია თავბოლოგამსხვილებულ რამდენადმე სწორი თუ ოდნავ მორკალული ხაზით ან განიგი ხაზით. ქარაგმა თავბოლო შექცევითა მოხრილი. აქედან ნ ნიშანი ხმოვანსა და თანხმოვან ასოთა ნაკლულობას აღნიშნავს. ორი ნიშანი ეკ მეორე-მესამე სტრიქონისა და მეოთხე სტრიქონის მთლიანად დაწერილ სიტყვებზე „დეიფუალი“ და „ხურის“ ზედმეტია. არის ასონაკლული სიტყვებიც ქარაგმის ნიშნის გარეშე. ასეთებია: მეოთხე სტრიქონიდან მეხუთეში გადატანილი სიტყვა „ბლი“ (ბალავარი) და მეხუთე სტრიქონში ტრანიციულად მოცემული „ქრენისა“ (ქრონიკონისა). წარწერა განვეტილობის ნიშნებს არ შეიცავს.

წარწერა შესრულებულია უმთავრესად მრგვლოვანი დამწერლობით. მაგრამ ზოგადად იგი შერეული დამწერლობის ნიმუშია. წარწერაში მრგვლოვანი „ლ“-ს გვერდით მისი ნუსხური ვარიანტიცაა მოცემული, როგორიცაა მესამე სტრიქონის პირველი სიტყვა. გარდა ამისა, ზოგიერთ ასოს აშენად თუ ფარულად გასდევს არა თუ ნუსხურის, არამედ თითქოს მხედრული დამწერლობის თავისებურება. მაგალითად: წარწერის დასაწყისის პირველი ორი ასო „ს“ და განსაკუთრებით „მ“ მოკაცებული თავით მხედრულის ნიშნის მატარებელია. იგი „ი“-ს დამწერლობიშიც შეინიშნება. ასეთია მორკალული „ი“ მესამე სტრიქონის მესამე სიტყვა-ში, ხოლო დაბლა თავდაშვებული მხედრე სტრიქონის მეორე ასო „ი“ მხედრული დამწერლობით არის შესრულებული. ამავე სტრიქონის ბოლოდან მეორე ასო „ე“ თავგაზის წანაზარდოთან ერთად შემორკალული ბუნით ნუსხურის გავლენაზე შიგვანიშნებს. მით უმეტეს სხვა შემთხვევაში „ე“ წანაზარდის გარეშე შევერთად დახრილ თავითა მოცემული. ასევე ითქმის „ა“-ს მოხაზულობაზე. იგი სხვადასხვა სახითაა მოცემული. მაგრამ, განსაკუთრებით საგულისხმოა ამ გავლენათა დასადასტურებლად, როდესაც თავგაზის დასაწყისი უშუალოდ აზის ფეხის რკალს, ეს არის მესამე სტრიქონის პირველი სიტყვა. ნუსხურის ნიშნებით ხასიათდება განსაკუთრებით ტანგახრილი „კ“ მეხუთე-მეეძესე სტრიქონებში და თუნდაც „ხ“ მეოთხე სტრიქონში.

საერთოდ, ლაპიდარულ წარწერებში მრგლოვან — ნუსხა-ხუცურის შერეული დამწერლობა ამ ექვეძები ისევე, როგორც XI ს. ფართოდაა გავრცელებული. დამწერლობის ეს ნიმუში ჯერ კიდევ X ს. 70-იან წლებში (სარის ციხის წარწერა) ჩვეულებრივი მოვლენაა. ასევე, შერეული დამწერლობაა ცხრაკარის ეკლესიის X ს-ის პირველი ნახევრის წარწერაში<sup>2</sup>. უფრო მეტიც, შერეული დამწერლობის ნიმუშები უკვე X ს-ის 20—30-იან წ. დათარილებულ (სამსარი) ლაპიდარულ წარწერებშია ფართოდ მოცემული<sup>3</sup>. ეს ადასტურებს ხელოვნებათმცოდნებისა

<sup>1</sup> „დეიფუალი“ შეიძლებოდა გავვეხსნა, როგორც „დედოფუალი“, მაგრამ სიერისთვეოს პირობებში „დეიფუალი“, „დოფუალი“ მიღებული იყო.

<sup>2</sup> ნ. შოშიაშვილი, ვ. ციცარიშვილი, სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, სახ. მუზეუმის მოაბეგ, ტ. XIX-A, XXI-B, 1957, სურ. 1.

<sup>3</sup> სარის ციხისა და და სამართლის მონასტრის წარწერების ქ მოტანილ თარიღები ჩემს მიერაა დადასტურებული. რაც ტევლებან ერთად მოყენება ხაშის გამოვეყნდება.

<sup>4</sup> კ. ჩერიძის შეილი, კახეთის არქიტეტეტრა, თბილისი, 1959 (რუსულ ენაში); თ. ბარნეველი, კახეთის ასტორიული ჰელვების წარწერები, თბილისი, 1961; რ. ვეკრ-



მოსაზრებას, რომ ამ სახის დაწყერლობა არსებობდა IX ს-ის ღვთისძიებების წარწერებშიც რასაც უთარილო, მათ მიერ სტილისტიკური ანალიზით დათვრიდებული ძეგლები მიგვანიშენებს.

წარწერაში პალეოგრაფიული ნიშნებით ყურადღებას იქცევს „დ“ წრიული მუცლით და დაბალ ყელზე მკეცრად გაშევრილი თავიაზით. „ო“ წრიული მუცლითა და ხშირად მუცლის შეა ადგილიდან მკეცრად არყალული ფეხით. „ვ“ ძირამდე დაშვებული ზურგის ხაზით (მესამე სტრიქონი) და სხვა. ასოები ღრმად არის ამოქვეთილი. მათი კიდეულების ბოლოები გამსხვილებულია და ხშირად წაწვეტილ მცირე რკალებს ქმნიან. ეს მოვლენა X ს-ის მეორე ნახევრიდან მკეცრად ჩანს ქართულ ეპიგრაფიკაში (კუმურდ 964 წ.)<sup>1</sup>. ასოთა ასეთი სახე ტუბ-წვეტილიან (ალავერდი XI ს. I ნახ.) დამწერლობას დაედო საფუძვლად XI ს-ის დასაწყისში. ასოთა მხატვრულ-დეკორაციული გაფორმების ეს სახე XIII ს-მდე გამოიყენება რამდენადმე ცხოველხატულობის დაქვეითებით. (იხ. სამთავისი გიორგი III წარწერა 1168 წ.)<sup>2</sup>; იქნით გრავირისძის წარწერა XII ს. 80-იანი წელი<sup>3</sup>.

ქორეტის წარწერიდან ირკვევა, რომ მარიამ დედოფალმა 1000 წელს ქორეტში საფუძველი ჩაუყარა და ააშენა ეკლესია.

1. ს მ ბ რ წ რ მ ე დ
2. ა ა ღ ი ლ ა რ მ დ ა
3. ო ჯ ა ლ ი ღ ა ჲ ვ ი ლ ი გ
4. ი ს ი ღ ი ღ ა რ ი ს ი ე ბ ი გ
5. ლ ი ღ ა ი დ ვ ა რ ი ნ ა
6. ს ა ს ხ ს ა

„სამებაო წმიდაო შეიწყალე და ადიდე მარიამ დეოფალი და შეიღლი მისნი გიორგი და ხურსი.

ესე ბალვარი დაიდეა ქრონიკონსა 220-სა“, ე. ი. 220+780=1000 წელს.

წარწერიდან უცნობია თუ მარიამ დედოფალი რომელი ფეოდალური სახლის წარმომადგენელია. მაგრამ ჩანს, რომ ყვირილის ხეობაში მათ სხვა მშენებლობაც ჩაუტარებიათ. ეს არის სავანის ეკლესია.

ქორეტის განსახილებით წარწერის შედარებით სავანის ეკლესის 1046 წ. სამშენებლო წარწერასთან ირკვევა, რომ აქ ერთი ფეოდალური სახის წარმომადგენები არიან დასახელებული ქრისტიანებად. ამასთან, ორივე წარწერის შეჯერება საინტერესო სურათს იძლევა ამ ფეოდალური სახლის შესასწავლად.

სავანის წარწერა:

„სახელით ღმრთისათა მე, გიორგი ერისთავთ ერისთავმან, ავაშენე ესე წმიდა ეკლესია სავანისათ სალოცველად სულისა ცოდვილისა ჩემისა და ძმისა ჩემისა ხ(ხურსი — გ. გ.) ერისთავისა და მშობელთა ჩემთაოცის გულზეიადისათვის

ლ ი ნ გ ი, უბისის ტამარის დათარილების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაშენე, ტ. XVI, № 2, გვ. 173—174.

<sup>1</sup> გ. ჩ ბ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კუმურდ და ნიკორწმინდა, მოსკოვი, 1947 წ. რუსულ ენაზე.

<sup>2</sup> გ. ს ო ხ ა შ ვ ი ლ ი, სამთავისს ტამარი (ძეგლის ისტორია ეპიგრაფიკული შესალების შექმნე), საქ. სსრ მეცნ. აკადემია, „მაცნე“, 1968, № 3, გებ. VII, გვ. 193.

<sup>3</sup> გ. გ ა ჭ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, უანის ქვემის განშტ, ძეგლის მეცნიერია № 6, 1966, გვ. 8.



და მარიამისათვის და შეიღისა ჩუენისა გოლიპათისათვის და დედისა მასწავლის, წმიდათ გიორგი მეოს ეყავ წინაშე ღმრთისა. ამენ იყავნ.

ქრონიკი იყო 226. აეშენა მეფებასა ბარიატ კულაპალატისასა<sup>4</sup>.

როგორც ეხედავთ, ორივე წარწერაში დასახელებულია მარიამი და მისი შეიღი გიორგი და ხური. ხურისის სახელი ქორეთის წარწერაშ გაარკვეთა. სავანის წარწერაში ეს სახელი მოცუმულია მხოლოდ დასაწყისი ასოთი. ამის გამო გაუხსნელი იყო დღემდე.

ორივე წარწერის შედარებით ირკვევა, რომ 1000 წელს ქორეთის ქტიტორია მარიამ დედოფალი. მასთან ერთად დასახელებულია მცირეწლოვანი შეიღები გორგი და ხური. 1046 წელს კი სავანის ქტიტორია შეიღი გიორგი, უკვე ერისთავთ-ერისთავი. ე. ი. ამ ეყოდალური სახლის (ეგებ კახაბერისძეთა) ბატონიბასა და მოლვაშეობას ამ მხარეში ქორეთისა და სავანის წარწერებით თვალი გაედევნება ნახევარი საუკუნის მანძილზე, ბალვაშ ფეოდალთა გვერდით.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ხური ერისთავი დაიღუპა შირიმნთან ბრძოლაში 1021 წ. „მოკლნეს მენ დიდი ერისთავინი: რატი, მე ლიპარიტისი და ხურისი<sup>2</sup>. ცვიქრობ, ადგილი შესაძლებელია ქორეთ-სავანის ხურისის გაიგიება ზემთალნიშნულ ხურსთან. ქორეთ-სავანის წარწერებში არის სახელი ხურისი. იგივე სახელია „ქართლის ცხოვრება“<sup>3</sup>-ში. სავანის წარწერის ხურისი ერისთავია. (ქორეთის წარწერაში იგი ბალვია), ასევე ერისთავია „ქართლის ცხოვრების“ ხური. ორივე ხურისი მოლვაშეობის ხანაც ერთია; ქორეთ-სავანის წარწერის ხურისი 1000—1046 წწ. დასახელებული, „ქართლის ცხოვრების“ ხურისი კი დასახელებულია 1021 წელს. ამ იგივეობას ხელს უწყობს განსაკუთრებული ხაზგასმით მოხსენიება ხურისისა და ბალვაშთა სახლის წევრის რატისა ერთად, წარმომადგენლებისა იმ ფეოდალური სახლებისა, მეზობლად რომ ბატონობდნენ ისტორიულ არგვეთში.

ამ იგივეობას არ უნდა ეწინააღმდეგბოდეს 1046 წ. სავანის წარწერაში ხურის ერისთავის მოხსენიება. წარწერაში სხვებთან ერთად ხურისის მამა გულზევადიცაა დასახელებული. ამ დროს კი მამა გარდაცვლილ უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნება ქორეთის წარწერაში გულზევადის მოხსენებლობა. ასე, რომ 1000 წლისთავის ამ ფეოდალური სახლის უფროსი გულზევადი უკვე გარდაცვლილია. სავანის წარწერის კონტენტით გამოყოფილი არ ჩანან ცოცხლები და გარდაცვლილი. ამიტომ, სახლის სხვა წევრებთან ერთად გარდაცვლილი გულზევადის მოხსენიება საშუალებას გვაძლევს სავანის წარწერაშ „ქართლის ცხოვრების“ გათვალისწინებით ხურის ერისთავიც გარდაცვლილად მიიღინიოთ.

შევაჯამოთ ქორეთის წარწერის მნიშვნელობა:

1. მიეღიერთ ძეგლის მშენებლობის თარიღი 1000 წელი და ქტიტორის ფინანსა — მარიამ დედოფალი.

2. კიდევ ერთხელ დადასტურდა მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზით

<sup>4</sup> 3. ბერიძე, სავანი, ქართლი ხელოვნება, I, 1942, გვ. 89.

<sup>1</sup> XIX ს. ბოლოს გ. წერეთელ მა „ხ“ გახსნა, როგორც სახელი ხასუ. კ. ბერიძემ თავის მონოგრაფიაში არ გამოიარა ეს დასახურებელი გაშიცერა. სავანი, ქართლი ხელოვნება, I, 1942, გვ. 90.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 284, 383; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 142.

<sup>3</sup> იქვე.

ქეგლთა დათარიღების მეოთხეის სიზუსტე, შემუშავებული აკადემიკოს გ. ჩუბიძე-  
ნაშვილისა და მისი ხელოვნებათმცოდნობით სკოლის მიერ.

3. ლაპიდარულ წარწერაში შეტყუდა დამწერლობის გამოყენებისა და გან-  
რცელების დადასტურება X ს-ის მიწურულისათვის ქართული პალეოგრაფიის  
საყურადღებო შენაძენია.

4. გაირკვა, ერთი და იგივე ფეოდალური სახლის ქრისტორული მოღვაწეობა  
ქორეთსა და საფანეში. ამასთან, ნახევარი საუკუნით სიღრმეში გადავიდა მათა  
ბატონობისა და მოღვაწეობის საწყისები ისტორიულ არგეცხში, სადაც დამოუ-  
კიდებელი საერისთაო დასტურდება მძლავრი ფეოდალების ბალეშთა სახლის  
გვერდით.

გაიშილრა საფანის მშენებელ გიორგი ერისთავთ-ერისცავის ძმის სახელი  
ხურსი და დაზუსტდა ამ ფეოდალური სახლის ოჯახური მდგომარეობა.

5. ეკლესია აშენდა წმ. სამების სახელზე; ხოლო გვიან საუკუნეში ამ ეკლე-  
სიასთან ანა დედოფლალთ-დედოფლალმა (XV ს.) ღვთაების წმ. მონასტერი დააარსა.  
ამ მიზნით გამოიყენა არსებული ეკლესია, ჩაატარა აქ სარესტაციაციო სამუშაო-  
ები და უთუოდ მონასტრისათვის საჭირო სხვა დამხმარე ნაგებობანც ააშენა.

სწორედ ამ დროიდან უნდა მომდინარეობდეს ქორეთის ეკლესის სახელი —  
ღვთაება.

## ნოდარ შორიძე

აუგაზმითის კოლექტის სამინისტროს  
 კოლექტის ძეგლთა ღაცების ინსპექტორი

### აღმოსავლეთ აფხაზეთის დეკონია ტოარცობიდის შესრულისათვის

აღმოსავლეთ აფხაზეთი დეკონია მდ. კოდორსა და ენგურს შორიძე, ისტორიულად ცნობილი კოლხეთის სამეფოს ნაწილში; დღევანდელი აღმინისტრაციული დაყო-  
 ფით — ოჩამჩირისა და გალის რაიონი.

ეს შესაბამის შესწავლით ისტორიული გეოგრაფიის (ტოპონიმიკა) თვალსაზრისით, რაც უშუალოდ კავშირშია ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ეთნოგრაფი, კეონომიურ-სოციალური ყოფის გაშექმნასთან. მაგრამ წინამდებარე  
 კრებულის მოცულობის გამო, ჩვენ აქ მხოლოდ გალის რაიონის ტოპონიმიკის შეს-  
 წავლის საკითხს შევეხებით.

გაღის რაიონი მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებამდის სამურზაყა-  
 ნოდ იწოდებოდა. ამ სახელწოდებას ატარებდა XVII საუკუნიდან მდ. ღალიძებასა  
 (ი. ი. პანტოშევის აღწერით მდ. კოდორიდან!) ენგურს შორიძე კავკასიონის ქე-  
 დიდან ზღვიდე გაშლილი მიწა-წყალი, რომელიც აღმოსავლეთ აფხაზეთის ცალ-  
 კე აღმინისტრაციულ-ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

ამჟამად სამურზაყანოს ზოგიერთი სოფელი შედის ოჩამჩირის რაიონში,  
 უმეტესი ნაწილი კი გალის რაიონშია.

ამ მხარეში ადამიანს კურ კიდევ ქვედამალეოლეთის ხანიდან უცხოერია:  
 ქ. გალში, სოფელ ჭუბურებინჯში, აჩიგვარაში, წარჩეში და სხვაგან?

რაც შევხება აქაურ ტოპონიმიკას, იგი შორეულ წარსულში იღებს სათავეს,  
 ჩვენამდის მოალწია წერილობითი და ზეპირი გადმოცემების სახით. მთელი უმრავ-  
 ლეობა ამ გეოგრაფიული სახელწოდებებისა დღესაც ხმარებაშია.

II—XVII—საუკუნების წერილობით წყაროებშია მოხსენებული: ტარსუ-  
 რა-მონხე, ზოგან იგუდ აყვა, ილორი, წარმხან, წარჩეში და სხვაგან?  
 თე და სხვ. ეტიმოლოგიურად ესენი შესწავლელია, თუ შედევლობაში არ  
 მიიღებთ ზოგიერთ მათგანზე მოყლე. ზოგადი სახის მოსაზრებებს. დადგინდად  
 არც მათი ღოკალიზაციის საკითხია გადაჭრილი.

განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქ ტარსურა-მოხეზე.

მკელევარები, რომელმაც ყერადღება მიაქციეს ამ ქალაქის მდებარეობის  
 დაგვენას, რატომდაც კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ II—V საუკუნების მოშევ-  
 ლიებით, მაშინ როდესაც მომდევნო საუკუნების ქართულ და უცხოურ წყაროებ-  
 შიც ტარსურა (ტარშენი) არართოგზითაა მოხსენებული აღმოსავლეთ აფხაზეთში.  
 საკითხის ნათელსაყოფად არც თანამედროვე ტოპონიმიკურ მასალებს იყენებენ,  
 რის შედეგადც გაეკთებულია ნაკლებად დამაჯერებელი დასკვნა, ვითომცდა ან-  
 ტიკური ქალაქ ტარსურა-მოხე ყოფილიყოს მდ. მოქვის მიდამოებში, ზღვის შე-  
 სართავთან (ოჩამჩირის რაიონში)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> И. И. Пантюхов, Самурзаканцы. газ. «Кавказ», 1892 г. № 77.

<sup>2</sup> ა. აფანასიევი, ნ. ზ. ბერძენიშვილი... საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959 წ. გვ. 26.

<sup>3</sup> ნ. ლომონოვი კოლექციის სანაპიროს შეკრიულ კოლონიაება, თბილისი, 1962 წ. გვ. 43.



ამაზე ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ცნობილი მხარეთ მცოდნისა და ჰქონილებული მეცნიერებისა და სკოლა: „ცხადია, აქ სახელის დაშტერი ჯერადაც აქვს ადგილი. „ტარშენ“ იგივე წარჩეა (Torchchen) ხოლო „ტარსურა“ (ზდ. წარჩე) ერთის „ოხოჯეს“<sup>1</sup>. ანტიკური და შუასაუკუნეების წერილობითი და მატერიალური კულტურის, მხარის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტოპონიმიკურ აღრიცხვას.

ჩვენ ამით დავიწყეთ აღმოსავლეთ აფხაზეთის (გალის რაიონის) შესწავლა. ტოპონიმიკურ ცნობების შეკრებას ვაწარმოებდით თანამედროვე აღმინსტრაციული დაყოფის მიხედვით. ხშირად ჩაწერილ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ვუკითხავთ ადგილობრივთა გარკვეულ ჯგუფს. ამ გზით გამოტოვებული — შეიცვლი, დამახილებული შევასწოროთ.

საემა ხნით მეშაობის შემდგე დავამთავრეთ გალის რაიონის ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენა, სადაც 1300-მდე გეოგრაფიული სახელწოდება შეიცვლა. დაკიტებამ გვიჩვენა, რომ აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმიკას ბევრი რამ საერთო აქვს კოდენციის ტოპონიმიკასთან.

ყურადღებას იქცევს ეთნიკურობის მაჩვენებელ ადგილთა სახელწოდებები: აბაზ (რეჩხოცხირი), ნაფხაზური, ნათურქი (ჭუბურნინჯი), შონიშ დიხა (დიხაზურგა), ნაქორთუ (გუდავა), თურქიშ ნაზენა (ხუმურქური), ფერური (ბედია), გურულ (ღუმურიში), აზანიშ (ლეკუხონა) და სხვ.

ბევრია საკუთრებასთან დაკავშირებული ადგილი ადგილის სახელწოდების საგანი, როგორიცაა: მიწა, სამეცნილო, ისლი, ფაცხა, წაბლნარი, სოფული, ხიდი, წისქვილი, ეპლესია, სასაფლაო, გორა, ციხე და სხვ. ხშირად მესაკუთრებად მთლიანად გვარია მითითებული. მაგ. მარლანიერიშ დიხა (მარლანიერის მიწა) და ა. შ.

სხვადასხვა დროს რელიგიურ რწმენიდან წარმოშობითი ტოპონიმი აღმოჩნდა ალაშარა (ოქუმი), ნაჯვარი (დიხაზურგა), ნააბაყარ (წარჩე), ნამებჭყონი (ხუმურქური), ქაჯვარი (დიხაზურგა), მიქა მგარიო (საბერიო, ჩხორითოლი), ოქუკე (რეჩხოცხირი) და სხვ.

ხიდებისა და გადასასვლელებისა განვითარება მიღებული სახელწოდებანი ან ალაშარი (საგანი), ნერტიშ ხინჯი, გოჭეადილი (გუდავა), ბულიშ ხინჯი (აჩიგვარა), ჭუბურნინჯი (სოფული) და სხვ.

სამხედრო — პოლიტიკური ცითარებიდან: ნადოხორი (ჩხორთოლი), აკარდამა (საბერიო), ტოგონი (აჩიგვარა), ნალამუ (დიხაზურგა), ნაბერაყი (ი გალი), ნახუტორი (ოტობაია), ტახტი (საბერიო) და სხვ.

შინაურ ცხოველების სახელებისა განვითარება მფლუქე (საბერიო), ოქონომე, ოჭაკე (წარჩე), ოცხენე (გუდავა), ოკამბეშე (რეფი), ოჯოლორე (გაგოდა) და სხვ.

<sup>1</sup> კ. ბერებავა აფხაზეთის ისტ. აღგილები თბ., 1951 წ. გვ. 68.

<sup>2</sup> ნ. შონია, ცნობები სოფულ წარჩების წარსულიდნ (იხ. აფხაზეთის სახელმწ. მექ. შპ. III, რც. 1958 წ. გვ. 275, მიხედვი, ქ. ტარსურა — მოხსე ლოკალიზაციის საკითხისათვის (იხ. Тезисы докладов научной сессии Абхазского государственного музея, Сух. 1964 г. გვ. 25).



ო რ ე კ უ ლ ი

გარეული ცხოველების სახელებისაგან: ოყვაზუზუ(სუშევა  
რიო), ომუნჩქე (გუდავა), ოყურდლელე (წარჩე), ოკვინორე (გაგიდა), ოსქერე  
ბუდე (გუდავა), ოტურე (ქვემო ბარლები), ორემიშ ნასხაპა (დიხაზურგა).

უამრავი გეოგრაფიული სახელებია წარმოშობილი ადამიანთა გვარი და სახე-  
ლებისაგან, ფლორა და ა ფაუნისაგან, სოფლის მეურნეობის,  
ადამიანთა სხვადასხვა საქმიანობის, ადგილთა გეოგრა-  
ფიული დახასიათებისაგან და სხვა მოცლენებისაგან.

არის ისეთი სახელწოდებებიც, რომელთა წარმოშობის მიზეზი და მნიშვნე-  
ლობა გაურკვეველია. მათზე ზოგადი სახის მსჯელობაც შორს წაგვიყვანდა. მაგ-  
რამ მოყვანილი ფაქტებიც ნათლად ადასტურებს თუ რაოდენ ყურადსაღებია აღ-  
მოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმიკა, რომელიც მოითხოვს ყურადღებით შეკრებასა  
და მეცნიერულ დამუშავებას.

---



1942 გ რ ა დ ი შ ვ ი ღ ი

(1900—1942)

ლევან მუსხელიშვილი ქართველი ისტორიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელ-  
საც წილად ხედა ბეჭდინირება აკად. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაე-  
წყო მუშაობა. თავისი დიდ მასშავლებელთან თანამშრომლობით, სწორედ ამ ჯგუფ-  
შია ახალ საცემურზე აიყვანა  
ჩვენი ქვეყნის წარსულის შე-  
სწავლის საქმე. ფართო და  
მრავალმხრივი განათლება,  
დიდი ეროვნული დევან მუს-  
ხელიშვილს აძლევდა საშეა-  
ლებას. მისი ხანმოკლე, მაგ-  
რამ შენარისიანი მოლგაშეო-  
ბის პერიოდში, მნიშვნელო-  
ვანი კრალი დაეტოვებინა სა-  
ქართველოს ისტორიაში, არ-  
ქეოლოგიაში, ხელოვნების  
ისტორიაში...

ლევან ვახტანგის ძე მუს-  
ხელიშვილი დაიბადა 1900 წ.  
ხარკოვში, ექიმის ოჯახში,  
რომელიც შემდეგ თბილისში  
გადმოვიდა. აქედან თბილისის  
ვიმნაზიაში დაიწყო სწავლა  
ლევანმა, ხოლო 1917 წ. და-  
ამთაერა იგი. 1918 წ. უმაღ-  
ლესი განათლების მისაღებად  
ის ძმებთან ერთად გაემგზავ-  
რა გერმანიაში. იქ სხვადა-  
სხვა ქალაქებში ისმენდა ფი-  
ლოსოფისა და ისტორიის  
კურსებს (ბერლინი, ფრან-  
გისტინგვინი, პალლე,



ლევან მუსხელიშვილი

მიუნხენი). უცხოეთში ყოფილისას, ღ. მუსხელიშვილის ისედაც სუსტ ჯან-  
მრთელობას მწევავ ნისტალგიაც დაემატა და 1923 წ. იგი იძულე-  
ბული შეიქნა, საუნივერსიტეტო კურსის დაუმთავრებლად, სამშობლოში  
დაბრუნებულიყო. მომდევნო წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წ. დაამთაერა. შემდეგ ის დარ-  
ჩა იქვე ასპირანტურაში და იგ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამთაერა იგი



1930 წ. ასპირანტობის წლებში ლევანი ივ. ჯავახიშვილის დაცალუბით მუშაობას გამოკვლევაზე — „დასართველოს გლეხობის სოფიალურ-ციონიმიური კატეგორიები XVI—XVII საუკუნეებში“. ეს ურიად საყურადღეო ნაშრომი მხოლოდ მოგვიანებით გამოქვეყნდა (1940 წ.).

უკვე სწავლისავე პერიოდში გამოიჩინდა ლ. მუსხელიშვილი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, რაც შეუნიშნავი არ დარჩენია ივ. ჯავახიშვილს. ამიტომაც იგი მას თავის ერთ-ერთ საყვარელ მოწაფედ სთვლიდა, დიდად ათასებრა და კეთილმეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა მასთან მთელი ცხოვრების მანძილზე. სამშობლოს დიდ სიყვარული, მისი ისტორიის ღრმად შეწავლის, კვლევა ძიების დაუცხრომელი მოთხოვნილება აძლევდა უფლებას ლ. მუსხელიშვილს, 1929 წ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიწერილ ერთ წერილში ეთვა: „საქართველოს ისტორია ჩემთვის არ არის მხოლოდ საქმე, სპეციალობა, საინტერესო აზოვანაა...“ ეს უცრო დიდი და ყოვლისმომცველი რამ იყო მისთვის!

სწავლის დამთავრების შემდეგ, ლევანი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ასისტენტად, შემდეგ კი, არქეოლოგიური განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1933 წ. ივ. ჯავახიშვილმა — მაშინ უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგები — ლ. მუსხელიშვილი კათედრაზე მიღწეუა, სადაც მას ლექციები უნდა წაეყითხა. ამ დროს ლევანი აბასთურების ისევებდა. წერილით ატყობინებდა რა, უნივერსიტეტში მიწევების ამბავს, ივ. ჯავახიშვილი იქნებ დასძნდა: „მხოლოდ უნდა ეცაროთ რომ მანდ ყოფნით თქვენი ჯანმრთელობისათვის ისარგებლოთ: თქვენს თავს სამეცნიერო მუშაობით ძალას ნუ დაატან, ისარგებლეთ შემთხვევით, ისეირნეთ და მანდაური პაერით გაიმარტოთ თქვენი სხეული. მხნედ იყავით და იმედიანად: ნიჭი და ცოდნა ყოველთვის დაფასდება“.

აბასთურებაში ხშირად ხანგრძლივ ყოფნას ლ. მუსხელიშვილი არ შეეძლო მოწყვიტა საყვარელი საქმისაგან. ამ დროს იგი მიდამოების არქეოლოგიურ დაზევრებებს ანდომებდა, რისა შედეგიც იყო ბოდო-კლდის ლოკალიზაცია და ზედ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები.

1936 წ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი დაარსდა, სადაც ლ. მუსხელიშვილით თანამშრომლად მიიწყების. 1937 წლიდან იგი ამ მუზეუმის სწავლული მდგრანი იყო, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცალების შემდეგ — მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შესრულებაც დაევალა. სწორედ აქ მუშაობისას მოუხდა ლ. მუსხელიშვილს არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ბოლნისში, დმანისში, გუდარეხსა და გეგულში. ამ გათხრათა შთამბეჭდავი შედეგები ჩან გამოაქვეყნა 1937—38 წლებში, ნაწილი მისი გარდაცალების შემდეგ გამოვიდა და ფართო აღიარება პოლვა (იხ. „დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერილობა“, კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, „პოლნისი“, ერიმქის მოამბე, ტ. III. „გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წ. წ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში“, თბ. 1954).

ლ. მუსხელიშვილი თავის მუშაობაში არასოდეს შემოუარგლულა ისტორიის ერთი რომელიმე დარგით. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად იგი წყა-

<sup>1</sup> წერილები ინახება აკად. ჭ. კიბილის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფახნერებში, რომელთა გაცნობისათვის დიდ მიღლობას მოვახსენებ ნათელა ჯავახიშვილს.



როთა შეცნიერულ გამოცემებზედაც მუშაობდა. მის სიცოცხლეში მხრივ მუშაობდა და მუშაობდა მიერთო, ესენია — „გაპანის ქუაბათა განგება“, 1949 წ. და აბუსერისძე ტბელის „პოლოკ-ბასილის მშენებლობა შეურტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულოს მატიანე“, 1941 წ. — შესანიშნავად შესრულებული ტექსტების გამოცვლევა, რედაცია და კომენტარები.

არც ქართული ხელოვნების ისტორია, არც ქართული ეპიგრაფიკა არ დარჩენილა ღ. მუსხელიშვილის ფართო თვალსაწიერის მიღმა. ამის ნათელი დადასტურებაა მისი „არქეოლოგიური ექსპურსიები“, 1941 წ. „მცხეთის სვეტიცხოველის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედევე კათალიკოზის ანდერძთან, „1941 წ., „სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი“, 1943 წელი.

შიუხედავად ავადმყოფობის გაძლიერებისა, ღ. მუსხელიშვილს არ შეეძლო დარჩენილყო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის პასიურ მაყურებლად, როგორიც მცხეთის გათხრები იყო. ამიტომაც, მიუხედავად ექიმების რჩევისა — კიდევ დაესვენა, 1940 წ. იგი ივ. ჯავახიშვილს სწერდა ცემიდან: „სწორე მოგახსენოთ, ნამეტანი მომბეჭრდა ეს დასვენება. თუ უკეთ ვიქენი, ეგებ მაშინ შესაძლებელი იყოს ჩემი გამწერება სამთავროში? ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნება და, ვკონტებ, ძალიანაც მარგებს ფიზიკურად“.

სამაგალითოა ღ. მუსხელიშვილის მეცნიერული ინტერესების ის ნაირგარობა, რომელიც აგრე საპიროა დღესაც. ეს კარგად ჩანს არა მარტო გამოჩვეულებულ ნაშრომებში, არამედ მეცნიერის არქივშიაც<sup>1</sup>, სადაც ბრინჯაოს ცულების გავრცელების არქეოლოგიური რუების გვერდით, გვხვდება ნაშრომები ქართული ყმობის ინტიტუტის შედარებით შესწავლისა... ან ნაშრომები ბოლნისისა და დამაინისის გათხრების შესახებ. აյ ჩანს დიდი განათლების ისტორიკოსი, რომელიც ძეგლს სწავლობს კომპლექსურად: არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული მონაცემებით, ისტორიული წყაროებისა მომწმურავი მოშველებით დ რაც მთავარია, მის ისტორიულ გარემოსთან ძეგლის ცოცხლად დაკავშირებით... ან „არქეოლოგიური ექსპურსიები“; რა ლაკონიკური სათაურია წიგნისათვის, რომელშიც შრავალი, სრულიად უცნობი ქართული ხუროთმოძღვრული, თუ ეპიგრაფიული ძეგლია გამოქვეყნებული. დასმული და გადასჭრილია მრავალი საინტერესო საკითხი მაშერის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისა, აქაური მოსახლეობის დინამიკისა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ღ. მუსხელიშვილი სპეციალისად არ სწავლობდა, მაგრამ ამ ფართო გაქანების მეცვლევას არ შეიძლებოდა აქაც არ ეტექა თავისი სიტყვა. მის ნაშრომებში მიღებულია მრავალი მიზნებოვანი დასკვნა ამ ხასიათისა, რაც ავტორის დიდ მეცნიერულ ალლოზე მეტყველებს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელთათვეს ასევე ტეირფასია საგელე მუშაობისა ის თავდაცვურებული გატაცება, რომელიც მეცვლევარს ახასიათებდა. ბოლნელი მოხუცი თათარი, სიონის გათხრების მოშიწრე, გაოცებული მომითხოვდა იმ სიხარულზე, რომელიც მთავარი წარწერიანი ქვის აღმოჩენამ აღძრა ღ. მუსხელიშვილში... დმანელ აღექსი მაღრაძეს, რომელიც მასვე დაყვებოდა დაზვერვებზე, აგრეთვე ბევრი საინტერესო ახსოვს დაუცხრომელ

<sup>1</sup> იგი ამდა ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.



და კეთილ „ლენკოზე“... სწორედ მისი მრავალმხრივი და ღრმა ცოდნა კრძალული საცელე მუშავის იმ ტიპს, რომელსაც ამდენი შეეძლო დაწინახა და გამოკიდებული ჩამოყალიბებინა ექსკურსიების შედეგები.

ბოლო წლებში და მუსხელიშვილს გადაწყვეტილი პქნია ქართული წარწერების კრებულის გამოცემა, სადაც შევიდოდა მთელი მასალა ხელახლა აღიღილებზე შევსებულ-შემოწმებული. აქ იგულისხმებოდა არამარტო პალეოგრაფიული შესწავლა, არამედ კომპლექსური, მის შინაარსის თვალსაზრისით სხვა მასთან დაკავშირებულ ძეგლებთან ერთად. წარწერათმცოდნეობის თვალსაზრისით მოპოვებული შედეგი გამოცემას უნდა დართვოდა შესავლის სახით. მან ეს გეგმაც იყ, ჯავახიშვილს გააცნო, რომელიც 1940 წლის ბოლოს პასუხად სწერდა: „...მე მაინც მონია, რომ ეპიგრაფიკა შესაძლებელია თქვენ მხოლოდ დროებით ამოცანად დაისახოთ. გამოცდილება დაგარწმუნებით, რომ აქ მასალების სიმცირე შევლევარს მცირე სარბილს უტოვებს. თქვენი ნიჭის და მომზადების პატრონს მეტი მოეთხოვება და შეშვენის. იმუშავეთ ქართულ ეპიგრაფიაზე, მაგრამ რად გინდათ სამუდამო სპეციალობად გაიხადოთ? თქვენ უნდა საისტორიო განყოფილებას ჩაუდგეთ სათავეში და მარტო ასეთი ვიწრო სპეციალობით თქვენი მუშაობის შემოფარგლულა მიზანშეწონილი ნაბიჯი არ იქნებოდა... აბა, თქვენი კარგად-მყოფობით გამახარეთ. დედათქვენს ჩემ მაგიერ გულითადი საღამი მოახსენეთ. თქვენი მოსიცვარულე იყ, ჯავახიშვილი“.

1941 წ. პარილში რუსთაველის მუზეუმი გადაიქცა მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებად და ლ. მუსხელიშვილი მის გამგებ დაინიშნა. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი სიკედილამდე. 1942 წლის ივლისამდე.

ლ. მუსხელიშვილი გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თავისი მეცნიერული სიმწიფის ასკეში შესული. მას ბევრი ისევ გასაკეთებელი დარჩა, მაგრამ რაც გააკეთა მას ფერტურით გვერდს ვერ აუვლის ქართველ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ხელოვნების ისტორიკოსთა ახლანდელი თაობა, რომლისთვისაც სამაგალითოდ რჩება მისი მეცნიერული მუშაობის მაღალი კულტურა, საქმის გაუნედებელი სიყვარული და მრავალმხრივი ნიჭი.



3. 0. E 96060

სამიროა ლაგაზი უბინარსუნოთ. ავიღოთ ის, როგორც ნიშვივი, დავიყენდოთ მას, თუდაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა უბინარლოთ ზურგი ჰიმებისისად გვაი-იღოს, უარყოთ ის, როგორც გააოსახალი პარტი უავშეობ განვითარებისათვის. მოლოდი იმის საჩაბით, რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვინაროთ ჰიყი ახლის წინაში, როგორც ღვირობის წინაში, რომ ეს „ახალია“? უკურნება, სრული უაზრობა!

3. 0. 0306060

ისტორიულ-გეოგრაფიული ძირითა-ქიმია ი. ჯავახიშვილის  
 სახელობის ისტორიის, ართონლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ისტორიულ-გეოგრაფიული ძირითა-ქიმია ი. ჯავახიშვილის  
 მეცნიერება საერთოდ. ჩევნი ძელი ისტორიის სამართლოში, რომელთა შინან „ქარ-  
 თლის ცნოვრება“ ანუ ქართველი ხალხის ისტორიის გადმოცემა იყო, რა თქმა  
 უნდა, ვერ ასცდებოდნენ ამგვარ, თუნდაც კულტურულ კულებას. თუმცა  
 უნდა ითქვას, რომ უკვე XI ს-ში ლენინი მროველმა ჩამოყალიბა სრულიად  
 გარჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური კონცეფცია არა  
 მხოლოდ ქართველი, არაერთ მთელი კავკასიის მოსახლეობისა. ყველაფერ ამას  
 თავისი დასაბუთება და გამართლება ჰქონდა.

განსაკუთრებული ღირებულება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა-  
 თვეს აქვს ვახუშტი ბატონიშვილს „აღწერას სამეცნიანოსა საქართველოს“, რომ-  
 ლის მნიშვნელობა, ამ მხრივ, არც შესწავლილია სამოლოდ და, ამდენად, არც  
 სათანადოდ დაფასებული.

XIX ს-ის და XX ს-ის დასაწყისის ისტორიის სეპარაციისაც არ დაუწიოვებიათ  
 უკურაღდებოდ საქართველოს ისტორიის ეს უბანი (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე,  
 მ. ჯანშელი, თ. უორდანია, ე. თაყაიშვილი, ნ. მარი) დადაც წვლილი აქვს შე-  
 ტანილი ამ დარგში ი. ვ. ჯავახიშვილი, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა საქარ-  
 თველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის უცილებლობა და კიდეც დას-  
 როვა პეტრებულ გამოკვლევები ამ დარგზე.

თანამედროვე შეცნერებით არა ერთ ჩამონაში ვეცდებით ჩენკ სპეციალურ  
 მსჯელობას ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესახებ (ს. კაბაძე, პ. ინგო-  
 რიყავა, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ს. ჯანშეია, ნ. ბერძენიშვილი).  
 -ზელა ეს ცალკეული ფაქტები, რომელიც აღნიშნავდა 1958 წ. ნ. ბერძენიშვილი,  
 მხოლოდ ამის მოწმობა, რომ საკითხი საქართველოს ისტორიული გეოგრა-  
 ფიის სამეცნიერო დარგის შექმნისა მომზიდებულია”.

ამ შეანახელის, რომელიც დამოუკიდებელი ისტორიული დისციპლინის  
 ჩამოყალიბება ნ. ბერძენიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ  
 ამიტომ მისიერ ინიციატივით 1956 წელს ი. ვაკებიშვილის სახელობის ისტო-  
 რიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ცალკე სამეცნიერო უფროდი, რომლის მიზანია  
 საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა. ამ მიზნის განხილულება  
 ორი მიმართულებით წარმოება. ერთის მხრივ, სათანადო მუშავდება ქართუ-  
 ლი თუ უცხოური წერილობით წყაროები და დოკუმენტური მასალა; მეორე  
 მხრივ, ცალკეულით ინტენსიურ საცეცე და უშაბდობა ეწევა, საქართველოს  
 ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპელიონის “რამდენიმდე რაზემი, ეს პრატიკული  
 ძიება მიზნად ისახავს გეგმაზომიერად და ინტენსიურად მოხილულ იქნება სა-  
 ქართველოს მთელი ტერიტორია ყოველი ისტორიული ეპოქის მატერიალური  
 კულტურის ძეგლების ფურცელს და ძეგლი ნასოფლარები, ნაციონალ-ნაბახ-  
 ლეები, ნაცელებისარ-ნამთხასტრალები, ხანიდურ-ხაგაურები, სამეურნეო ნა-  
 გებობანი, ძეგლი არხები და სხვა) აორიცხვის, ტოპონომიკურ მასალის შეგრო-  
 ვების და სხვადასხვა სათანადო გადმოცემათა ფიქსაციის მიზნით. ყველაფერი  
 ამის შედეგად შედგენილი იქნება საქართველოს ცალკეული ისტორიულ პრო-  
 ვინციათა და მთლიანად საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიუ-  
 ლი რუკები, რომლებიც ასაწავენ სათანადო კითარებას ისტორიული განვითა-



ჩების სხვადასხვა ეტაპებზე. მეგარი მუშაობის შედეგად უნდა შეიქმნოს შეცდის თველის ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი”.

საამისოდ დღეს ჯერ კიდევ მცირეს, მაგრამ გარევიულ შედეგებს უკვე მიეკუთხიეროთ.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საცელე ძიების შედეგად მიკუთხული და ორიენტულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შიდა და კვეშო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცემო, სვანეთი...). ადამიანის მრავალი ათეული უცველესი ნასაღვომევი თუ ხამოსახლარი. კერძოდ ქვის ხანის ნასაცხოვრისები, რომელთა შერის ერთ-ერთი არქეოლოგიური გათხრის შედეგად შესწავლილიც იქნა (წოდის გამოქვებული). დაზეული ქინის ნამოსახლარიდან, ჩომელაც აყალი. 6. ბერძენიშვილის შეირ შემოთავაზებული ტერმინოლოგიით „გორები“ ეწოდება (რამდენადაც მათ უშერესობა გორა-ბორცვებზეა განლაგებული), ინტენსური არქეოლოგიური გათხრების საშუალებით შესწავლილი იქნა „ხოვლე-გორა“ კაბის რაიონში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ასეულობით იქნა ფიქსირებული ფეოდალური ეპოქის ნასოფლარები, რომელთაგან ტოპონიმებური მონაცემების მიხედვით არა ერთის ძეველი სახელი იქნა აღდგენილი. მინებული იქნა არა ერთი მხიდვენილოვანი არქიტექტურული ძეგლი (ცელესია-მოსასტრები, უცოდალთა სასახლე-რეზიდენციები და სხვ.), განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეოდალურ ციხე-სიმაგრეთა მიკლევა და მათი იდენტიფიციაცია.

ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებში პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას, მემატიანე ხშირად ასახულებს ამა თუ იმ ისტორიულ პუნქტს, განმასაკროტებით ციხე-სიმაგრეებს, რომელთა ადგილმდებარეობა დღეს ჩვენთვის უკვე უცნობია. მიტომ ზოგჯერ ძნელი გასავგები ნდება ისტორიული მოვლენების კოხერეტული განვითარება. უკვე მნიშვნელოდ ამის გამო ისტორიული პუნქტების იდენტიფიკაციის დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სიცოლური ურთიერთობის, ე. წ. წარსული ცხოვრების ჭეშმარიტი შექცევისთვის. როგორც აღნიშნეთ, ისტორიულ-კულტურული ექსპლოირების სავალე მუშაობის შედეგად ასეთი ურიანთ მნიშვნელოვანი არა ერთი ციხე-სიმაგრის ლოკალიზაცია მოხდება. ასე მაგალითად: წოდის, ოფეროსი, გაგის, ქავაზინის, ლოკის, კართველის ციხეები და დეკ-ციხე — ქართლში; მაგრამ, ტურის (მტრონის), პანისის, ლოპორის, პარილისის ციხე-სიმაგრეები და ქუთაის-ციხე — კახეთში, უქიმიერითნი და დომინა — იმერეთში; არყან-ციხე — საცხეში და სხვ. მით,

ვეღლ ნაქალაქარ-ნასოფლარების თუ ნაციხეარ-ნამონასტრალების ფიქსაციასთან ერთად მიმღინარეობს აგრეთვე სამეურბეო ყოფის ამსახული სხვა მატერიალური ძეგლების აღრიცხვაც, როგორიც არის მაგალითად: ძველი ნაგზაურები, ნარჩხალები და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობანი (მარანი, საწახელი და სხვ. მით.), ხდება მათი შეძლებისდაგები დათარიღება.

ყველაფერ ამას ემატება აგრეთვე ტოპონიმიკური მასალის შეგროვებაც, რომელიც უკვე რამდენიმე ათას ერთეულს მოიცავს.

მთელი ამ დოდილ მასალის სათანადო დამუშავება და რუკიზე დატანა ურიანდ საინტერესო სურათს გვიშლის საქართველოს ამა თუ იმ კუთხის არა მნიშვნელოდ პოლიტიკურ-კულტურული, არამედ სამეურნეო და სოციალური განვითარების სალუსტრაციოდ. ასე, მაგალითად, ქვემო ქართლში აღტე შეასაუკუნეების ძეგლთა სიმრავლე მიგვითოთებს ცხოვრების ძლიერ მაჩისცემაზე. განვითარებული ფეოდალური ხანის ნასოფლართა სისტემები და აგრეთვე ფეოდალურ ციხე-სიმაგრეთა შედარებითი სიმრავლე, მიგვითოთებს სამეურნეო და სოციალური განვითარების შემდგომ საფეხურზე, ხოლო გვიან შეასაუკუნეებში (დაწ. X IV ს-დან) ამ მხარის ზოგიერთ კუთხში ნასოფლართა სრული ან თითქმის სრული არარსებობა; რა თქმა უნდა, აქარა მოწმობა იმ ეტაპი სიავისა, რომელიც სწორედ იმ დროს თავს დატყდა ჩვენს ქვეყანას.



მეორე შეჩივ, ტოპონიმიკური და ეპიგრაფიკული მასალა ამ მხატვის შრესთვენ ცალკე  
ლეობის მოძრაობისა და მონაცემების უტყუარ ფაქტებსაც გვაწვდის. შემდეგითიც

რა თქმა უნდა, ისტორიულ-გეოგრაფიული კალევა-ძიება ასეთსავე მე-  
ტყველ სურათს გვაძლევს საქართველოს სხვა ისტორიული პროექციების, მა-  
სი სხვადასხვა „ქვეყნების“ შინაგანი ეკოლუციის საილუსტრაციოდაც.

ასეთი შუშაობა თეორიულ საკითხებსაც აღძრავს. მთუხედავით იმისა, რომ  
ინტენსიური ისტორიულ-გეოგრაფიული კალევა-ძიება იქ. ჯვარიშვილის სახე-  
ლობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტრუმენტი სულ რაღაც  
თუ იმტერიოდე წელს მოითვლის, დღეისთვის მანც, ვმ მხრივ, საქართველოს  
ტერიტორიისა და მოსახლეობის ისტორიული განვითარებისათვის რამოდენიმე  
კარდინალური პრობლემის დასმა მოხერხდა: ეს არის შეუ ბრინჯაოს ხანის ნამო-  
სახლართა არარსებობის საკითხი შიდა და ქვემი ქართლში (და, როგორც ჩანს,  
საქართველოს ბევრ სხვა მხატვშიც); ერთ-ერთი უძეველესი ქართული ტერი-  
ტორიული ერთეულის, „ხევის“, წარმოქმნის პირობებისა და ქრონოლოგიის  
საკითხი; მთავა და ბარის ურთიერთობის საკითხი და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს პრობლემები მხოლოდ დასმულია და მათი საბოლოო  
გადაწყვეტა მომავალი ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური და, სერ-  
თოლ, ისტორიული მეცნიერების კომპლექსური კალევა-ძიების შედეგად  
მოხერხდება.

ამეამად კი ისტორიული გეოგრაფიის უპირველესი მიზანია მთელი ზემო-  
აღნიშნული მასალის აღრიცხვა, დოკუმენტაცია და რუკაშე დატანა. ამ მუშაო-  
ბის შედეგად ქართველი საზოგადოება მიიღებს ღოუშენტირებულ „საქართვე-  
ლოს ისტორიულ გეოგრაფიულ ატლასს“.



А Н Н О Т А Ц И И:

Д. К. БЕРДЗЕНИШВИЛИ

Научн. сотрудник. Института истории,  
археологии и этнографии им. И. Джавахишвили

ИЗ ИСТОРИИ СЕЛА СИОНИ

(Марнеульский район)

В статье рассматриваются некоторые вопросы топонимики Грузии, в частности, Квемо Картли.

Изучив неизвестную надпись церкви села Сиони, автор приходит к выводу, что строитель ее Серапион Чиджавадзе был наследником царского двора при Ростоме (XVII в.). Он же заселил, опустошенную после походов Шах-Абасса, деревню — отчего село получило название «Хуцис сопели» (Селение священника).

В конце XIX в. происходит еще одно заселение этой деревни, инициатором которого является Саба Адамашвили — отец известного грузинского прозайка Михаила Джавахишвили. Об этом гласит надпись на надгробной плите Саба Адамишвили похороненного в той же церкви. Тогда и переименовали деревню и дали название «Сиони», в честь древней церкви, стоявшей здесь же в развалинах.

К. Н. МЕЛИТАУРИ

Кандидат архитектуры

ЧЕТЫРЕХКОЛЕСНАЯ БОЕВАЯ КОЛЕСНИЦА В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

Автор дает описание реконструкции четырехколесной боевой колесницы, конца III и начальных веков II тысячелетия до н. э.

К статье приложены чертежи колесницы в аксонометрическом разрезе, отдельных деталей передка.

Дж. Г. ГВАСАЛИА

Научн. сотрудник. Института истории,  
археологии и этнографии им. И. Джавахишвили

ПАМЯТНИКИ КСАНСКОГО УЩЕЛЬЯ

В статье рассматриваются культовые памятники, расположенные в

Ксанском ущельи, с характерной топографией. Они встречаются на во-



ЗАПОВЕДНЫЕ  
ЗЕМЛИ ГРУЗИИ

дораздельных хребтах ущелий, на самых высоких пастбищах и представляют собой общие святилища соседних общин (Самеба Дадиганети, Мтацминда, Самеба Исролисхеви, Самеба Бикари, Цители хати...).

Автор статьи подробно останавливается на двух комплексах раннефеодальной эпохи — Ломиса и Алеви, являющихся объектами самого

большого почитания в Ксанском ущельи, в среднюю и позднефеодальную эпоху, когда значение других «святых мест» умалялось.

Господствующее положение этих «святых мест» автор объясняет их расположением вблизи главных дорог, связывающих Ксанское и Арагвское ущелья.

Т. И. ТАТИШВИЛИ

Научн. сотрудник Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили

## ПОДЗЕМНЫЕ СООРУЖЕНИЯ В ВЕРХОВЬЯХ Р. КУРЫ

В 1954-55 гг. экспедицией Гос. музея Грузии им. С. Джанашиа были обнаружены подземные сооружения дохристианской эпохи.

В статье говорится о сооружениях из крупных камней, открытых науч-

ными сотрудниками в верховьях р. Куры, в заповеднике Вардзия.

«Дарани» — так называет их местное население. В письме даётся описание этих «Дарани».

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ

Кандидат исторических наук

## ИСТОРИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ ОБУСЛОВЛЕННОСТЬ ОДНОГО МОМЕНТА ВНУТРИКЛАССОВОЙ БОРЬБЫ

За последние годы в течение историко-географических полевых изысканий было локализовано и идентифицировано немало важных исторических пунктов, которые до сих пор были известны лишь по письменным источникам. В их числе можно назвать значительные политические центры раннефеодального царства Кахети. Напр.: крепости-замки — Панкисис-цихе, Марилиси, Турис-цихе, Джварис-цихе и др. Одними из них владели «эристави» (царские воевые-

ды), другими — «мтавари» (владельческие князья). Определение территории подвластных им феодальных единиц дает ключ для понимания тех материальных причин, которые обусловливали, засвидетельствованную в первоисточниках, внутриклассовую борьбу между «мтаварами» и «эриставами».

Настоящая статья ставит себе целью определить причины внутриклассовой борьбы между «мтаварами» и «эриставами».

Г. Г. ЦКИТИШВИЛИ  
Кандидат исторических наук

## СВЕРСКАЯ КРЕПОСТЬ

В статье говорится о Сверской крепости, находящейся в Чиатурском районе. Действующая — она существовала до конца XVIII в.

По археологическим материалам и строительной технике основание крепости следует отнести к первым векам раннефеодальной эпохи. Как

Сверская крепость находилась на одной из важнейших дорог связывающих Восточную Грузию с Западной, что и обусловило ее длительное существование.

И. М. СИХАРУЛИДЗЕ  
Научн. сотрудн. Института истории,  
археологии и этнографии им. И. Джавахишвили

## О МЕСТОПОЛОЖЕНИИ «УХЕЙМЕРИОНА»

На основании исследования первоисточников автор статьи приходит к выводу, что упомянутая Прокопием Кесарийским (VI в.) крепость Ла-

зики по имени «Ухеймерион» соответствует остаткам крепости, сохранившимся в селении Дидгвабуна (в Цулукидзевском районе).

Т. Н. БЕРАДЗЕ  
Научн. сотрудн. Института истории,  
археологии и этнографии им. И. Джавахишвили

## КАРТА ОДИШИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XVII ВЕКА

В статье дается краткое описание карты Одиши описанного периода, составленной на основании письмен-

ных источников и материала, собранного в период историко-географических полевых изысканий.

Г. ТОДРИА  
Научн. сотрудн. Института истории,  
археологии и этнографии им. И. Джавахишвили

## «МАНГЛИСИС ХЕВИ»

В статье говорится о происхождении названия «Манглисис хеви» и об его стратегическом значении.

Манглис был расположен на перекрестке важнейших дорог, связывающих Шида Картли с Квемо Картли, Триалети с Джавахети и Арме-

нией, и благодаря этому приобрел большую значимость: стал центром страны и дал название всему ущелью. Поэтому неслучайно строительство в Манглиси одной из первых христианских церквей в Картли.

«Манглисис хеви», упоминаемый в

источниках раннефеодальной эпохи подразумевает ущелья рек Алгети и Верз.

С IX века верхняя часть Алгетского ущелья входит во владение Клдекарских эриставов, а нижняя часть — Тбилисских эмиров. Пограничная линия между ними проходила у крепостей Орбети, Биртвиси и Парцхиси.

Г. М. ГАПРИНДАШВИЛИ

Кандидат архитектуры

### НАДПИСЬ 1000-ГОДА ЦЕРКВИ КОРЕТИ

В 1968 году автор статьи, в ущелье р. Квирила, в селе Корети исторической Аргвети, расчистил штукатурку тимпана южной двери зальной церкви Гвтаеба, названной так населением потому, что в XV веке царица цариц Ана (Анна) около церкви построила монастырь Гвтаеба и установила особый поминальный день.

В результате расчистки была вскрыта строительная надпись:

«Св. Троица помилуй и прославь владетельницу Мариам и ее (малолетних — Г. Г.) сыновей Георгия и Хурси.

Этот архитрав положен в хроникон 220 т. е. эта церковь св. Троицы построена (220 + 780) в 1000-ом году. Таким образом, подтвердилась и

В средние века это был Шарчоцкий домен. Именно здесь располагались летние царские резиденции: Коджори, Табахмела и Гударехи.

С XV века Алгетское ущелье составляло позднефеодальную административную единицу «Сабаратано».

уточнилась датировка этого памятника концом X и началом XI века.

Надпись Корети и надпись 1046 года Саване дают некоторые новые сведения за пол века об этой феодальной семье (возможно Кахаберисдзе), правившей Аргвети:

Гулзвиад эристави, по-видимому, умер к 1000-ому году, Мариам владетельница, по-видимому вдова, в 1000-ом году с двумя детьми строит церковь св. Троицы в Корети, Георгий, эриставт эристави, т. е. князь князей, в 1046 году строит церковь св Георгия в Саване, Хурси, эристави, по сообщению летописи Грузии в 1021 году убит в сражении около села Ширимни, жена эриставт-эристава Георгия, имя неизвестно, Голиаф, сын его к 1046 году, очевидно уже юноша.

Н. Я. ШОНИА

Инспектор охраны памятников культуры  
Министерства культуры Абхазской АССР

### К ИЗУЧЕНИЮ ТОПОНИМИКИ ВОСТОЧНОЙ АБХАЗИИ

Настоящая статья касается вопросов топонимики Гальского района,

который с XVII века по 30-ые годы XX века назывался Самурзакано.

Ряд топонимов упоминается в литературных источниках II—XVII вв. и э. Это Тарсур-Мохэ, Зигани, Гудаква, Илори, Цамхари, Царче, Окуми и др. Некоторые исследователи локализуют Тарсур-Мохе в устье Моквы (Очамчирский район). Однако ряд данных позволяет локализовать этот антично-феодальный город на

территории Царче-Мухури (Гальский район).

В настоящее время автором собрано в Гальском районе 1300 современных географических названий, анализ которых выявляет, что у них много общего с топонимикой остальной Колхиды.

### Л. В. МУСХЕЛИШВИЛИ

(1900—1942)

Статья посвящена памяти видного грузинского ученого, историка и археолога — Левана Вахтанговича Мусхелишвили.

Л. Мусхелишвили был многогранным ученым — историком широкой эрудиции и глубоких познаний, что давало ему возможность успешно работать как в области археологии,

так и в областях социальной истории, источниковедения, истории искусства, эпиграфики...

Деятельность Л. Мусхелишвили была кратковременной, но содержательной. Ученый оставил значительный след в деле изучения истории Грузии.

## ს ა რ ბ ი 0 3 0

შევა ბერძენიშვილი — სოფელ სონის ისტორიადან	3
Д. К. Бердзенишвили — Из истории села Сони	
კონსტანტინე მელიაშვილი — თომავლიახო სომიარი ეტლი ქველ საქართველოში	8
К. Н. Мелиташвили — Четырехколесная боевая колесница в древней Грузии	
ჭანდო გვახალია — ქანის ხეობის მფლობელი	11
Дж. Г. Гасалия — Памятники Ксанского ущелья	
თორჩიერ ტატარიშვილი — მიწისქვეშა ნაგებობაზე შტეფტის ხეობის ზემო წელზე	18
Т. И. Татишвили — Подземные сооружения в верховьях р. Куры	
დავით მუსხელიშვილი — შინაგალისტრიდა შრძლილის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული სტუდიები	23
Д. Л. Мусхелишвили — Историко-географическая обусловленность одного момента внутриклассовой борьбы	
გორგა ცეკვიცელი — სერიის ციფები	34
Г. Г. Цкитишвили — Сверская крепость	
იური ხისარულიძე — «უცემების» დაგილმდებარება	39
И. М. Сихарулиძэ — О местоположении «Ухеймериона»	
თამაზ ბერძენი — XVII ს. პირველი ნახტომის თდობის რეაქცია	42
Т. Н. Берадзе — Карта Одисси первой половины XVII в.	
თენა თოდრია — მანგლისის ხევი	48
გუვა გაურანდაშვილი — 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეკის კულტურიდან	54
Г. М. Гаприндашвили — Надпись 1000-года церкви Корети	
ნოდარ შენა — იღმოსიერებულ აუსახურის ტომონიშვილის შესწავლისათვის	62
Н. Я. Шонна — К изучению топонимики восточной Абхазии	
 კულტურის ძეგლთა მცველეობა და მოამაგრენა	
ლევან მუსხელიშვილი — Л. В. Мусхелишвили	67
 ქრისტიანობა	
ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში	69
Хроника	
Историко-географическое исследование в Институте истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили	

2. 17/849



Грузинское общество охраны памятников культуры  
GEOGRAPHICAL SOCIETY OF GEORGIA

Серия: „Памятники материальной культуры“  
Выходит на общественных началах

## ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник двадцать первый

(На грузинском языке)

Редактор серии — ОТАР ВАСИЛЬЕВИЧ ТАКТАКИШВИЛИ  
Редактор номера — ЛЕВАН НИКОЛАЕВИЧ МАТАРАДЗЕ

სერიის რედაქტორი — ოთარ თაქთაძიშვილი  
რედაქტორი — ლევან მათარაძე  
ყდა — გივი გავარინაშვილისა

ტექნიკური რედაქტორი: გ. ა მ ა შ უ კ ე ლ ი  
კორექტორი: ი. წ ი კ ლ ა უ რ ი

ფერადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში

გარეუანზე: ვახუშტი ბაგრატიონის რუკის ფრაგმენტი ხეროვისის ციხისა და  
ყაურმის ხიდის ხედი.

გადაცემა წარმოების 30.III 1970 წ. ხელმოწერილია დასბურდებულ 22.VI 1970 წ.  
ნაბეჭდი თაბ.—5, ხელ. ხევამიმ. თაბ. 6,25  
ანაზონის ზომა 7,3x11,5 ქაღალდის ზომა 70x106 1/16

ფასი 72 კაპ.  
Цена 72 კაპ.

რედაქციის ქმნისმართვა: დერჯინსკის ქ. 19, თელ. 99-84-47

საქართველოს თეატრალური საზ-ბის სტამბა. თბილისი, ვორკის ქ. № 3  
Тип. Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3  
Телефон 1122 10317 3000

